ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, №50, აგვისტო, 2020 წელი



ბედიის ტაძარი, ორგანიზაცია „აფხაზეთის მოამბის“ ფოტო

დაფანტული სულიერების გასამთლიანებლად

აფხაზეთი ჩვენი - ქართველების სამკვიდროა, მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გადმოცემული მამული. მე-20 საუკუნის მიწურულს კი, ჩვენ - აფხაზეთის ქართველობა საკუთარი სამკვიდროდან საშინელი სისასტიკით გამოგვაძევეს. დიდმა ჩრდილოელმა მეზობელმა თავის საუკუნოვან ოცნებას ერთმანეთს შეზრდილი ქართველებისა და აფხაზების გაუცხოებისა და გადამტერების გზით მიაღწია.

ჩვენ თითქოს მხოლოდ ამ დიდი ტრაგედიის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ სამშობლო მარტოოდენ ლამაზი მთა-ბარი, ველ-მინდვრები, მდინარეები და ზღვა როდია. სამშობლოს განცდას უპირველესად ქმნის ის საზოგადოება, რომელიც იმ მიწა- წყალზე ცხოვრობს.

აფხაზეთიდან კი, ცხადია ჩვენთან ერთად გამოაძევეს ქართული სულიერება - ქართული ენა, ქართული ეკლესია, ქართული ხასიათი, ქართული ხელოვნება - თეატრი, მხატვრობა, მუსიკა - ერთიანი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი. კულტურისა, რომელიც ჩვენი თვითმყოფადობის გამოვლინება და შესაბამისი სავიზიტო ბარათია მსოფლიოს წინაშე. გამოღმა გამოძევებული ყველა ეს ფენომენი კი დრო-ჟამის მდინარებას თუ მავანთა სიავეს არ ნებდება და ისევ აგრძელებს არსებობას სცენაზე თუ სცენის მიღმა, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მისიის შესაბამისად, გაზეთ „სამკვიდროს“ (ასე ერქვა ჩვენს გაზეთს თავდაპირველად) მიზანია სწორედ ამ დაფანტული სულიერების მოკრება, შინაგანად გაუტეხელი ადამიანების თავმოყრა და გამთლიანება შინ დაბრუნებისთვის შესამზადებლად.

აფხაზეთის ქართველებს უმძიმესი განაჩენი გამოგვიტანეს, მუდმივად ვამტკიცოთ, რომ აფხაზეთის ძირძველი მკვიდრნი ვართ. ჩვენი გაზეთი კი შეეცდება, არა უბრალოდ, ამის მტკიცებას, არამედ იმის წარმოჩენასაც, რომ აფხაზეთიდან დევნილი ქართველები ენგურს გამოღმა სწორედ იმ მემკვიდრეობას ვაგრძელებთ ჩვენი საქმიანობით, შემოქმედებით, რწმენით, სიტყვით, თუნდაც ფიქრითა და ოცნებით, რომლის გარეშეც ხვალინდელი დღე არ იარსებებს.

მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია ამბობდა: „წარსული დგას ჩვენში დევის მუხლებითო“. აფხაზეთის ქართველობის, მათ შორის აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მუშაკთა მისიაც ამ მუხლების გამაგრებისთვის გარჯაა, რადგან ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ დევის მუხლები გამოვიბათ ჩვენს სამკვიდროში დასაბრუნებლად.

ნატო კორსანტია

P.S. ამ წერილით იწყებოდა „ჩემი აფხაზეთის“ პირველი ნომერი და მას 50-ე საიუბილეო ნომერშიც ვიმეორებთ, რადგან სათქმელი დღესაც იგივე გვაქვს.

ჟიული შარტავას ნაკვალევზე მომავალი თაობები გაივლიან. სასიხარულოა, რომ უკვე გვაქვს ჟიული შარტავას სახელობის მწვერვალი კავკასიონზე, ჟიული შარტავას საფოსტო მარკა და შრიფტი.

გვ. 3

ზღვისპირა ქალაქების სილამაზითა და მოყოლილი ისტორიებით მოხიბლულმა 23 წლის ნიკა მიქავამ შთაბეჭდილებების გადატანა მაისურებზე სცადა და მისი დიზაინით შექმნილ სამოსს - სოხუმი, გაგრა, ოჩამჩირე და აფხაზეთის სხვა ქალაქების სახელები დააწერა.

გვ. 15

აფხაზეთის აქამდე უცნობი და უნიკალური ფოტოები, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისშია გადაღებული, ქობლიანიძეთა კოლექციის მართლაც გამორჩეული ნაწილია, რადგან ის ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიას ინახავს.

გვ. 8-9

იაპონიიდან სოხუმში გადმოსახლებული დები ბუბნოვების შთამბეჭდავი ისტორიის გარეშე, სრულად ვერ დაიხატებოდა გასული საუკუნის 50-70-იანი წლების სოხუმის კულტურული ცხოვრება, მათ გარეშე იქაურ ამბებს ძალიან მკვეთრი ფერები დააკლდებოდა.

გვ. 11-14

დისტანციური სწავლების კვალდაკვალ

ნინო გრიგოლია

ახალი კორონა ვირუსის Covid-19-ის გავრცელებით გამოწვეული საგანგებო ვითარების ჟამს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი აფხაზეთის საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლების უზრუნველყოფა იყო, რაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციებს ეფუძნებოდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის როლანდ ნიჟარაძის განცხადებით: „დისტანციური სწავლების პროცესში თავიდანვე აქტიურად ჩაება აფხაზეთის ცამეტივე - №1, №2, №3, №5, №6, №7, №10, №11, №12, №14, №15, №21, №22 - საჯარო სკოლა. მათ დროულად გადაეგზავნათ დისტანციური სწავლა-სწავლების პირველადი რეკომენდაციები. სკოლებში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები: კლასების მიხედვით შეიქმნა დახურული ონლაინჯგუფები, მესენჯერჩათები, გათვალისწინებულ იქნა ყველა მოსწავლის შესაძლებლობა, დაინიშნა სატელეფონო კონსულტაციები. სკოლებს მიეწოდათ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები.

დროის გამოწვევას ასევე ღირსეულად გაუმკლავდნენ ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების პედაგოგები, რომელთაც ისედაც რთულ ვითარებაში - ქართულად სწავლა/სწავლების უკიდურესად შეზღუდვის პირობები უწევთ საქმიანობა. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ მავთულხლართები დიდხანს ვერ გაძლებს და ის მალე ბერლინის კედელივით დაინგრევა“.

სასწავლო წლის დამთავრების ბოლოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ვიდეოკონფერენცია გამართა აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორებსა და პედაგოგებთან, რომლებმაც დაგროვილი გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს და გამოკვეთილ პრობლემებზე ილაპარაკეს. მათ შორის თქვეს იმაზეც, რომ სკოლები, რომელთაც ექიმის ვაკანსია არა აქვთ, ამ პრობლემის დროულად მოგვარება სჭირდებათ.

დირექტორებმა და პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის თანადგომით დროის გამოწვევას - დისტანციური სწავლების პროცესს მეტ-ნაკლებად მომზადებულნი შეხვდნენ. ამდენად ბევრმა სკოლამ სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, თავიდანვე დაიჭირა თადარიგი და დამრიგებლებისა და მშობლების დახმარებით შეისწავლა თითოეული მოსწავლის კომპიუტერული უზრუნველყოფისა და ინტერნეტში წვდომის შესაძლებლობები. შემდეგ კი მოპოვებული ინფორმაციების გათვალისწინებით შემუშავდა მუშაობის ფორმაც და გრაფიკი,ც განისაზღვრა ონლაინსაკომუნიკაციო პლატფორმების - Teams Microsoft-ის, Skype-ის, zoom-ის, მესენჯერის გამოყენების პირობები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო აფხაზეთის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებთან გამართული ვიდეოკონფერენცია. დიალოგისას ითქვა, რომ მართალია, მთელ მსოფლიოში შექმნილმა საგანგებო მდგომარეობამ ბევრი რამ გაართულა და გააფერმკრთალა, მაგრამ ბევრ რამესაც სხვა დატვირთვა შესძინა. მათ შორის ახალგაზრდებს საკუთარ თავში განსაცდელსა და საგანგებო ვითარებაში ცხოვრებისა და საქმიანობის შესაძლებლობები მოაძიებინა.

როლანდ ნიჟარაძემ კურსდამთავრებულებს შეახსენა, რომ მათ ის მნიშვნელოვანი მისიაც აკისრიათ, ახსოვდეთ აფხაზეთი და ყველაფერი გააკეთონ აფხაზ თანატოლებთან დასაახლოებლად და მათთან საერთო ენის გამოსანახავად.

ონლაინშეხვედრები მნიშვნელოვანი იყო იმის საილუსტრაციოდაც, რომ აფხაზეთის საჯარო სკოლები მზად არიან ყველა იმ სიურპრიზისთვის, რაც შეიძლება Covid-19 მომავალში შემოგვთავაზოს.

სამზადისი ახალი სასწავლო წლისათვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ამჟამად ენგურს გამოღმა 13 სკოლა ექვემდებარება. ამ სკოლების ინფრასტრუქტურის შემოწმების, ახალი სასწავლო წლისათვის თადარიგის დაჭერის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსმა ნინო ლობჟანიძემ, საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების სამსახურის უფროსმა თემურ ურიდიამ და იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა ირაკლი კალანდიამ რამდენჯერმე მოინახულეს აფხაზეთის საჯარო სკოლები. მათ სკოლების ინფრასტრუქტურის შესწავლისა და, შესაბამისი საჭიროებების იდენტიფიცირების პარალელურად სკოლების დირექციებთან ერთად განიხილეს არსებული პრობლემი და მოგვარების გზები განსაზღვრეს.

ბოლო ვიზიტისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით ახალი სასწავლო წლის დასაწყებად გაცემულ ზოგად რეკომენდაციებზე, რომლებსაც აფხაზეთის საჯარო სკოლებშიც სრულად ითვალისწინებენ.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

„ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 7 ივლისის №77/ნ ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო აფხაზეთის ა/რ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი აბიტურიენტების რეგისტრაციას იწყებს.

რეგისტრაცია შეუძლიათ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს

კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და მათი სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა ,,ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის ბრძანების №147 შესაბამისად.

რეგისტრაციისთვის მიჰყევით ბმულს: https://bit.ly/2XisJob

რეგისტრაციის ბოლო ვადა: 2020 წლის 5 სექტემბერი

დამატებითი კითხვებისთვის დარეკეთ ნომრებზე: (032) 2 95 03 24; +995 599 855 494; +995 599 855 493.

არდავიწყება გმირისა!

ჟიული შარტავას საფოსტო მარკა

მალვა ბერიანიძე

ჟიული შარტავას საფოსტო მარკისა და კალიგრაფიული შრიფტის შექმნის იდეა „ჟიული შარტავას სახელობის მშვიდობისა და ერთიანობის საერთაშორისო ალპინიადა - 2019“-ზე გაჩნდა. ალპინიადა ეროვნული ერთიანობის ცენტრის - „ჟიული შრტავას სახოგადოების“ ინიციატივით, საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის ორგანიზებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით უკვე რამდენიმე წელია იმართება.

საქართველოს ფოსტამ ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მარკა ამ იდეის გახმიანებიდან მალევე, 2019-2020 წლის მარკების თემატური გეგმის ფარგლებში გამოსცა. მისი პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის კინოდარბაზში გაიმართა.

მარკაზე წარმოდგენილია ჟიული შარტავას პორტრეტი, რომელის ავტორიც მხატვარი თამაზ ხუციშვილია. ფონზე გამოსახულია ეროვნული გმირის ორდენი და ჟიული შარტავას სახელობის მთა. მარკის დიზაინი შექმნა გიორგი ქართველიშვილმა და იგი საფრანგეთში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალპოლიგრაფიულ სტამბაში „Cartor Security Printing“ დაიბეჭდა.

ის წარმოდგენილია ერთმარკიანი მცირე ფურცლით და 25 000-იანი ტირაჟით გამოიცა. საფოსტო მარკა უკვე მიმოქცევაშია და მისი შეძენა მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს ფოსტის სერვისცენტრებში შესაძლებელი (მისი ნომინალური ღირებულებაა 2,40 ლარი).

პრეზენტაციას უძღვებოდა ეროვნული ერთიანობის ცენტრის - „ჟიული შრტავას სახოგადოების“ თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, რომელმაც აღნიშნა:

„ჟიული შარტავას სახელობის მწვრვალს მისივე სახელობის საფოსტო მარკა შეემატა. ჟიული შარტავას, როგორც საქართველოს ეროვნულ გმირს, ყველამ უნდა გავუსწოროთ თვალი. შესაბამისად, მისი ხსოვნის დღე ამ-ერიდან მარტოოდენ მისი ხსენების დღე კი არ უნდა იყოს, არამედ ამ დღეს უნდა დაუკავშირდეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და გამორჩეული მოვლენები.“

დამსწრე საზოგადოებას ჟიული შარტავას გმირობის მაგალითი და მისი მნიშვნელობა კიდევ ერთხელ შეახსენეს არჩილ თალაკვაძემ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ; ჯემალ გამახარიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ; დავით გურგენიძემ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა; ირაკლი ტაბაღუამ, ქალაქ

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერმა და სხვ.

ჟიული შარტავას ღვაწლს საქართველოს წინაშე გაუსვა ხაზი ასევე თავის გამოსვლაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ: „ჟიული შარტავამ ჩვენი დიდი გმირების მაგალითი გაიმეორა და ამიერიდან უკვე მის ნაკვალევზე გაივლიან მომავალი თაობები. სასიხარულოა, რომ უკვე გვაქვს ჟიული შარტავას სახელობის მწვერვალი კავკასიონზე და ჟიული შარტავას საფოსტო მარკა“.

საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ

> **„საფოსტო მარკას ისევე, როგორც დროშასა და გერბს სახელმწიფო სიმბოლიკის მნიშვნელობა ენიჭება და საფოსტო მარკაზე გამოსახული ილუსტრაცია ან პორტრეტი, როგორც ქვეყნის სიმბოლო ისე საგანგრო პოლიტიკას და ორიენტაციას განსაზღვრავს. შესაბამისად, საფოსტო მარკას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის განვითარებაში. მეტიც, ამ მარკის გამოცემით „ჩვენ შევძლებთ, რომ ჟიული შარტავას ღვაწლი და დამსახურება გავაცნოთ მთელ მსოფლიოს.“**

ლევან ჩიკვაიძემ ჟიული შარტავას სახელობის საფოსტო სასაჩუქრე მარკა გადასცა ჟიული შარტავას მეუღლეს ლია ჯალაღონიას. მან მადლიერების ნიშნად მეუღლის ნაქონი რამდენიმე ნივთი უსახსოვრა საქართველოს პარლამენტის მუზეუმს, რომელიც მალე უმასპინძლებს დამთვალიერებლებს.

ჟიული შარტავას საფოსტო მარკის გამოცემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის აფხაზეთის აკრიტიკონის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გვაძაბია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ირმა კეკელიძე და სხვ.

სიტყვით გამოსვლისას დავით გურგენიძემ აღნიშნა: „ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთ თანამედროვე ციფრულ ლაბორატორიას ჟიული შარტავას სახელი მიენიჭა. მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სამშობლოს თავშეწირული ჟიულის სახელის უკვდავყოფას შევაშველოთ ხელი.“

შრიფტი „შარტავა“

ჟიული შარტავას სახელობის საფოსტო მარკის გამოსვლის შემდეგ აქტიური მუშაობა დაიწყო მისი კალიგრაფიული შრიფტის შექმნაზეც. შედეგად, 2020 წლის 7 აგვისტოს ვალერი არქანიას „არტ გალერეაში“ საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას შრიფტის წარდგინება გაიმართა. შრიფტი ეროვნული ერთიანობის ცენტრის - „ჟიული შრტავას სახოგადოების“ ორგანიზებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. პროექტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა.

პრეზენტაციას უძღვებოდა ეროვნული ერთიანობის ცენტრის - „ჟიული შრტავას საზოგადოების“ თავმჯდომარე, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვახტანგ ყოლბაია, რომელმაც კიდევ ერთხელ ისაუბრა ჟიული შარტავაზე, როგორც ჩვენი დროის გმირზე და აღნიშნა, რომ სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანების სათანადოდ დაფასება ქვეყნის ღირსეული მომავლის საწინდარია.

შრიფტის შექმნის იდეის ავტორი და მთავარი კონსულტანტია ჟიული შარტავას თანაკურსელი და მეგობარი ზურაბ ჯიბლაძე; შრიფტის ავტორია გრაფიკოსი მხატვარი, თბილისის სახატვრო აკადემიის პროფესორი მურმან გელენიძე; ფონტების ავტორი კი კობა კურტანიძე. შრიფტის ელექტრონული ვერსია გიორგი ბაგრატიონმა შექმნა. აღსანიშნავია, რომ მურმან გელენიძის თაოსნობით შრიფტი უკვე თბილისის სახატვრო აკადემიაში ისწავლება, რაზეც პრეზენტაციაზე წარმოდგენილი სტუდენტთა ნამუშევრებიც მოწმობდა.

მურმან გელენიძემ პრეზენტაციაზე თქვა: „ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ჟიულის ხელნაწერების შესწავლა და მათზე დაყრდნობით შრიფტის შექმნა დამევალა.

ჟიული შარტავას ხელნაწერებში ავტორის ბუნება და მტკიცე ხასიათი იკვეთება და მისმა კალიგრაფიულმა გრაფემამ შრიფტის შექმნის საშუალება მოგვცა. დიდი შრომის შედეგად მივიღეთ ჟიული შარტავას ხელნაწერის მსგავსი კალიგრაფიული შრიფტი. მეტიც, გრძელვადიანი დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ჟიული შარტავას გამოყვანილი ასო-ნიშნები არ არის დახრილი, იგი ვერტიკალურად სწორი და გამართულია, როგორც - ჟიულის მტკიცე ხასიათი და ბუნება. შექმნილი შრიფტი შესაძლოა გამოვიყენოთ, როგორც ავტორის ხელნაწერის საილუსტრაციოდ, ისე წიგნებისა თუ ხელნაწერების დასაბეჭდად“.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის პროფესორი ჯემალ გახოკიძე, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გვაძაბია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ირმა კეკელიძე და სხვ.





აწყურის ტაძარი ძველ დიდებულებას იბრუნებს

ნათო კორსანტია

„კარგია, როცა ვაშენებთ ახალ ეკლესია-მონასტრებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ძველი ეკლესიების აღდგენა, მათთვის პირვანდელი სახის დაბრუნება, რამეთუ ეს არის იმ ისტორიული გზის გავლა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ეკლესიამ გაიარა“,- ბრძანებდა ერთ-ერთ ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

სწორედ ამ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება სამშენებლო კომპანია „ივერმშენი“,რომლის ხელმძღვანელი ედიშერ ჯანჯღულია ამბობს, რომ აფხაზეთიდან დევნილობის შემდეგ ამ საქმის კეთება უფალმა შთააგონა. უფლის ნებას კი, ცხადია, ვერავინ გადავა. ადვილი წარმოსადგენია, კომპანია „ივერმშენს“ რომ ხელი მიუწვდებოდეს, როგორი ოსტატობით დაუბრუნებდა ახალ სიცოცხლეს აფხაზეთის დანგრეულ ან ნგრევის პირას მისულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსაც...

> კომპანია „ივერმშენს“ შემოდგომაზე დაარსებიდან ოცი წელი შეუსრულდება. მან ამ ხნის განმავლობაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საბაგენტოსთან თანამშრომლობით და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით, ათეულობით ძეგლი აღადგინა და თანდათან ინგარიშგასაწევ სარესტავრაციო კომპანიად ჩამოყალიბდა.

„ჩვენი კომპანიის თითოეული წევრისთვის ამადაც ღირდა ცხოვრება, - ამბობს ედიშერი, - უფალს მადლობა, რომ მისი შეწევნით ვემსახურებით საუკუნოვანი ეკლესია-მონასტრების აღდგენას და ყოველდღიურად ფიქრი გვიწევს ჩვენს წარსულზე, ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაზე“.

კომპანია „ივერმშენის“ მიერ რესტავრირებულ თუ განახლებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორისაა: გელათის სამონასტრო კომპლექსი, გაბრიელ მთავარანგელოზის სასახლე, უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი, კაწარეთის სამება, მცხეთის წმინდა ბარბარეს ეკლესია, ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია (მცხეთამთიანეთი), ეკის მაცხოვრის ჯვრის ეკლესია და კვაუთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია (სენაკის რაიონი), სქურის ფერიცვალების ეკლესია (წალენჯიხის რაიონი), ჭოლის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. (ჩხორწყუს რაიონი), ოცინდაღეს წმიდა გიორგის ეკლესია (ჩხორწყუს რაიონი), ნარიყალას ციხე-სიმაგრის კედელ-ბურჯების აღდგენა-რესტავრაცია, რომანოვების სახლის რესტავრაცია (ქ. ბათუმი), ზვიად გამსახურდიას მუზეუმის მოწყობა სოფელ ხიბულაში და სხვ. ის ასევე ატარებს ბიეთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის, აბასთუმნის დედათა მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოებს, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის მოწყობას აბაშაში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის საძირკვლის გამაგრებით სამუშაოებს...

როგორც ედიშერ ჯანჯღულია ამბობს, კომპანიას გაუმართლა იმ მხრივაც, რომ მას ჰყავს მაღალი რანგის პროფესიონალი არქიტექტურ-რესტავრატორები: დოდო ჭიკაიძე (მთავარი რესტავრატორი), ნანა ინწკირველი, მაგდა სარჯველაძე, ილია გამისონია, ბორის ბობოხია, ხელოვნებათმცოდნე - ირინე ელიზბარაშვილი...

„ივერმშენის“ მიერ აღდგენილ ეკლესიათაგან განსაკუთრებით მასშტაბური გამოვიდა ფუძნარისა და სქურის ტაძრები... ფუძნარის ტაძარი რესტავრაციის საუკეთესო ნიმუშად აღიარეს და მას ედიშერ ჯანჯღულია წელიწადის ყველა დროში სტუმრობს. მნიშვნელოვანია, რომ ორივე ტაძარში სულიერი ცხოვრება განახლდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, კომპანიის საქმიანობის მწვერვალი იქნება აწყურის ციხე-სიმაგრისა და აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაცია, რაც 2016 წელს დაიწყო.



აწყურის ტაძარი

აწყურის ციხე

ქართული დიდების მოწმე და თავადაც ოდესღაც დიდებული, დრო-ჟამისაგან მინასთან გასწორებული აწყურის ღვთისმშობლის ტაძარი თანდათან ისევ გრანდიოზული სახით ამოდის მიწიდან, იკვრება, მთლიანდება და პირვანდელ სახეს იბრუნებს.

ვინც ამ აღმშენებლობის შთამბეჭდავ სურათს თვალყურს ადევნებს, გულგრილი ვერ იქნება. და მით უმეტეს, თუ იცის, რომ ტაძრის აღდგენაზე მომუშავე სამშენებლო კომპანია „ივერმშენის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ედიშერ ჯანჯღულია აფხაზეთიდანაა, სამურზაყანოს უძველეს სოფელ ოქუმიდან.

აწყურის ციხე-სიმაგრისა და აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაცია 2016 წელს ფონდი „ქართუსა“ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობით დაიწყო. რესტავრაციის უმნიშვნელოვნელოვანესი მისია კი გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომპანია „ივერმშენს“ ხვდა წილად.

აწყურის ტაძარი



აწყურის ციხე

ჟამთა სვლამ დააზიანა ციხე და მიწასთან გაასწორა ტაძარი, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევების სახით მოაღწია. თუმცა ტაძრის ჩამოშლილ ჩუქურთმებსა დ ლოდებში ამ მხარის ოდინდელი დიდებულება იკითხება. უცნობია ტაძრის პირველად აშენების თარიღი, მაგრამ ცნობილია, რომ მიწისძვრისგან დანგრეული ეკლესია XIV-XV საუკუნეებში სამცხის მმართველ ათაბაგ-ჯაყელებს აღუდგენიათ. ტაძარი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით, ისტორიული მნიშვნელობითა და გამორჩეული მონუმენტურობით, ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენდა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ აწყურში საეპისკოპოსო ტაძარი ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში არსებობდა. იგი მოქმედი იყო მხოლოდ XVI საუკუნის ბოლომდე. ისტორიული გადმოცემებით, აწყურის ღვთისმშობლის ტაძარი შთამბეჭავად დიდი და დიადი იყო. ტაძარი ყველაზე დიდი საკულტო ნაგებობა იყო საქართველოში და ხუროთმოძღვრების სამაგალითო ძეგლად მიიჩნეოდა. თურქების შემოსევების შედეგად აქ წირვა-ლოცვა შეწყდა, ამის შემდეგ კი ის გაიძარცვა.

ტაძრის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენდა აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: როდესაც მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვინ რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო საქადაგებლად, ყოვლაწმინდა ღვთისმშობელს საქართველო ერგო. მაგრამ ამ დროს მაცხოვარი გამოცხადა და უთხრა, მისი მიძინების ჟამი დამდგარიყო და საქართველოში თავის ნაცვლად ანდრია პირველწოდებული უნდა გამოეგზავნა და თან გამოეტანებინა ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ფიცარზე აღიბეჭდა ყოვლადწმინდა მარიამი, რომელსაც „წიაღთა თვისთა ეტვირთა განხორციელებული ჩჩვილი, ყოვლადსახიერი სიტყვაი ღმრთისაი.“

ღვთისმშობელმა დალოცა მოციქული, მიუთითა, რომ ხატი უნდა დაბრძანებულიყო აწყურში და გამოისტუმრა. ანდრია პირველწოდებული საქართველოში I საუკუნეში ამ ხატით შემოვიდა. მან წმიდა სვიმონ კანანელთან ერთად მოიარა ტრაპიზონი, დიდაჭარა, ეგრისი. დიდაჭარაში ხელთუქმნელი ხატის ასლი დატოვა და პირველი ტაძარიც ააგო. შემდეგ კი აწყურს მოვიდა. აქ ხატმა სასწაულები მოახდინა, მიცვალებული გააცოცხლა, კერპები დაამსხვრია, რამაც ადგილობრივი მოსახლეობა მოაქცია. ანდრია პირველწოდებულმა ღვთისმშობლის ხატი აწყურში დაბრძანა და აქ პირველი საეპისკოპოსო დაარსა. ხატმა მთელ ქვეყანაზე დიდად გაითქვა სახელი, საუკუნეთა განმავლობაში აქედან ეფინებოდა ღვთისმშობლის მადლი და დალოცვა საქართველოს და აღესრულებოდა მრავალი კურნება და სასწაული, მათ შორის უცხოეთშიც. მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე ამ დროისათვის დაკარგულია. მისი ყველაზე ძველი ასლი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ამბობენ, ქართული დიდების მოწმე და თავადაც დიდებული აწყურის უდიდესი ტაძარი რომ აღდგება და იქ მაცხოვრის მიერ ჩვენს შემწედ მოვლენილი აწყურის ღვთისმშობლის ხატისადმი ლოცვები აღევლინება, საქართველოც გამთლიანდება და გაძლიერდება, როგორც ტერიტორიულად, ისე სულიერადო.

აწყურის ხატის სასწაულებზე ბევრი იწერება და იქნებ მან ახლაც შეიძლოს ეს სასწაული. აწყურის ტაძრის აღდგენის სათავეებთან დროებით წართმეული აფხაზეთის მკვიდრიც იქნებ ამიტომაც შეარჩია უფალმა.

> აწყურის მიუდგომელ კლდოვან კონცხზე წამომართული აწყურის ციხე საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური კომპლექსია, რომელიც X-XI საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე მტკვრის ხეობასა და სამხრეთიდან მომავალ ერთ-ერთ უმთავრეს გზას დარაჯობდა. ის არაერთხელ გამხდარა ქართველთა გმირული ბრძოლების მოწმე.

გელა ბეჟდიანაშვილისა და ბადრი ვადაჭკორაის ფოტოები.

დევნილი ახალგაზრდების „ევროპული არდადეგები”

მაია შონია

დისტანციური სწავლებით გადაღლილი დევნილი ახალგაზრდებისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით გამორჩეულ ადგილებში, შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები და სემინარები მოეწყო. ისინი ჩვენი ქვეყნის ევროპასთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე, დასავლურ ღირებულებებსა და ევროინტეგრაციის პროცესში მაქსიმალური ჩართვის აუცილებლობაზე ისმენდნენ ლექციებს. პარალელურად კი სამშობლოს არაერთი ღირსშესანიშნავი ძეგლისა თუ ადგილის ისტორიასაც ეცნობოდნენ.
ამ იდეას რამდენიმე თვის წინათ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა სააგენტოს დირექტორმა ლიკა კვარაცხელიამ და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა თამარ წულეისკირმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მემორანდუმის ფარგლებში საინფორმაციო ცენტრი და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოსწავლეებში ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ერთობლივ პროექტებს დაგეგმავდნენ.

სწორედ ამ შეთანხმების ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ევროპული არდადეგები“, რომელიც გარდა შემეცნებითი ხასიათის სემინარებისა და შეხვედრებისა, ქვეყნის შიდა ტურიზმის პოპულარიზაციასაც ითვალისწინებდა.

პროექტის მიზანი იყო დევნილი მოსწავლეების ევროინტეგრაციის საკითხებზე მაქსიმალური ინფორმირება; ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართვის ხელშეწყობა. პროექტის ორგანიზატორების აზრით, მსგავსი შეხვედრები ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს, მეტი ინფორმაცია მიიღონ დასავლეთთან ურთიერთობის უპირატესობაზე და ხელს უწყობს ანგრდასაელური პრობაგანდის, გავრცელებული მითებისა თუ სტერეოტიპების დაძლევას.

პირველი შეხვედრა მარტგილში, სალხინოში მდებარე დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ეზოში ჩატარდა. პროექტის მონაწილე ახალგაზრდებმა მოისმინეს საუბარი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე და გაეცნენ ინფორმაციას იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

„ევროპული არდადეგების“ შემდეგი გაჩერება იყო იმერეთი, სათაფლია, სადაც საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ერთდღიანი სემინარი წყალტუბოსა და ქუთაისში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს ჩაუტარდათ. სათაფლიის ნაკრძალში მოეწყო ექსკურსია. „საქართველოს ეროვნული პარკების“ წარმომადგენელი ახალგაზრდებს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ესაუბრა.

შემდეგი შეხვედრა ახპნიძის მუნიციპალიტეტში, ვარძიაში შედგა. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ერთ-ერთი მიზანი საქართველოს შიდა ტურიზმის პოპულარიზაციაც იყო, სემინარებისა და შეხვედრების დასრულების შემდეგ პროექტში მონაწილე ახალგაზრდებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს მხარდაჭერით ვარძიის სამონასტრო კომპლექსში ექსკურსია ჩაუტარდათ.

„ევროპული არდადეგები“ აჭარაში გაგრძელდა. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გამართულ სემინარში ფოთსა და ბათუმში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. მათ ასევე ჩაუტარდათ სემინარი ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე, ბოლოს დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი და დელფინარიუმი.

პროექტს „ევროპული არდადეგების“ მეხუთე, დასკვნითი სემინარი წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა. კახეთში ჩატარებულ ღონისძიებას რუსთავში, საგარეჯოსა და თელავში მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები დესწრნენ.

პროექტი „ევროპული არდადეგები“ ერთი თვის განმავლობაში საქართველოს ხუთ სხვადასხვა მხარეში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა სამასმა ახალგაზრდამ მიიღო და ყველა მათგანს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ.

შეხვედრებს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი დავით ფაცაცია, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი თამარ წულეისკირი, აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დირექტორი ლიკა კვარაცხელია, საქართველოსა და აფხაზეთის არმ მთავრობის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

„ხელოვნება მშვიდობისათვის“

ასე ერქვა საღამოს, რომელიც წინანდალში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით გაიმართა. საღამოს ფარგლებში მოეწყო აფხაზი ხელოვანის სპექტაკლის ონლაინ-ჩვენება და ნატო მარშანიას ქართულ-ინგლისურენოვანი წიგნის „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ პრეზენტაცია. აქვე აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ კონცერტი გამართა.

სალომე თორია

წიგნი „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ დოკუმენტურ მასალაზეა აგებული და მოგვითხრობს 1921 წელს რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოდან დევნილი, ევროპაში ემიგრირებული აფხაზი არისტოკრატების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მათ მცდელობაზე, ქართველ ემიგრანტებთან ერთად თავიანთი წვლილი შეეტანათ საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისაგან გათავისუფლებაში. წიგნის გმირები არიან ავბედითი ისტორიის გამო სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული, საქართველოზე ფიქრსა და ოცნებაში აღსრულებული, თითქმის მივიწყებული ადამიანები: ვლადიმერ ემუხვარი, ივანე შერვაშიძე, ნიკოლოზ და ზურაბ ჩხოტუები, ვერონიკა და ჯოტო ემუხვარები, რაფიელ ჩხოტუა, მიხეილ და ჯოტო შარვაშიძეები, მერი შერვაშიძე, პეტრე მარღანია. წიგნი აფხაზეთის კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სააგენტომ გამოსცა.

საღამოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ანზორ მარგიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე, მინისტრის მოადგილე მარინა შენგელია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ესწრებოდნენ.

პროექტის მიზანია აფხაზეთის კულტურის, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენა, აფხაზეთის საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება და პოპულარიზაცია, ქართულ-აფხაზური ტრადიციული კულტურული კავშირების აღდგენა, თანამშრომლობა, დიალოგი და ა. შ. რაც დადებით გავლენას ახდენს სამშვიდობო პოლიტიკაზე.

გურამ ოდიშარია:

მათ სოხუმში პოეზიის, თეატრისა და მუსიკის მოყვარული საზოგადოება შექმნეს

მაია შონია

გენო კალანდიას, დიმიტრი ჯაიანისა და გურამ ყურაშვილის სახელები აფხაზეთის კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთაგან გამორჩეულია. ისინი ბოლო წლებში, სამწუხაროდ, ერთმანეთის მიყოლებით წავიდნენ ამქვეყნიდან და თან აფხაზეთში დაბრუნების მოურჩენელი ტკივილი გაიყოლეს. მათ წარმატებული შემოქმედებით ცხოვრებას, რომელიც სოხუმიდან დაიწყო და შემდეგ დევნილობაში, თბილისში გაგრძელდა, მწერალი გურამ ოდიშარია იგონებს:

- ახლოს ვიყავი გენო კალანდიასთან და დიმა ჯაიანთან, კარგად ვიცნობდი და ვაფასებდი გურამ ყურაშვილის შემოქმედებას.

გენო კალანდია იყო შესანიშნავი პოეტი, საოცრად გულწრფელი შემოქმედი, რომელმაც ქართულ პოეზიაში სრულიად განსხვავებული და ახალი ხედვა შემოიტანა. როცა გავიცანი, უკვე ცნობილი პიროვნება იყო. მე მასზე 12 წლით უმცროსი ვარ. მაშინ გამოდიოდა სოხუმის რაიონული გაზეთი „კომუნისტური შრომა“,რომლის ლიტერატურულ გვერდს გენო კალანდია ხელმძღვანელობდა. ჩემი ლექსები პირველად სწორედ მან გამოაქვეყნა ამ გაზეთში. მახსოვს, გაზეთის ნახევარი გვერდი დამითმო. მანამდე თითქოს სხვაგან ვიყავი გამწესებული, მაგრამ ამიერიდან ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება სამუდამოდ ლიტერატურას დაუკავშირდა და ჩვენი გზები კიდევ ბევრჯერ გადაიკვეთა. გენო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მე კი ჟურნალ „რინის“ რედაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ის ზუგდიდში დაიბადა, სკოლა და ტექნიკუმი იქ დაამთავრა და მერე გადმოვიდა სოხუმში, ეს ქალაქი ძალიან შეიყვარა. ჩვენი ურთიერთობის ფესვებიც სოხუმში ჩაისახა. შემდეგ იყო ომი და დევნილობა. აფხაზეთი ზოგმა გემით, ზოგმა თვითმფრინავით, ზოგმა მანქანით დატოვა. ჩვენ უღელტეხილით ჩამოვედით და იქაც შევხვდით ერთმანეთს. გენო კალანდიასთან ეს შეხვედრა ჩემს ნიგნში „დევნილთა უღელტეხილი“ აღვწერე. აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ, ერთ წელიწადში, ჟურნალ „რინის“ რედაქტორობიდანაც წამოვედი და ჩემი გზა ვიპოვე. გენო კი აფხაზეთის მწერალთა კავშირს სიცოცხლის ბოლომდე, 40 წელი ხელმძღვანელობდა და ეს იყო მოვლენა აფხაზეთის მწერლობასა და კულტურულ ცხოვრებაში. ამ ყველაფრის პარალელურად, ჯერ კიდევ აფხაზეთში ყოფნის პერიოდიდან, საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს. 12 წელი იყო დეპუტატი, შემდეგ კი, სიცოცხლის ბოლომდე - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი. ის ისეთივე გამორჩეული საზოგადო მოღვაწე და პოლიტიკოსი იყო, როგორც პოეტი, ყოველთვის აქტიური, ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა შემოქმედებაშიც და საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც. რაც დრო გავა, მით მეტად დაფასდება მისი ღვაწლი.

სოხუმში რომ ჩამთვიდა, **დიმა ჯაიანი 22-23** წლის სენაკელი ბიჭი იყო. მან, როგორც ნიჭიერმა კაცმა და აქტიურმა ადამიანმა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაითქვა სახელი. დიმა უცებ ეზმაურებოდა ყველა აქტუალურ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენას. კარგი ორატორი იყო. სოხუმის თეატრის დირექტორობის დროს არაერთი სპექტაკლი დადგა ომის თემაზე. მასთან დიდხანს ვთანამშრომლობდი და ახლოს გავიცანი მაშინ, როცა ჩემი პიესის მიხედვით, თემურ ჩხეიძის რეჟისორობით, დადგმული სპექტაკლი „ზღვა, რომელიც მორავ“. დიმამ შეასრულა მნერლის როლი, რომელიც სოხუმში ჩადის და შემდეგ ამას მოყვება განსჯა და მსჯელობები... მან დიდი ენერგია ჩადო ამ როლში, უნაკლოდითამაშა. იმდროინდელ მაღალჩინოსნებს არ მოეწონათ ეს სპექტაკლი, რომლის პრემიერაც 2005 წელს შედგა. იქ იყო საუბარი ომის მშვიდობიან მოგვარებაზე და იმაზე, რომ აფხაზს თავისი სიმართლე ქქონდა და ქართველს - თავისი. ეს არ აღმოჩნდა მისაღები და დაშალეს ყველაფერი, სპექტაკლიც დაიშალა და თეატრიც. ეს ძალიან ცუდი ნაბიჯი იყო. ამით აფხაზურ კულტურას დიდი დარტყმა მიაყენეს.

დიმა ჯაიანი 8 წელი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. იქაც აქტიურობით გამოირჩეოდა. შემდეგ გახდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის შესანიშნავი მინისტრი. გენო და დიმა ჰგავდნენ ერთმანეთს იმაში, რომ ორივენი წარმატებულები იყვნენ როგორც შემოქმედებით, ისე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გურამ ყურაშვილს სოხუმიდან ვიცნობდი. ძალიან წარმატებული იყო, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი დიდი პოპულარიზატორი აფხაზეთში. გურამი შესანიშნავად ხელმძღვანელობდა ამ მიმართულებას. მოგვიანებით თბილისში მან ახალი კაპელა შექმნა, რომელმაც სხვა სიმაღლეს მიაღწია, გამორჩეული გახდა ამ სფეროში და მალე საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. გურამი წარმატებისა და ოსტატობის ზენიტში იყო, როცა ის ნაადრევად გარდაიცვალა. სასიხარულოა, რომ გურამის საქმე წარმატებით გრძელდება, მას შესანიშნავი ხელმძღვანელი ჰყავს და კაპელა დღესაც უმაღლეს შეფასებას იმსახურებს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. გურამის ღვაწლი კი მის შექმნასა და დაოსტატებაში უდიდესია და დაუვიწყარია.

მოვა დრო, სამივე მოღვაწის - გენო კალანდიას, დიმა ჯაიანისა და გურამ ყურაშვილის შემოქმედება უფრო მეტად გაანალიზდება და სათანადოდ დაფასდება. მაღლობა ღმერთს, ისეთი ეპოქაა, როდესაც არსებობს გენოს პოეზიის სალაშობნი, დიმას სპექტაკლების, გურამის კონცერტების ჩანაწერები და მომავალ თაობებს მათი მოსმენის საშუალება ექნებათ. მათი ნასვლით კი დაგვრჩა დიდი ტკივილი და სიცარიელე. ეს ასეა ხოლმე, როდესაც დიდი ხელოვანები მიდიან. მათ იმ სიმაღლეზე ანიეს თამასა, რომ მომავალი თაობები ვალდებულნი არიან, მას გაუსწორდნენ. ამ ადამიანებმა ახალ თაობას გზა გაუკვალეს იმითაც, რომ კარგი პიროვნის მოყვარული, კარგი სპექტაკლების მაყურებელი და კარგი მუსიკის მსმენელი საზოგადოების ჩამოყალიბება შეძლეს. ასე რომ, მათი კვალი რჩება, მათი საქმე კი გრძელდება და ვისურვებდი, ახალგაზრდებს მათ მაგალითზე ახალი სიმაღლეები დაეპყროთ, რადგან ვგვითარება მუდმივი და დასუსრულებელი პროცესია.

უფლის ნებით

მინაწერი გენო კალანდიას წიგნზე „ისევ რეკვიემი“

„მშვიდობით! - გულზე გეფიცნის მზეცრი შაბათი... ჩემი ხსოვნის შაბათი“.
(ლექსიდან „შაბათის რეკვიემი„)

ელგუჯა მარღია

მე თქვენ ხილვებს მივსდევ, აფხაზეთში მივალ ...
მწველი რეკვიემით უკვე სნეული ვარ;

რა წუხილით წერეთ... რა ტკივილით რანდეთ...
და პოეტის ლოცვა აღვლინეთ ცამდე;

თვალი მიადევნეთ გაუსაძლის კადრებს,
ერთი კაცის გული, როგორ იტევს ამდენს...

კვლავ უყურებთ ცხადად ჭუებრსა და საკენს,
არ მრთელდება რადგან გაბზარული სარკე...

სულში ჩამეღვარა, დარდად ჩაჩეღენთა,
იმ შაბათის წვიმა... იმ შაბათის სევდა;

იმ შაბათის ზარი... იმ შაბათის ელდა,
ის შაშვი და ქალი, რო მოთქვამდნენ ერთად...

მე თქვენს ფიქრებს მივსდევ,
ტანჯვის გზებით შივალ,
რაც დალატით დავმეთ... გაყიდული მტკივა;

გაირინდა სიგრცე... გაიყინა წყაი,
ვაი, ვიწამლები მეც შაბათის შხამით...

და თქვენსავით ახლა მზის წიაღში ვჩქარობ,
სადაც ჩვენი რიწა მოლოდინით ხარობს...

სადაც მაფშალია სევდიანად გალობს,
გველოდებით, ვიცი, ონამჩირევ, გალეს;

განა იმედების კვლაპტრები ჩაქრა,
ისევ ნაგვიხუტებს ტყვარჩელი და გაგრა...

შენ, სოხუმის წვიმავ... შენ, ზღვის ნიავ-ქარო,
დაგეწყოთ მინდა, ვით მწყურვალი წყაროს;

მინდა გესალბუნოთ, მინდა დაგიჩოქოთ,
მინდა გესაუბროთ, მომენატრეთ როგორ...

თქვენთან ნატიობი და სიმღერა მინდა,
ნიჟარების სითბო წამოვკრიფო ზღვიდან...

შენ, აფხაზო ღვიძლო, ტუქუმტეო ჩემო,
უბეში გყავს გველი, ერთგულებას ჩემობს...

ზღვა-ხმელი სურს მოსკალს, თვალში გაყრის ნაცარს,
გაიღვიძე მალე, ჩემო აფხიარცა...

ნუთუ დაგავიწყეს მომშე ჩონგურის ხმა,
გულსა იგრძნოს გული, სიხსნი იცნოს სიხსნამა...

შენ მოყვასის ნიღბით მოსეულო მტერო,
მართალ გამარყვევება ალარ დაიჯერო...

უპატრონე შენსას, ტუნდრასა და ტრამპალს,
მე ჩემ ტუტუმტესთან გასაყოფი რა მაქვს...

გაიღვიძე მალე, ჩემო აფხიარცა...
დავუბრუნო ერთად „ხორუმი“ და „ფარცა“.

ვაგუგუნოთ ძმებო, „ვარადა“ და „რერო“,
ლაჟვარდები ვხატოთ, სიყვარულზე ვწეროთ...

ჩვენი ტკივილები უნდა გავამრთელოთ,
ისევ ერთიანი იყოს საქართველო!

როგორც გვახსოვს უწინ, როგორც იყო ადრე,
ერთად ვუმკურნალოთ ჩვენ წყლულსა და დარდებს;

ერთად გავლალადღებით, ერთად გავიხარებთ,
გავათენებთ ერთად იმ შაბათის ღამეს...

ერთად გავშლით სიფას, ერთად დავკალავთ ქაცარს,
ერთად ავატირებთ ჩონგურ-აფხიარცას.

ერთად გვაპკურებენ ბარძიმიდან შირონს,
გაბრწყინდება ზღვა და ზეცა უნაპირო...

ასეთია უფლის ნება-განაჩენი,
ერთად შევხვდეთ ყინწი ჩვენი გადარჩენის...

თბილისი,
26 მარტი, 2009 წ.

დიმიტრი (დიმა) ჯაიანს 70 წელი შეუსრულდებოდა

საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი, სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თატრის ნამყვანი მსახიობი, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ათეულობით წლების განმავლობაში, 2013–2017 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი 20 აგვისტოს 70 წლის შესრულდებოდა.

პიროვნული ხიბლით გამორჩეული, ქარიზმატული, გამოკვეთილი ინდივიდუალობისა და ცხადი თვითმყოფადობის მქონე მსახიობი - ასეთი უყვარდა და ეძვირფასებოდა დიმიტრი ჯაიანი ერთგულ მაყურებელს. მის მიერ განსახიერებული საინტერესო და მრავალფეროვანი სახეებიც სოხუმსა თუ თბილისში მკვეთრი ქართული სათქმელით იყო აღბეჭდილი და ქართული თეატრის საგანძურში დარჩება მარად.

დიმიტრი ჯაიანი იყო პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანი, რომელიც თავის სათქმელს როგორც როლებით, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამოხატავდა. მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება მხოლოდ სოხუმის თეატრს უკავშირდებოდა, რაც ძალიან ეამაყებოდა. სცენიდან ხშირად აცხადებდა კიდეც, რომ მას სოხუმის თეატრის გარდა, სხვაგან არსად უმუშავია. სოხუმის თეატრის დევნილობაში ფეხზე დაყენებისა და მისი წინამძღვრობის მისიაც, იმ უმძიმეს პერიოდში, განგებამ მასვე დააკისრა.

ცალკე უნდა აღინიშნოს დიმიტრი ჯაიანის როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის როლი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას განსაკუთრებულად გამოიკვეთა მისი მენეჯერული ნიჭიც. მან მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა სამინისტროს განახლებისა და აღორძინების გზაზე და თავისებური ხიბლი შესძინა აფხაზეთიდან დევნილი კულტურული კოლექტივებისა და ხელოვანების შემოქმედებით საქმიანობას. მასზე კიდევ ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, თუმცა ისედაც ბევრს ამბობს მის მიერ განვლილი ცხოვრება.

აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ისაკლისებს დიმიტრი ჯაიანს. ნათელში იყოს მისი სული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

უიმისოდ სოხუმის თეატრი დაობლდა

დიმა ჯაიანი გამორჩეულად დიდბუნებოვანი პიროვნება იყო და ის დაავლდა ქვეყანას, აფხაზეთს, ჩვენს საზოგადოებას და გასაკვირი არცაა, რომ უიმისოდ სოხუმის თეატრი დაობლდა. თეატრი, რომელიც ბატონმა დიმამ გადაარჩინა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ის ჩვენი თეატრის მფარველი ანგელოზი იყო, მისი მეუღლე და ფარი. სწორედ მისი ღვაწლია, რომ სოხუმის თეატრს დღეს საკუთარი შენობა და კერა აქვს. ეს იყო დიმას ოცნება და მიხარია, რომ მას ეს ოცნება სიკვდილამდე აუხდა.

დავით საყვარელიძე

დიმა დღემდე მაკლია

დიმას გარდაცვალების ამბავი პირველად, რომ გავიგე, თავზარი დამეცა. მერე, თითქოს ნელ-ნელა შევეჩვიე. თუმცა, მალევე ახალი ტალღა დაიწყო და ეს კაცი დღემდე მაკლია. დღემდე მგონია, რომ გაიღება კარი და შემოვა. ყველამ იცოდეს, რომ დიმა იყო ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა ქართულ თეატრში. დიმა ჯაიანს ჰქონდა საკუთარი სახელი და გვარი, რომელიც ყველამ იცოდა.

მან ბევრი რამ გააკეთა როგორც მსახიობმა, როგორც მოქალაქემ, როგორც პატრიოტმა. იყო ძალიან საინტერესო კაცი, პოეზიის მოყვარული, კარგად კითხულობდა, უყვარდა თავისი ქვეყანა, სხვისი წარმატება უხაროდა. ეს ყველას არ შეუძლია. დიმას გარდაცვალების შემდეგ თითქოს კიდევ უფრო მეტად გავიგეთ მისი ფასი და კიდევ ერთხელ ვაღიარეთ, რომ ის იყო სცენის ნამდვილი რაინდი.

გოგი ქავთარაძე

ყოველთვის ბოლომდე გულწრფელი იყო

დიმა ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ ბოლო სიტყვა არ ჰქონდა ნათქვამი. მან თან წაიღო საოცარი პოეტენციალი. როცა კარგ კონცერტზე ხარ, გინდა, რომ არ დასრულდეს და ის უცბად სრულდება, ასეა უეცრად დასრულდა თითქოს დიმას ცხოვრებაც. დიმა ყველას განსაკუთრებულად გვაკლია. გვაკლია, როგორც მინისტრი, მსახიობი, მეგობარი და პიროვნება. იგი ყოველთვის ბოლომდე გულწრფელი იყო და სათქმელსაც ყოველთვის ბოლომდე ამბობდა.

ის ბოლომდე იხარჯებოდა როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში. ჩვენს თვალწინ ინვებოდა სცენაზე, შეიძლება ითქვას, რომ იფერფლებოდა! ყოველთვის მიკვირდა, როგორ უძლებს ამდენ ემოციას, ამდენ გულწრფელობას მისი მტკივანა გული-მეთქი. დიმიტრი ჯაიანი კი არ თამაშობდა, არამედ ცხოვრობდა სცენაზე. მან სიკვდილზე გაიმარჯვა თავისი საოცარი გმირებით, რომლებსაც სცენაზე განასახიერებდა.

ვახტანგ ყოლბაია

დიმა ყველაფერს მძაფრად განიცდიდა

როცა აფხაზეთის ომიდან დაბრუნებულ დიმა ჯაიანს ბინის გასაღები გადასცეს, რათა მას თბილისში თავშესაფარი ჰქონოდა, ის მიტრიალდა და გასაღები ქმარგარდაცვლილ ბავშვიან ქალს მიანდა და უთხრა ეს შენიაო. აი, აქ იწყება და მთავრდება ჩემთვის დიმა, იმიტომ რომ თუ ასეთი კაცები ჯერ კიდევ არიან საქართველოში, მაშინ მთავარი ძარღვი გადარჩენილა და ყველაფერი კარგად იქნება. დიმასნაირი ადამიანები დიდხანს ვერ ცოცხლობენ, რადგანაც იგი სიხარულსა და სიყვარულს, ტკივილსა და დარდს... გულთან ახლოს უშვებდა და მძაფრად განიცდიდა. ასეთი ძვირფასი იგი ამითმაც იყო.

ქეთი დუმბაძე

თეთრი ჩოხით სოხუმის სანაპიროზე

სტუდენტობიდან მახსოვს მისი როლები ქართული და აფხაზური თეატრების სცენებზე, მახსოვს, როგორ თამაშობდა აფხაზურენოვან სპექტაკლებში, თავიდან მისი ხათრით დავდიოდით აფხაზურ თეატრში.

...მახსოვს მისი მეფე გიორგი და იულიუს ცეზარი, ცეცხლოვანი გამოსვლები მიტინგებზე... ხშირად იმეორებდა - „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“.. ბოლო 24 წლიანი ისტორია ადასტურებს, რომ მართალი იყო პოეტიც და მსახიობიც. სოხუმში დიმა ჯაიანის თბილისური კოლორიტის მატარებელს ეძახდნენ, მაგრამ... თბილისში სოხუმზე უსაზღვრო მონატრების მატარებელი ქართველი იყო. ერთხელ გადაცემაში მიმიწვია... ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, სოხუმზე და აფხაზეთზე, ჩვენს სატკივარზე. უსოხუმოდ ვიხრჩობით მითხრა, ცრემლები მოადგა და მეც ამატირა... და ამ მონატრებით წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჩემი თაობის ხსოვნაში ის დარჩება როგორც ემოციური, გულწრფელი ქართველი - თეთრი ჩოხით სოხუმის სანაპიროზე.

ლია ახალაძე

როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატი

ჩვენი ურთიერთობა იმით იყო განსაკუთრებული, რომ მან აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან ურთიერთობისას კიდევ ერთი უნარი გამოავლინა: საზოგადოებას მოევლინა, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატი. ალბათ ოდესმე დავბრუნდებით აფხაზეთში და ძალიან სამწუხაროა, რომ დიმა იქ ცოცხალი ვერ დაბრუნდება, თუმცა იგი დამკვიდრდება სოხუმში, როგორც ხელოვანი, რომელიც უკვდავია ქართულ თეატრალურ სცენასა და ცხოვრებაში, განუმეორებელი და განსხვავებულად საოცარი ნიჭიერებითა და ცეცხლით აღბეჭდილი.

ლევან ღვინჯილია

ის ძალიან კარგი პარტნიორი იყო

ჩვენ ერთად ძალიან ბევრი სპექტაკლი ვითამაშეთ. მე არ მახსოვს მაყურებელს აპლოდისმენტების გარეშე დაეტოვებინოს მისი პასუხი, როცა ოთარი ეტყოდა ,,ქრისტე აღსდგა!“ და დიმა პასუხობდა ,,ჭეშმარიტად!“ ერთხელ ეს სპექტაკლი მოსკოვში, ტაგანკის თეატრში ვითამაშეთ და მაშინ იქ ითქვა, კარგი იქნებოდა ამ რანგის მსახიობი რუსულ თეატრსაც ჰყოლოდაო. ერთხელ კიდევ „მედეაში“ ითამაშა მეფე კრეონი და ამ სპექტაკლით ბევრი ქვეყანა მოვიარეთ. როდესაც სცენაზე ასპასია პაპატანასიუ ამოვიდა, მან თქვა, რომ ასეთ კრეონთან დიდი სიამოვნებით ითამაშებდა.

დიმა ძალიან კარგი პარტნიორი იყო და აგრეთვე თეატრის ძალიან საინტერესო ხელმძღვანელი, რადგანაც მის ხელში სოხუმის თეატრმა ძალიან რთული პერიოდი გაიარა. სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი წინააღმდეგობითა და ტრაგიკული ფურცლით იყო სავსე დიმას ცხოვრება.

გოჩა კაპანაძე

გურამ ყურაშვილი განსაკუთრებული დირიჟორი იყო

თამაზ დარსაველიძე, *მუსიკისმცოდნე*

ნოტებზე აღბეჭდილი მუსიკის ღირებულება თავისთავად ნულის ტოლფასია მანამ, სანამ არ შესრულდება. ხოლო ნანარმოების გაგულერება ითხოვს ინტერპრეტატორის, ერთგვარი თანაავტორის, მონანილეობას. მაესტრო გურამ ყურაშვილი ქართული საგუნდო სივრცის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. სწორედ მისი მოღვაწეობის შედეგია, ის რომ აფხაზეთის საგუნდო კაპელა არა მხოლოდ უტოლდება, ზოგადად მუსიკის ამ ჟანრის, ევროპელ და მსოფლიო შემსრულებელთა მწვერვალებს, არამედ სრულიად დამსახურებულად ლიდერის პოზიციებსაც იკავებს.

გურამ ყურაშვილს არ სწამდა აქსიომების, კლიშეების, სტანდარტების. იგი, როგორც შეეფერებოდა ხელოვანთა მონინავე უმცერესობას, მუდამ შემოქმედებით ძიებაში იყო და გააჩნდა მუსიკის საკუთარი შეფასება და ხედვა.

უკლებლივ ყველა ნანარმოები, მომზადების სტადიაში განიცდიდა შემოქმედების პროცესს, ანუ დირიჟორისეულ ინტერპრეტაციას და მხოლოდ მაშ შემდეგ იძენდა იმ სახეს, რაც აკმაყოფილებს ყველაზე მომთხოვნ მსმენელს თუ პროფესიონალს, რომლებიც, მთელ მსოფლიოში სათანადოდ აფასებენ ბატონ გურამ ყურაშვილის გუნდის გამორჩეულ და უალრესად მოქნილ ულერადობას.

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელას რეპერტუარშია ერომანეთისაგან სტილისტურად განსხვავებული, საგუნდო მუსიკის ჭეშმარიტი შედევრები, რაც დირიჟორისგან, ანუ ინტერპრეტატორისგან მოითხოვს სუბიექტურ აღქმას, ინდივიდუალურ ხედვას, და ამ ხედვის განხორციელების გზებს და საშუალებებს მოცემული მასალის, ანუ გუნდის შესაძლებლობის და კონკრეტული ნანარმოების ხელნერის თავისებურების გათვალისწინებით.

კერძოდ, რეპერტუარში წარმოდგენილ ავანგარდულ-მოდერნისტულ ნანარმოებებს ახლავს ინტონაციური სირთულე, რაც გამოიხატება ტონალური ცნების პირობითობაში, ჰარმონიის – აკორდების მულტისტრუქტურულობაში, რაც შემსრულებელს უქმნის გრანდიოზულ სირთულეს მასალის ათვისებასა და მისი მაღალმხატვრული დონის შესრულებაში.

ამ ამოცანის გადალახვას საქართველოში, ხშირ შემთხვევაში სიმფონიური ორკესტრებიც კი ვერ ახერხებენ, რაზეც მეტნყველებს მათი რეპერტუარი. აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია. უდავოა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა და განსაკუთრებული ადგილი ენიჭება დირიჟორს.

სწორედ დირიჟორის, ბატონ გურამ ყურაშვილის დაუღალავი, სისტემური, მიზანდასახული შრომის შედეგია მსოფლიოში საუკეთესოთა შორის გამორჩეული საგუნდო კაპელა – აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა.

გუნდის რეპერტუარშია აგრეთვე ჩრდილო ამერიკული – ლუთერანული საეკლესიო ნანარმოებები, როგორც ევროპული ასევე აფროამერიკული (სპირიჩუელს) ულერადობის, რაც თავისთავად მოითხოვს დირიჟორისგან განსხვავებულ მიდგომას გუნდისადმი.

მაესტრო გურამ ყურაშვილის დამსახურება გახლავთ ის, რომ გუნდი შესანიშნავად დაეუფლა, ეგრეთ წოდებული, ცალკეული ხმების ერომანეთში გადახლართვის ტექნიკას, და როგორც, მულტისტრუქტურული აკორდების ფაქტს, იდეალურად დაბალანსებულ forte-ს თუ piano-ს.

თამამად შეიძლება მისი გუნდის ჟღერადობა შევადაროთ ბუნების ხმების პოლიფონიას: ფოთლების შრიალს, ჩიტების გალობას, ოკეანის სუნთქვას, მზის ამოსვლის სიმფონიას თუ მშვიდ დისს.

ბატონ გურამ ყურაშვილის გამორჩეული ხელწერის შედეგია ისეთი ნანარმოებიც, როგორიცაა „Lacrimosa“, სადაც იდეალურად არის შერწყმული (დირიჟორისეული ინტერპრეტაციით) სამი განსხვავებული სასიმღერო მანერა: სოლისტის „ტირილი“, ქალთა გუნდის გახსნილი (ლითონმაგრილული) მოთქმა და მამაკაცების „გრიგორიანული“ – გრილი ფონი.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ადგილი გურამ ყურაშვილის და მისი კაპელას შემოქმედებაში ეკავა თანამედროვე ქართველ კომპოზიტორებს. მათი მუსიკა მრავალფეროვანია და სტილისტურად განსხვავებული, ჰარმონიულად და მელოდიურად რთული და ლამაზი, რაც დირიჟორისგან მოითხოვს გუნდისთვის თითოეული მოტივის ახსნას და მთლიან კონტექსტში აღქმას, ცალკეული კომპოზიტორის მხატვრული ჩანაფიქრის ახსნას და მათ პოლიტონალურ, პოლიფონიურ ხელწერაში ჩანდომას, რათა შედეგად მსმენელს მიენოდოს კომპოზიტორის ჩანაფიქრის სრულყოფილი, სრულფასოვანი ვერსია.

გუნდის რეპერტუარში შემავალი დიატონური, ტრადიციული მუსიკა, ატონალური ნანარმოებები, მულტიმოდალური და მულტიტონალური შედევრები შესაბამისად მოითხოვს მრავალ განსხვავებულ სამუშაოსწულებელ ტექნიკას და მეთოდიკას.

დასაფასებელია ის, რომ საქართველოს პატივსა ხელოვანი გურამ ყურაშვილის საზით, რომელიც მუშაობდა თითოეულ შემსრულებელთან, თითოეულ ბგერაზე და ინტონაციაზე. ხმის მონდების არასტანდარტულ ტექნიკაზე და არხმენებდა მათ საკუთარი ხედვის მართებულობაში.

ასე იძენდნენ თანამოაზრეებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტიური მემოქმედებისთვის.

არ არის საკმარისი გუნდის დკომპლექტება მაღალი კლასის პროფესიონალებით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დირიჟორს, მის მუსიკალურ „ფილოსოფიას“.

განსაკუთრებული გუნდი სხვა არაფერია თუ არა განსაკუთრებული დირიჟორი. სწორედ ასეთი დირიჟორი გახლდათ დიდი მაესტრო – ბატონი გურამ ყურაშვილი.

აფხაზეთის ქალდი

ქობლიანიძეთა უნიკალური კოლექციიდან

მაია შონია

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფოტოარქივის შექმნა გოჩა ქობლიანიძემ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო. პროფესიით ისტორიკოსის, საქწიგნის თანამშრომლის ძველი ამბებით დაინტერესება ბუნებრივი იყო. მამის დაწყებული საქმე შვილმა, არქიტექტორმა ბაადურ ქობლიანიძემ განაგრძო. თბილისისა და მისი არქიტექტურის სიყვარული ფოტოკოლექციის შექმნის საოცარ ვნებაში გადაიზარდა. მან ძველი ფოტოების შეგროვება 90-იან წლებში დაიწყო, მაშინ, როცა თბილისში ყველა ყველაფერს ჰყიდდა. ფოტოებს ჰყიდულობდა მშრალ ხიდზე, ოჯახებში შემორჩენილი არქივებიდან, კერძო კოლექციებიდან გამოტანილს, ასევე უუქციონებზე. გულგრილი ვერ რჩებოდა ვერც ერთი კადრის მიმართ, რომელიც საქართველოში ან საქართველოს შესახებ იყო გადაღებული.

ქობლიანიძეთა ფოტოკოლექცია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ანუ ფოტოგრაფიის დაარსებიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე დროის მონაკვეთს მოიცავს.

კოლექცია ისეთ ისტორიებს, ამბებს, პეიზაჟებს, შენობებს, ადამიანთა პორტრეტებს ინახავს, რომლებიც უკვე დაკარგულად მიაჩნდათ. ეს არის მხოლოდ ფოტოორიგინალების კოლექცია, რომელიც ასლებს არ შეიცავს, ამბობენ ამ დარგის სპეციალისტები.

აქ ნახავთ ცნობილი ფოტობელოვანების - ალექსანდრე როინაშვილისა და დიმიტრი ერმაკოვის ფოტოებს. მათ გვერდით ფოტომოყვარულების მიერ აღბეჭდილ უბრალო ადამიანებისა თუ ეპოქალური მოვლენების ამსახველ საოცარ კადრებსაც იპოვით. აფხაზეთის აქამდე უცნობი და უნიკალური ფოტოები, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისშია გადაღებული, კოლექციის მართლაც გამორჩეული ნაწილია, რადგან ის ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიას ინახავს. ისტორიას, რომელსაც გვედავებიან, გვართმევენ, აყალბებენ და ამ გზით ცდილობენ მის წართმევას.

ბაადურ ქობლიანიძისთვის ფოტოს არჩევა გამოცდილების საკითხია, რომელიც წლების განმავლობაში დაუგროვდა. ფოტოს ქაღალდისა და ხარისხის, მასზე გამოსახული ადამიანების ჩაცმულობის მიხედვით, ფოტოზე ასახული დროის დადგენა მისთვის მარტივია. ასლისა და ორიგინალის ამოცნობაც ეადვილება. კოლექციონერისთვის ცნობილი და უცნობი ფოტოგრაფები არ არსებობენ, მთავარია ფოტოს შინაარსი და მასზე აღბეჭდილი კადრის მნიშვნელობა. მართალია, ფოტომოყვარულმა წლების განმავლობაში ნაგროვები უნიკალური მასალა ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა, მაგრამ ამ საქმეს ისევ აგრძელებს, რადგან ის ჰობია, სიყვარულია, რომელიც არასოდეს მთავრდება და როცა ხედავს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი იპოვა, ის აუცილებლად ინაცვლებს მის მომავალ კოლექციაში.

ქობლიანიძეთა ფოტოკოლექცია ახლა უკვე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილია. კოლექციის მნიშვნელობაზე ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ***ლევან თაქთაქიშვილი*** საუბრობს:

„ეს არის უნიკალური ფოტოარქივი, რომლის მსგავსს საქართველოში არ ვიცნობ. რაოდენობითაც და მნიშვნელობითაც ეს კოლექცია თვით იოსებ გრიშაშვილის პირად ფოტოფონდსაც კი სჯობია, რომელიც მის მუზეუმშია დაცული. ამ კოლექციის ძირითადი ნაწილის შეგროვება 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც ბაზრობაზე შეიძლებოდა გეყიდათ ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ რობაქიძისა და სხვათა ფოტოების ორიგინალები. 20 წლის განმავლობაში ბაადურ ქობლიანიძემ 2800 ფოტო მოაგროვა. აქ ჩვეულებრივი ფოტო არ არსებობს. ამ კოლექციის ყველა ფოტო ეპოქალურია, უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის ამსახველია.

ჩვენთვის ერთ-ერთი აღმოჩენაა რესტორან „ელდორადოს“ ფოტო ფიროსმანის ნახატებით. კედელზე შესრულებული ნახატები თითქოს ჩარჩოებშია ჩასმული, რაც სავარაუდოდ ფიროსმანსვე ეკუთვნის. კოლექციაში დაცულ ალექსანდრე როინაშვილის ფოტოებზე ეროვნული მოღვაწეების მთელი პლეადაა აღბეჭდილი: ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი და სხვები. ფოტოები ბრწყინვალედაა შენახული. მსგავსი ფოტომასალა ჩვენს ბიბლიოთეკაში აქამდე არ ინახებოდა. მათ შორისაა სამოყვარულო ფოტოების უნიკალური კოლექცია, რომელზეც აღბეჭდილია თბილისის სანაპიროს მშენებლობა, საეკლესიო შენობის დანგრევის ფაქტი და სხვ. შემონახულია ასევე თბილისის რეკონსტრუქციის კადრები, საყოფაცხოვრებო ფოტოები.“

ფოტოკოლექციის თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია და თითოეული კადრი იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამორჩეული ექსპონატის დასახელება თითქმის შეუძლებელია. კოლექცია მოიცავს პეიზაჟებს, პორტრეტებს, ხელოვნების ნიმუშებს, საქართველოს რეგიონებს, სპორტულ მოვლენებს. აქ ინახება ჭიდაობაში საქართველოში ჩატარებული პირველი საერთაშორისო ტურნირებისა და პირველი ქართველი ძიუდოისტების ფოტოები. ჭიდაობა იყო სპორტის სახეობა, რომელზეც ქართველი თავადები ფსონებსაც კი დებდნენ და გამარჯვებულ ფალავნებთან ერთად ქეიფებს აწყობდნენ. ეს მთელი ისტორიაა, რომლის მსგავსსაც ფოტოკოლექციაში არაერთს იპოვით.

გაგრა, კლიმატური კურორტი (საერთო ხედი),1900-1910 წწ.

გაგრა, ბანანის ხეების ხეივანი, 1900-1910 წწ.

გაგრა, ეტლში შებმული აფრიკული ზებრები, 1900-1910 წწ.

გაგრის პირველი გამოფენისთვის მზადება, 1900-1910 წწ.

უცნობი ფოტოისტორია

ბელია. კოლექცია მოიცავს პეიზაჟებს, პორტრეტებს, ხელოვნების ნიმუშებს, საქართველოს რეგიონებს, სპორტულ მოვლენებს. აქ ინახება ჭიდაობაში საქართველოში ჩატარებული პირველი საერთაშორისო ტურნირებისა და პირველი ქართველი ძიუდოისტების ფოტოები. ჭიდაობა იყო სპორტის სახეობა, რომელზეც ქართველი თავადები ფსონებსაც კი დებდნენ და გამარჯვებულ ფალავნებთან ერთად ქეიფებს აწყობდნენ. ეს მთელი ისტორიაა, რომლის მსგავსსაც ფოტოკოლექციაში არაერთს იპოვით.

ბაადურ ქობლიანიძე:

„იყო ასეთი ცნობილი და ძალიან მაღალი დონის ფოტოგრაფი ივან იუნაკი. მას ჰქონდა საინტერესო ფოტობარათების სერია. ეს იყო საფოსტო ბარათი, რომელსაც მიმოწერისთვის და ერთმანეთთან გასაგზავნად იყენებდნენ. ფოტობარათები იმ ხანად დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იუნაკის ფოტობარათების სერია დაბეჭდილი იყო არა როგორც საფოსტო ბარათი, არამედ როგორც ფოტო და სხვა ფოტობარათებისგან განსხვავებით, ძალიან მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. ფოტოები განსაკუთრებულია გადაღების ტექნიკითაც. ფოტოხელოვანი ბარათებს ნომრავდა და ამ ნუმერაციის მიხედვით მათი რაოდენობა 200-ს აღემატებოდა.

ამ სერიით იუნაკს გადაღებული აქვს გაგრა - აქ ჩამოსული სტუმრები, მისი ისტორიული შენობები და ბუნება, თუ როგორ შენდებოდა უნიკალური შენობები, როგორ გაყავდათ გზები. ეს ყველაფერი ფოტობარათებზე დეტალურადაა აღბეჭდილი. მათ შორისაა უნიკალური ფოტოები, რომელიც ასახავს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გაგრაში ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

ჩანს თაფლის, მცენარეების და სხვა პავლიონები. როგორც ირკვევა, ეს იყო რეგიონალური გამოფენა, რომელშიც არაერთი ქვეყანა მონაწილეობდა.

რუსეთის იმპერატორს სურდა, გაგრა ექცია ისეთ კურორტად, როგორიც იყო ნიცა, სან-რემო. სამუშაოები დაიწყო კიდევაც. დაწვრილებით შეისწავლეს კლიმატი - რამდენი ხანი გრძელდებოდა საკურორტო სეზონი, რის გამოყენება შეიძლებოდა სამკურნალოდ, დასასვენებლად. პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგი აქტიურად იყო ჩართული გაგრის მშენებლობაში. შემდგომში ცნობილი რესტორნები და ისტორიული შენობები სწორედ იმ ხანად აშენდა. მათ ასაშენებლად ნორვეგიიდან ჩამოჰქონდათ დამუშავებული ხის მასალა, სხვადასხვა აქსესუარი. შემდეგ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რამაც ამ პროცესს ხელი შეუშალა და მშენებლობა თავდაპირველი ტემპით ვეღარ გაგრძელდა. არადა, რომ გაგრძელებულიყო, გაგრა მართლაც იქცეოდა ალბათ სან-რემოდ ან ნიცად. ივან იუნაკის 200 ფოტობარათიდან ყველა არა, მაგრამ უმეტესობა გვაქვს. ძალიან ძნელი იყო მათი მოპოვება. ძირითადი ნაწილი რუსეთში, აუქციონებზე მაქვს შეძენილი. ჩვენთან ნაკლებად ხვდებოდა ფოტობარათები, რადგან მიმოწერა რუსეთისკენ მეტი იყო. კოლექციაში არის გიორგი შარვაშიძისა და მისი ოჯახის, ასევე მერი შერვაშიძის ფოტოები. ცნობილი ფოტოების ორიგინალებიც კი, რაც ჩვენს კოლექციაში ინახება, იშვიათობაა.

არის ასევე ალბომი, რომლის ავტორი დაუდგენელია, მაგრამ ჩანს, რომ ეს პიროვნება აფხაზეთში მოგზაურობდა. მას გადაღებული აქვს დრანდის მონასტერი, ახალი ათონი. ეტყობა, ეს ადგილები მოგზაურობის დროს გაიარა. გადაიღო ის ადამიანებიც, ვისთანაც ჩერდებოდა.

ისინი არ არიან ცნობილი პიროვნებები, მაგრამ ამ ოჯახების ფოტოები აჩვენებს იმდროინდელი აფხაზეთის ყოფა-ცხოვრებას, რაც შესაძლოა უფრო საინტერესოცაა, ვიდრე ცნობილი ადგილები და პიროვნებები. ფოტოებში საკმაოდ კარგად ჩანს მათი ჩაცმულობა, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ქალი, კაცი, ბავშვები. კოლექციაში სოხუმიც არის და სხვა ადგილებიც. არის ასწლოვანი ცაცხვების ამსახველი ფოტოები. ზოგს მინაწერი აქვს, ზოგიც გამოსაკვლევია. ამიტომაც ინახება ის დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ჩემთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა აქ მომუშავე ადამიანების დამოკიდებულება ამ საქმისადმი. რადგან ეს ჩემი ოჯახის ისტორიაა და დიდი შრომაა ჩადებული, არ მინდა, რომ უყურადღებოდ იყოს. ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექცია „ივერიელის“ შექმნით დიდი რამ გაკეთდა. ხალხს ფოტოებთან წვდომა გაუადვილდა. ამიტომ ციფრული ასლები უფრო ადრე მივეცი ბიბლიოთეკას, მიმაჩნია, რომ ადამიანები ამ ფოტოებს უნდა იცნობდნენ, უნდა შეისწავლონ, გამოიყენონ. ფოტოს თუ დავმალავთ და სადღაც დავდებთ, მკვდარია მისი ისტორიაც და გამოსახულებაც და ეს დაუშვებელია. ბიბლიოთეკის საშუალებით კი ამ ფოტოებზე წვდომა ყველას ექნება.“

ფოტოკოლექციაზე მუშაობს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომელი ***ნათია კობახიძე***. ის ამ დროისთვის მოპოვებულ ინფორმაციას გვიზიარებს:

„კოლექცია, რომელიც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ბაადურ ქობლიანიძისგან შეიძინა, შესანიშნავად არის შენახული. კოლექციის თემატიკა მრავალფეროვანია.

აფხაზეთის ნაწილი 200-მდე იშვიათ ფოტოსა და ფოტობარათს მოიცავს. მათი უმეტესობა ივან იუნაკის მიერ XX საუკუნის დასაწყისშია გადაღებული. პროფესიონალ ფოტოგრაფს ყირიმში ჰქონია ატელიე.

მის ფოტოობიექტივს აუსახავს სოხუმის ქუჩები, ტყვარჩელის დასახლება, დრანდის, ბიჭვინთის, ახალი ათონის მონასტრები, გაგრის კლიმატური კურორტის ულამაზესი ხედები, ოლდენბურგის სასახლე, რესტორანი „გაგრიფში“, „სანაპირო სასტუმრო“, ბაღები, ტბები, ბანანის ხეების ხეივანი; აქვეა გაგრაში მემცენარეობის პირველი გამოფენის (1903 წ.) ამსახველი უაშვიათესი კადრები - გამოფენისთვის მზადება, ცალკეული პავილიონები. რამდენიმე ეთნოგრაფიულ ფოტოზე აღბეჭდილია აფხაზთა ტიპაჟები.

კოლექციაში შარვაშიძეთა გვარის წარმომადგენლებსაც ვნახავთ: ულამაზესი მერი შერვაშიძე; აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟი, პოეტი და დრამატურგი გიორგი შარვაშიძე; ასევე მისი ბიძაშვილი, ელისაბედ ალექსანდრეს ასული შარვაშიძე, რომელიც ცოლად გაჰყვა რევოლუციური საქმიანობისთვის მსჯავრდებულ მიხეილ (მიშო) ყიფიანს. 1878 წლის ივნისის ბოლოს მათ ქუთაისის საპატრიარქოს ეკლესიაში დაინერეს ჯვარი. მალევე მიშო ყიფიანი ეტაპით გაგზავნეს ციმბირში. მას თან გაჰყვა თანამოაზრე და ერთგული მეუღლეც. ფოტოკოლექცია ბევრ ასეთ ისტორიას აცოცხლებს, - ამბობს ნათია კობახიძე და დასძენს, - ფოტოები, რომლებზეც საქართველოს ისტორიის სამი ეტაპი - რუსეთის იმპერიის პერიოდი, დამოუკიდებელი საქართველო და საბჭოთა საქართველოა აღბეჭდილი, მომავალში ეროვნული ბიბლიოთეკის „ფოტომუზეუმის“ უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდება. მანამდე კი საკმაოდ შრომატევადი და საინტერესო გზაა გასავლელი. თითოეული ფოტო აღირიცხება, დალაგდება, საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდება რესტავრაცია; დაიწყება კვლევა - დადგინდება ან დაზუსტდება ფოტოგრაფის ვინაობა, ფოტოს გადაღების ადგილი და თარიღი, ფოტოზე გამოსახული პიროვნებების ვინაობა ან მოვლენა, რომელიც ფოტოობიექტივმა აღბეჭდა“.

გაგრა, გაგრის ბაზილიკა, 1900-1910 წწ.

სოხუმი, საწყლისნო სადგური „დინამო“ 1920-1930 წწ.

სოხუმი, სასტუმრო რიწა, 1920-იანი წწ.



სოხუმი, თამბაქოს წარმოება, 1920-1930-იანი წწ.

ახალი გამოწვევების წინაშე...

აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივები

შალვა ბერიანიძე

ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემია, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის კულტურასა და ხელოვნებას, შეეხო. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ყველა მათგანი დროებით გააჩერა და მეტ-ნაკლებად დააზარალა. შესაბამისად აქამდე უცნობ რეალობებზე გადაიყვანა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა, საგრძნობლად შეცვალა მათი მიზნები და გეგმები.

კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაც 2020 წლის 13 მარტიდან დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადავიდა. ეს შეზღუდვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა სამინისტროსა და სტრუქტურულ ერთეულზე გავრცელდა. ბუნებრივია, იგივე ბედი ეწია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც (სსიპ). მათ შორის აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთს“,აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელას, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს „თეთრი ტალღა“. მათ მრავალი დაგეგმილი პროექტის გადადება ან სულაც გაუქმება მოუწიათ.

კორონავირუსის პანდემიად გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, **აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“** მუსიკალური მეგა-შოუ „მხოლოდ ქართულის“ ფინალისტებს - ნინი შონიას, მაია ხუხუნაიშვილს, ანა ქურთუბაძესა და გაიორგი ძოწენიძეს ფოლკლორის ტურში თანხლებას უწევდნენ და მათთან ერთად შთამბეჭდავად წარსდგა ტელემაყურებლის წინაშე.

ანსამბლი „აფხაზეთი“ პანდემიამდე დიასპორა „ქართული ალიანსის“ მიწვევით საგასტროლოდ უკრაინაში იმყოფებოდა და იქ ამავე დიასპორის ორგანიზებით გამართულ „ქართული კულტურის დღეებზე“ ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგა. ანსამბლის ყველა გამოსვლა მაყურებელთა მქუხარე ოვაციებითა და აპლოდისმენტებით მთავრდებოდა.

წარმატებული კონცერტების შემდეგ, ანსამბლი სოლოკონცერტების გასამართად ისევ მიიწვიეს უკრაინაში. კონცერტები 2020 წლის მაისში კიევში, ვიშგოროდსა და უკრაინის სხვა ქალაქებში უნდა გაემართათ, მაგრამ ზემოთ ხსენებული მიზეზის გამო ვიზიტი გაუქმდა. ანსამბლმა აგრეთვე ვერ გამართა აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული კონცერტი და ვერც ბათუმს ეწვია გასტროლით.

მიუხედავად ამისა, ანსამბლი „აფხაზეთი“ რეპეტიციებს ონლაინრეჟიმში დისტანციურად ატარებდა. მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ლევან ღვინჯილიას თქმით, მომღერალთა გუნდმა ანსამბლის ყოფილ მოცეკვავესთან, აფხაზეთიდან დევნილ, ამჟამად ამერიკაში მცხოვრებ ირკალი რუსიასთან ერთად ჩაწერა „სიმღერა ოჩამჩირეზე“, რომლის პრეზენტაციაც მალე ინტერნეტსივრცეში გაიმართება. გარდა ამისა, ერთობლივი კომპოზიციების შექმნის მიზნით აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ცნობილ მომღერალ და მსახიობ ბუბა კაკაბიძესთან, რაც მსმენელისთვის საინტერესო სიახლე იქნება.

აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა პანდემიის დაწყებამდე ერთ-ერთ რთულ და სერიოზულ ნაწარმოებზე - იოჰან სებასტიან ბახის ,,მესა“ - მუშაობდა. ნაწარმოები ორკესტრსა და ორღანთან ერთად პირველად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში უნდა შეესრულებინათ, მაგრამ დადგენილი სოციალური დისტანციის პირობებში რეპეტიციების ჩატარება ვერ მოხერხდა. ამავე მიზეზით კაპელა ვერ მიიღებს მონაწილეობას თბილისის საგუნდო მუსიკის ყოველწლიურ ფესტივალში, რომელიც ტრადიციულად სექტემბერ-ოქტომბერში იმართება.

26 მაისისთვის იგეგმებოდა კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი - აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივების ერთობლივი წარმოდგენა, ლაშა ონიანის რეჟისორობით. წარმოდგენაზე აფხაზეთის საგუნდო კაპელა საკუთარი რეპერტუარით უნდა წარმდგარიყო, თუმცა პროექტი გაურკვეველი ხნით გადაიდო.

აფხაზეთის საგუნდო კაპელამ 5 აგვისტოს კონცერტი გამართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით წინანდალში მოწყობილ საღამოზე - „ხელოვნება მშვიდობისათვის“.

კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელის ზვიად ბოლქვაძის თქმით, კაპელა რეპეტიციებს სექტემბრიდან განაახლებს.

პანდემიის შედეგები არანაკლებ მძიმე იყო **სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისთვის,** რომელსაც 2020 წელს სამი ახალი სპექტაკლი უნდა დაედგა. მათ შორის მოიაზრებოდა ბაგრატ შინკუბას რომანი - ,,უკანასკნელი უბიი“, დრამატურგ ირკალი სამსონაძის ინსცენირებით. სპექტაკლი რეჟისორ გიორგი შალუტაშვილს უნდა დაედგა. გარდა ამისა, სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე ეწოდა ინგლისელი მწერლის, ჯონ ფრისლის ნაწარმოებზე - ,,სტუმარი“, რომელიც ლაშა იმედაშვილმა თარგმნა და 1920-იანი წლების ქართულ რეალობას მოარგო. ამ ნაწარმოების ტელესერიალად გადაღებაც იგეგმებოდა და იმედია, იგი ქართულ ტელესივრცეში ახლო მომავალში დაინახავს სინათლეს.

2020 წლის აპრილში სოხუმის თეატრი იუნესკოს საერთაშორისო თეატრის ინსტიტუტის წევრი გახდა, რაც მას ბევრად მეტ საერთაშორისო მხარდაჭერას ჰპირდება. საგანგებო რეჟიმის დროს თეატრმა შექმნა ვიდეო-სპექტაკლი ,,ქართველი პოეტები აფხაზეთში“, რომელიც ,,აფხაზეთის დღეს“ მიეძღვნა. რეჟისორი და იდეის ავტორია დავით საყვარელიძე. 14 ივლისს კი პროექტის - ,,100 სკამი ღია ცის ქვეშ“ ფარგლებში სოხუმის თეატრმა სპექტაკლი ,,იაკობი და პუპჩე“ ვაკის პარკის ღია კინოთეატრში წარუდგინა საზოგადოებას.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თქმით, თუ კორონავირუსის ახალმა ტალღამ არ შეაფერხოს ისევ, თეატრი შემოდგომის სეზონს გასტროლებით დაიწყებს. იგი 1 სექტემბერს ნოქალაქევში ,,რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალს“ გახსნის და რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ დადგმულ ,,მთვარის მოტაცებას“ (კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სათაურის რომანის ინსცენირება) წარადგენს, 2 სექტემბერს კი იგივე სპექტაკლს აბაშაში, კ. გამსახურდიას სახლ-მუზეუმის ეზოში გამართავს. აგრეთვე, იგეგმება საქართველოს სახალხო არტისტისა და სოხუმის თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელისა და მსახიობის დიმა ჯაიანის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

გარდა ამისა, მზად არის ესკიზი თეატრის სალაროსი, რომლის აშენებაც უახლოეს გეგმებს შორის მოიაზრება. დავით საყვარელიძის თქმით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს ბილეთების ონლაინგაყიდვის სისტემის დანერგვა სოხუმის სახელმწიფო თეატრის ოფიციალურ საიტზე.

კორონავირუსმა ასევე შეაფერხა **სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“,** რომელმაც 2020 წელი აქტიურად დაიწყო. თეატრმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის თბილისში, ქუთაისში, ფოთსა და ზუგდიდში გამართულ საახალწლო ზეიმზე სპექტაკლები - „ბრემენელი მუსიკოსები“ და „ცისქვნა იას დღეობა“ უწვეს.

სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გაიორგი რატიანის ინფორმაციით, წლევანდელ თეატრალურ სეზონზე უნდა დაედგათ ქართველი მწერლის მიხო მოსულიშვილის პიესა „მხიარული დამბაჩა“ და დრამატურგ გურამ ბათიაშვილის პიესა „1832 წელი“. ვაჟა-ფშაველას ზღაპრების მიხედვით დადგმული სპექტაკლის „ბყის ზღაპარი“ პრემიერა კი, რომელიც 30 აპრილს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში იყო ჩანიშნული, მომავალი წლისთვის გადაიდო. ასევე გადაიდო დაგეგმილი გასტროლები საქართველოს ქალაქებში - საჩხერეში, ზუგდიდში, სენაკსა და მესტიაში.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ანსამბლების მომღერლები და თეატრის მსახიობები პროფესიული სახის შენარჩუნების მიზნით, ონლაინრეპეტიციების გამართვას, უფრო ინდივიდუალურად, მაინც ახერხებდნენ.

იაპონური კულტურა აფხაზეთში

მხატვარ ვარვარა ბუბნოვას „სოხუმის სკოლის“ ნაკვალევზე

ქალაქ სოხუმის ცენტრში, პუშკინის ქუჩაზე დგას ომისგან ფერდშელეშილი ერთი ძველი, ძალიან ლამაზი არქიტექტურის სახლი, რომელშიც უკვე წლებია რუსი ხელოვანი დები ბუბნოვების - პიანისტ მარიას, მხატვარ ვარვარასა და მევიოლინე ანას სახლ-მუზეუმის გახსნას ამაოდ ცდილობენ.
ბერნოვოში (ფენერის ოლქი) დაბადებული და პეტერბურგში განსწავლული დებიდან ბედმა აფხაზეთში პირველად მარია, ვარვარა და ანა კი იაპონიაში ორმოცწლიანი ცხოვრების შემდეგ ჩამოიყვანა.

Натэ Коркоташвили

განსაცვიფრებელი გამოფენა

სოხუმელი მხატვრის ვარვარა ბუბნოვას არაჩვეულებრივი თემებით გამორჩეული და იშვიათი ოსტატობით შესრულებული ნამუშევრების გამოფენა თბილისელი დამთვალიერებლისთვის სასიხარულო მოვლენაა. მე არ ვიცნობდი მხატვარს. ამ გამოფენაზე ვნახე პირველად და გავოცდი: მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ასაკოვანია, მისი შემოქმედება ახალგაზრდულ სულსა და სიცოცხლის სიყვარულს ასხივებს. ჩემი ოცნება კი ხელოვნებაში სიბერის დაძლევაა.

გამოფენამ ჩემზე იმითაც მოახდინა შთაბეჭდილება, რომ მხატვრის მიერ შექმნილი დახვეწილი და ესთეტიური სამყარო ისე აღიქმება, როგორც ერთი მთლიანი სურათი.

ვარვარა ბუბნოვას ხელოვნება დიდი მხატვრული გემოვნებით გამოირჩევა. მასში მთავარია ფერების თვითმყოფადი კოლორიტი, ორიგინალური მანერა გრაფიკასა და ხაზოვან კომპოზიციაში. მხატვარი ნამუშევრებში - „მიტინგი“, „გლეხთა მინდვრები ფუძიამას მახლობლად“, „ცხენები“ - ფერთა საოცარ შეხამებას აღწევს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვარვარა ბუბნოვას თითოეული ნამუშევარი ღრმა შინაარსისა და ჩანაფიქრის გამომხატველია (მაგ., 1941 წლის ავტოპორტრეტები, 1952 და 1959 წლების და სხვ. პორტრეტები).

მის პორტრეტებში პიროვნების ხასიათის ნახნაგები ჰარმონიული ხაზოვანი დინამიურობითაა გადმოცემული.

მხატვარს ისეთი მახვილი თვალი აქვს, რომ მის ნამუშევრებში, ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიუჟეტებიც კი უდიდეს დატვირთვას იძენენ. მაგალითისთვის მოვიხმოთ იმგვარი ყოფითი ამბები, როგორიცაა: „მარტოდ ვახშმობა“, „მეთევზის ცოლი“. მას ბევრი მსგავსი ნამუშევარი აქვს.

განმასვავებელი ვარვარა ბუბნოვას პეიზაჟებმა. მისი მიდგომა ბუნებისადმი სრულიად განსაკუთრებულია. ის ბუნების დიდ სილრმეებს წვდება და თავისებურ ხილულ სამყაროდ აქცევს, რაც მხატვრისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან შეძლო იაპონური ფერწერის საუკეთესო მხარეები შეეთვისებინა და ამავე დროს რუს ხელოვანად დარჩენილიყო.

ლადო გუდიაშვილი,
საქართველოს სახალხო მხატვარი,
შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
1960 წელი.

მე და იოკო ონოს მუსიკაში ერთი მასწავლებელი გვყავდა...

მამაჩემის, მხატვარ ჭოლა კუკულაძის სახელოსნოს ბევრი ცნობილი ადამიანი სტუმრობდა. მახსოვს, მათ შორის იყო რუსი ავანგარდისტი მხატვარი ვარვარა ბუბნოვა. მან დასთან, არაჩვეულებრივ მევიოლინე ანა ბუბნოვასთან ერთად, სიცოცხლის დიდი ნაწილი იაპონიაში გაატარა და მერე სოხუმში გადმოსახლდა. მამა მაშინ აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე იყო და ვარვარა ბუბნოვა აფხაზეთის მხატვართა კავშირის წევრად მიიღო, ასევე ახალგაზრდა მხატვართა სექციის თანათავმჯდომარედ აირჩია. გარდა ამისა, ყოფითი პრობლემების მოგვარებაშიც ხშირად ეხმარებოდა.

მოგვიანებით, მადლიერების ნიშნად, მოწყვიდ ამიყვანა ვარვარა ბუბნოვამ დამ, გამოჭრილმა მევიოლინემ – ანა ბუბნოვამ. მასთან 7 წელი დავდიოდი და არა მხოლოდ მუსიკის, არამედ ესთეტიკის, მშვენიერებისა და კულტურის გაკვეთილებს ვიღებდი. სახლში ვიოლინოზე 4 საათიან მეცადინეობას დამატებული ანა ბუბნოვას საფუძვლიანი და ღრმა გაკვეთილები მუსიკაში, ცხადია, ჩემთვის იოლი გასაძლები არ იყო. მით უმეტეს, რომ მაშინ ჩემი ფსიქიკა მთლიანად დაპყრობილი ჰქონდა ბიტლმანიას. გავიდა დრო და ახლაღა ვხვდები, მამას წყალობით რა მასშტაბის ხელოვანთან მქონდა ურთიერთობა. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ჩემი მუსიკის მასწავლებელი ანა ბუბნოვა მთავარი ბიტლსის - ჯონ ლენონის მეუღლის – იოკო ონოს ბიცოლა და პედაგოგი იყო ანუ მე და იოკო ონოს მუსიკაში ერთი მასწავლებელი გვყავდა.

ლადო კუკულაძე

გვ. 11

მე-10 გვერდიდან

ტაქტიკით, თანდათან ამოგვშალონ აფხაზეთის ისტორიიდან, მისი კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან. ამ შემთხვევაში ეს პოლიტიკა განიერკობა ავანგარდისტი მხატვრის ვარვარა ბუბნოვას მაგალითზე.

ჩვენ, შობლიური მინა-წყლიდან გამოძევებულმა ქართველებმა, კარგა ხანია სხვა თვალით შევხედეთ მოვლენებს: ბევრი რამ გადავიფასეთ, შეცდომებიც ვაღიარეთ, გულისტკივილითა და სინანულით ვიგონებთ აფხაზებს და მათთან ერთად ყველა იმ ეროვნების ადამიანს, ვის გვერდითაც იქ ვცხოვრობდით. ჩვენ ამგვარი მიდგომით ვცდილობთ მომავალი ურთიერთობების აგებას. ასევე ამით უნინარესად პატივს მივაგებთ ოდინდელ ისტორიას, წარსულს, რომელსაც არ ვძარცვავთ და არ ვალარიბებთ...



დები მარია, ვარვარა და ანა ბუბნოვები

იაპონიაში

„შავით თეთრზე, რომელსაც მასპინძელი ფუჭებით და ორაზროვანი შეკრამაზეს“...

დები მარია, ანა და ვარვარა ბუბნოვები მზგერის ოლქის სოფელ ბერნოვოში მცხოვრებ კეთილშობილთა ოჯახიდან იყვნენ. ხელოვნების ნიჭით გამორჩეულმა დებმა სწავლა პეტერბურგში გააგრძელეს - უფროსი მარია პიანისტი გახდა, შუათანა ვარვარა - მხატვარი, უმცროსი ანა კი მეცოლინე. ანამ პეტერბურგში სწავლისას მისი მუსიკალური ტალანტით მოხიბლულ იაპონელ ზოოლოგ სტუდენტს, იაპონის სამრეწველო ბანკის პრეზიდენტის შვილს, სუნიტო ონოს დაუკავშირა ბედი და მასთან ერთად იაპონიაში გაემგზავრა. ანას და სუნიტოს შეეძინათ ვაჟი - სუნტარო, რომელსაც მეცოლინის ვირტუოზული ნიჭი აღმოაჩნდა და ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. 14 წლის სუნტარო მოულოდნელად პერიტონიტით გარდაიცვალა. შვილის სიკვდილმა ღრმა დეპრესიაში ჩააგდო ანა. მერე აღმოჩნდა, რომ შვილი აღარ გაუწნებიათ, ბანკირების ოჯახს კი მემკვიდრე უნდოდათ. სიუნიტი-სანმა სხვა ცოლი შეირთო, თუმცა ანა და მასთან სტუმრად იაპონელი მუსიკოსი აღიზარდა. ანა გახდა იაპონიის მუსიკალური ინსტიტუტების პროფესორი, წერდა სახელმძღვანელოებს. დროთა განმავლობაში მას „იაპონელი მეცნიერების დედა“ უწოდეს და იაპონიის სახელმწიფო ჯილდოთი: საღმრთო განძის მეოთხე ხარისხის წმინდა ორდენით დაჯილდოდეს. იაპონიაში დღემდე არსებობს „პროფესორ ანა ბუბნოვა-ონოს მუსიკალური საზოგადოება“, რომელიც მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტებს მართავს.

1982 წელს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის იაპონიის ძვირფასი გვირგვინის მეოთხე ხარისხის ორდენით დაჯილდოდეს ანა ბუბნოვას და - ავანგარდისტი მხატვარი, არქეოლოგი, პედაგოგი და ხელოვნებათმცოდნე ვარვარა ბუბნოვაც. მან 1907-1914 წლებში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ცნობილი რუსი პეიზაჟისტის ნ. დუბოვსკის კლასი დაამთავრა. იყო ფუტურიზმის მიმდევარი, პეტერბურგის მხატვართა საზოგადოება „ასპარეზის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. 1914 წელს ვარვარა ბუბნოვა ნაწარმოებების მთავარი თემა იყო უბრალო ადამიანების ცხოვრება, მიწა და ადამიანი... ის იაპონურ ხასიათში ეძებდა ზოგადსაკაცობრიო სათქმელს. მან იაპონიაში 6 პერსონალური გამოფენა გამართა. „ბუბნოვამ შეიყვარა იაპონია და მისი ხალხი. შეისწავლა იაპონური კულტურა და მისი თავისებურებები, საბოლოოდ კი მაინც რუს მხატვრად დარჩა“, - წერდა ვარვარა ბუბნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი ირინა კოფეინიკოვა. მისი ნამუშევრები იყო ჟანრითა - ყოფითი კომპოზიციები, პეიზაჟები, პორტრეტები, ილუსტრაციები - და შესრულების ტექნიკით - ქსილოგრაფია, აკვარელი, ლითოგრაფია, ტუში, ტემპერა, პასტელი, ფანქარი - განსხვავებული და მრავალფეროვანი.

გარდა ამისა, ვარვარა ბუბნოვა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, მისი ერთ-ერთი მონაფე იყო შემდგომში მსოფლიოში ცნობილი მხატვარი შიკო მუნაკატა. იაპონიის უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, ზრდიდა პუშკინოლოგებს, აკეთებდა ილუსტრაციებს პუშკინის, გოგოლის, დოსტოევსკის, ტოლსტოის და სხვა რუს მწერალთა ნაწარმოებების იაპონური გამოცემებისთვის.

ვარვარა ბუბნოვამ იაპონიაში გადაიტანა 1923 წლის დამანგრეველი მიწისძვრა და მეორე მსოფლიო ომის უბედურება. ამერიკის ავიაციის მიერ ტოკიოს დაბომბვის ემსხვერპლა მისი სახლი, სახელოსნო და მრავალი წლის ნამუშევრები. 1927 წელს ის შეუღლდა რუს ემგრანტ ვ. გოლოვშოკოვთან, რომელიც 1947 წელს გარდაიცვალა.

„იაპონიაში გატარებულ წლებს მე ვუწოდებდი ბედნიერს, რომ არა ფიქრები სამშობლოზე. გემისა თუ მატარებლის ყოველ შეკიცხლებას ისე აღვიქვამდი, რომ თითქოს სამშობლო მეძახდა, რაც ჩემში მძაფრ სევდას იწვევდა“, - წერდა ვარვარა ბუბნოვა.

ამასობაში „ამ ძახილს“ სოხუმში დამკვიდრებული უფროსი დის - მარიას ძახილიც დაერთო, რომელიც დებს აფხაზეთში უბრძანდა...

თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის: ჩვენ გვმართებს კონკრეტული ფაქტებით, ეპიზოდებით, ამბებით, რეალური პიროვნებებით, ცხადია, ქართველებით სავსე აფხაზეთის ნამდვილი ისტორიის შექმნა, ისტორიისა, საიდანაც ვერავინ ამოგვშლის.

სწორედ ამ ლოგიკის საფუძველზე გადავწყვიტე, მომეძიებინა მარია, ანა და ვარვარა ბუბნოვების სოხუმელი ქართველი მეგობრები, მეზობლები, კოლეგები, მონაფეები და მოგვესმინა დებთან დაკავშირებული მოგონებები. ვფიქრობ, ამ ნაამბობმა ინტერნეტსივრცეშიც უნდა შეავსოს დები ბუბნოვების ქართველი მეგობრებისა და მოწაფეების ნაცვლად არსებული სიცარიელე.

ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ აფხაზეთისა თუ იქ მცხოვრები ცნობილი ადამიანების ისტორია იქცეს მცირე ქართველების გარეშე დაინეროს, რაც აფხაზეთისათვის ბრძოლის, ამ შემთხვევაში კალმით ბრძოლის ნაწილია.

აფხაზეთში

„ოცდა ერთმა ჩრდილო, რომელსაც აფხაზეთში, სხვაგან ასრულდა“...

ვარვარა ბუბნოვას სამშობლოდან აღრეც ხშირად სწერდნენ წერილებს და სთხოვდნენ „ჩამოდიო!“ მაგრამ ახლა სულ სხვა ძალა ჰქონდა მარიდო დარჩენილი უფროსი დის მარიას თხოვნას, რომელიც აფხაზეთში მეუღლის, ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მფრინავის ვლადიმერ ორლოვის ავადმყოფობამ ჩამოიყვანა. ვლადიმერ ორლოვს საავიაციო კატასტროფის დროს ხერხემალი დაუზიანდა და ექიმებმა თბილი მხარეში გადასვლა ურჩიეს. მარიამ სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში მედაგოგად დაიწყო მუშაობა, ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა და თვითშემოქმედებით ოპერას ხელმძღვანელობდა. მალე მას აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგის წოდება მიანიჭეს. სწორედ ის უხმობდა დებს სოხუმში.

ვარვარა ბუბნოვას ძალიან უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ადვილი არ იყო საცვარელ მონაფეებთან და მეგობრებთან, შეჩვეულ ადგილებთან განშორება. „ფეხები გავიდგი მიწაში და მათი ამოგლეჯა ძნელიაო“, - ამბობდა. ბოლოს, 1958 წელს 72 წლის ვარვარა ბუბნოვა იაპონიიდან სოხუმში გადმოსახლდა. ორი წლის შემდეგ დებს შემოუერთდა ანაც.

ასე გაჩნდა სოხუმში სახლი, სადაც მასპინძლები სტუმრებს კომნოუბით - ფერადხრიტებიანი იაპონური ხალათებით - ეგებებოდნენ და სუუშით, ბრინჯვისა და თევზის ტუტუბრპროტებით, ჩაითა და საკეთო უმასპინძლებოდნენ. ეს მოსაკითხი მათთვის ნამლებთან ერთად იაპონიიდან ჩამოსულ ნაცნობ-მეგობრებს ჩამოჰქონდათ. ბუბნოვების სოხუმური სახლი თანდათან იაპონიისა და აფხაზეთის ურთიერთობის ნათელ კუნძულად, აფხაზეთი/საქართველო კი, რუსეთთან და იაპონიასთან ერთად, დები ბუბნოვების მესამე სამშობლოდ იქცა.

მხატვართან გაბმორება ძალიან განიცადეს იაპონელმა მონაფეებმა და მეგობრებმა, რომლებიც სიცოცხლეს ბოლომდე სწერდნენ სიყვარულით სავსე წერილებს და მათ სანახავად ჩამოდიოდნენ კიდეც. ამდენი იაპონელი სტუმარი სოხუმს არ ახსოვდა.

ანამ უფროს დასთან მარიასთან, სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში დაინყო პედაგოგად მუშაობა და ახალგაზრდებს აქაც ვიოლინოზე დაკვრას ასწავლიდა. ბევრად უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა აფხაზეთში გატარებული წლები ვარვარასთვის. მას ძალიან მოეწონა სოხუმი და სოხუმელები. აფხაზეთის ბუნებას იაპონიასა ამსგავსებდა - „ძალიან მომწონს აქაური ხალხი, თბილები და რაღაცნაირად ბავშვურები არიან... და მიხარია, აქ რომ ვცხოვრობთ“. შემდეგ არაერთხელ გაიმეორებს იმასაც, რომ „ისეთი ღრმა ჩრდილი როგორიც აფხაზეთშია, სხვაგან არსადააო“...

ვარვარა ბუბნოვას შემოქმედების მკვლევართან მის ცხოვრებას სამ ეტაპად ჰყოფენ: ავანგარდული ყრმობა (1886-1922), იაპონური სიმწიფის ხანა (1922-1958) და სოხუმური სიბრძნის ჟამი (1958-1979). ნიმანდობლივია, რომ ავანგარდისტ მხატვარს „სიბრძნის ჟამი“ სწორედ აფხაზეთში დადგომოდა, რამაც მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა მის შემოქმედებაშიც. როგორც ზემოთაც ვთქვით, იაპონიაში ძირითადად შავ-თეთრ ფერებს ერთგულებდა. სოხუმში ცხოვრების პირველ წლებშიც უნინარესად ისევ შუქ ფერებში აგრძელებდა ხატვას, „მაგრამ მალე მისი შემოქმედება იაპონიისგან განსხვავებით უფრო ფერადოვანი გახდა. ნამუშევრებში მოჭარბდა ნათელი ალებაები, ისეთ ფერებს ეძებდა, რომელთა შეხამებაც, მისი თქმით, ერთ მთლიანობას შექმნდა“, - წერდა ვარვარა ბუბნოვას „სოხუმის სკოლის“ მონაფე, მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე ლოზოვი.

წერდნენ, რომ ვარვარა ბუბნოვამ იაპონური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სულიერება და სიფაქიზე გაითავისა. იაპონიაში დაოსტატდა როგორც ხელოვანი, რომლის შემოქმედებამაც აფხაზეთის კაშკაშა ფერებში თვითმყოფადი გზა ჰპოვა, კიდევ უფრო ლაღი გახდა. უხვად დაღერილმა სინათლემ ერთბაშად გაანათა მისი ფაქიზი სული. აფხაზეთის ჩახჩახა მზეს, ლურჯ კამკამა ზღვასა და მსუბუქ ჰაერს მოჰქონდა შვება. ეს ჰაეროდა შავ-თეთრიდან ფერად სამყაროში გადმოსახლებას: „უკან დარჩა მძიმე წლები, ანასა და მისი დანგრეული პირადი ცხოვრება, ტოკიოში მინასთან გასწორებული სახლი და წლების განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები... სოხუმში ამ იარების მოშუშების ჟამიც დამდგარიყო...

მაშინ საბჭოეთში იაპონია მოღური იყო. ადამიანებს იაპონური ხელოვნება და ჰოეზია იზიდავდათ. სოხუმშიც მალე გავრცელდა იაპონელი მხატვრის დასახლების ამბავი და მის გასაცნობად მოდიოდნენ მწერლები, ხელოვანები, სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები...

ვარვარა ბუბნოვამ სოხუმში ცხოვრების 2 ათეული წლის განმავლობაში შექმნა აფხაზეთის უამრავი პეიზაჟი, ჩანახატი, ნატურმორტი და პორტრეტების ფართო გალერეა. აკვარელი, გუაში, ტემპერა, პასტელი, ზეთი, ფანქარი... - მრავალფეროვანი იყო მასალაც, რომლითაც ის მუშაობდა. ამასთანავე წერდა მოგონებებსა და წერილებს ხელოვნებაზე და ადგილობრივ გაზეთ „Советская Абхазия“-ში აქვეყნებდა. შემოქმედებით ცხოვრებას, ცხადია, თან სდევდა სოხუმური ისტორიები... იგი თანდათან აფხაზეთის კულტურული ცხოვრების განუყოფელ ნანილად იქცა.

ვარვარა და ანა ბობნოვები ლიხნის ტაძართან

ჯერ კიდევ ადრეულ ყრმობაში ვარვარა ბუბნოვა ხატავდა ბევრ პორტრეტს, ხშირად ხატავდა ოჯახის წევრებსა და ნათესავებს. ამ ტრადიციას ის ინარჩუნებდა მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამ ჟანრის ნამუშევრებში ხშირად ვხვდებით ბავშვების გამოსახულებებს. ალბათ ამიტომაც ბავშვობის თემა ასე ხშირად ჩნდება მის ნამუშევრებში. ბავშვობა, ბავშვები, ბავშვური სამყარო - ეს ის თემებია, რომლებიც ყოველთვის ახალისებდა ვარვარა ბუბნოვას. ამ თემებზე ხატვისას ის ბავშვობაში დაბრუნებულ ადამიანად გრძნობდა თავს. ამ ბავშვური სამყაროს ერთ-ერთი ნაწილი იყო ბავშვების ნახატებიც, რომლებსაც ის ხშირად აჩუქებდა ხოლმე ნაცნობ-მეგობრებს. ამ ნახატებიდან ბევრი შემორჩა ვარვარა ბუბნოვას ოჯახის არქივში.

ვარვარა ბუბნოვას ნამუშევრების არაერთი გამოფენა, მათ შორის მხატვრის 80 და 90-წლის საიუბილეო გამოფენები გაიმართა სოხუმში. საგულისხმოა, რომ 1976 წელს 90 წლის საიუბილეო გამოფენის ექსპოზიციის მოწყობა მას მხატვარ ლერი ჭანტერიასთვის უთხოვია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მის გემოვნებას ენდობოდა. ამ დროისთვის ორმა აფხაზეთის მხატვარია კაეშრის თაემეჯდომარეა ჭოლა კუკულაძე, რომელიც ვარვარა ბუბნოვასთან მეგობრობდა და მას ყოფითი პრობლემების მოგვარებაშიც ეხმარებოდა. ამ ამბების იგონებს მხატვრის ვაჟი, ცნობილი ნეირომპათოლოგი ლადო კუკულაძე. მისი გადმოცემით, ჭოლა კუკულაძემ ვარვარა ბუბნოვა აფხაზეთის მხატვართა კაეშრის წევრად მიიღო და აფხაზეთის დამსახურებული მხატვრის წოდებაზე წარადგინა. იგი ერთ ხანს აფხაზეთის მხატვართა კაეშრის ახალგაზრდა მხატვართა სექციის თანათავმჯდომარეც იყო, რაც სულაც არ წარმოადგენდა შემთხვევითობას.

მხცოვან მხატვარს განსაკუთრებულად მზრუნველი და თბილი ურთიერთობა ჰქონდა ახლაგაზრდებთან. ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ უნდოდა მათთვის ეჩვენებინა, „...რისკენ იწყება ფერწერა“... „მე ჩემი თავი განძის მცველად მიმაჩნია, - ნახევრად ხუმრობით წერდა, - და ვალდებული ვარ, ეს განძი-ცოდნა გავცე“... და მართლაც უბრწყინვალა უზიარებდა „ამოსავალი მზის ქვეყანაში“. შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას ქართველ, აფხაზ, რუს და სხვა ეროვნების მოწაფეებს. ასე შეიქმნა ეგრეთ წოდებული ვარვარა ბუბნოვას „სოხუმის სკოლა“, რომელიც უამრავმა სხვადასხვა ეროვნების მოშავალმა მხატვარმა გაიარა. მოგვიანებით ხელოვნებათმცოდნები დაწერენ, რომ ეს მხატვრები „ვარვარა ბუბნოვას სკოლამ“ იხსნა საბჭოთა იდეოლოგიისა და „მკაცრი სტილისაგან“.

ბევრი მხატვარი დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს ვარვარა ბუბნოვას „სოხუმის სკოლას“. აღნიშნავენ, რომ ძალიან ბიძგიდით მასპინძლის სანტტრესო საურბები ხელოვნებაზე, ენციკლოპედიური ცოდნა, დელიკატურობა, მოსმენის კულტურა, იქ გამეფებული „განსაცვიფრებელი ინტელიგენტურობის ატმოსფერო“ და ხელოვნებაზე დანერილი იშვიათი ნიგნების ბიბლიოთეკა. თუმცა იმასაც დასძენენ, რომ ის მკაცრი პედაგოგი იყო.

„ჩემთან მოდიან ლეთისგან გამოჭაზნილი მონაფეები, - წერს ერთგან მხატვარი, - სრულიად ახალგაზრდები ან არც ისე ახალგაზრდები, რომელთაც მხატვრობა სურთ და მიაჩნიათ, რომ მე შემიძლია ვასწავლო მათ ეს საქმე. მაგრამ ვერ ვიტან სწავლებას და მით უმეტეს, ფერწერის სწავლებას. ჩვენ ვცირაში ერთხელ ვიკრიბებით, მათ მოაქვთ თავიანთი ნამუშევრები და მე მკაცრად ვაკრიტიკებ“. „სანამ ხატვას ისწავლიდე, მანამ დანახვა უნდა ისწავლო, ისწავლო ბუნება, რათა მის უმთავრეს არსს ჩაწვდე... მუშაობის დანყებისას ყოველთვის ზუსტად უნდა იცოდე, რისი გაკეთება გინდა“... - ამასაც ურჩევდა მონაფეებს, რომელთაც თავისი გაგლენის ქვეშ კი არ აქცევდა, არამედ ნიჭისა და საკუთარი თავის საუკეთესოდ წარმოჩენაში ეხმარებოდა. ის გულწრფელ შეჩედულებებს გამოთქვამდა გამოფენებზეც, სადაც ყოველთვის სასიამოვნო სტუმარი იყო.

ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრ ლოზოვი საცვარელი პედაგოგისადმი მიძღვნილ ნიგნში აღნიშნავს, რომ ბუბნოვა კაეკასიაში მოგზაურობდა და ძველი ქართული ეკლესია-მონასტრების ჩანახატებსაც აკეთებდა. გარდა ამისა, ის „ხშირად დადიოდა სოხუმის შემოგარენში, ინტერესდებოდა კულტურის ძეგლებით, არქეოლოგიური გათხრებით, ხედებოდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, დიდ დროს ატარებდა სოხუმის სანაპიროზე ეკვალიპტების ქვეშ. მერე ნახიდა და განცდილისაგან ქმნიდა ზღვის პეიზაჟებს, კომპოზიციებს, რომლებშიც შემოსკვდა პერსონაჟები („სოხუმი, შავი ზღვის სანაპირო“, 1961; „სოხუმი, ზამთარი ზღვის პირას“, 1964 და სხვ.)“, - ამასაც აღექსანდრე ლოზოვი იგონებს. სანინტერესო ინფორმაციაა, თუმცა თბილისის მუზეუმებში დაცულ ვარვარა ბუბნოვას ნამუშევრებს შორის არ აღმოჩნდა მისი თვალით დანახული ქართული კულტურის ძეგლები აფხაზეთსა თუ დანარჩენ საქართველოში. არადა, რა საინტერესო იქნებოდა... შესაძლოა ისინი სოხუმის ან რუსეთის მუზეუმებში ინახება...

1963 წელს ბუბნოვების უფროსი და მარია გარდაიცვალა... ვარვარა ისევ ხატავდა და გამოფენებში მონაწილეობდა. ანა კი სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგობას განაგრძობდა და ხანდახან მიემგზავრებოდა მოსკოვში, საერთაშორისო კონკურსების მონანილე მონაფეების საგულშემატკივროდ. 1977 წელს ანაც გარდაიცვალა. დაოლტეული ვარვარა მალე საცხოვრებლად დაბრუნდა ლენინგრადში, სადაც 1983 წელს გარდაიცვალა. ის, ანდერძისამებრ, სოხუმში გადმოასვენეს და დები - მარიასა და ანას გვერდით დაკრძალეს.

P. S. ინტერნეტსივრცეში ბევრს წერენ იმაზე, რომ ვარვარა ბუბნოვას ნამუშევრები ინახება იაპონიის, რუსეთისა და აფხაზეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. ხოლო თბილისის/საქართველო არც ამ კონტექსტშია სალმე ხსენებული.

არადა, ვარვარა ბუბნოვას რამდენიმე ათეული ნამუშევარი მოვიძიეთ თბილისის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. მათ შორისაა აფხაზეთის პეიზაჟები და სოხუმელთა პორტრეტები.

ვარვარა ბუბნოვას ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციასთან მეგობრობისა და ახლობლობის დასტურად, კარგი იქნებოდა ამ ნამუშევრების თბილისის რომელიმე გალერეაში გამოფენა. ამასთანავე მისი ქართველი მონაფეებისა თუ ნაცნობ-მეგობრების მონვევა და იმდროინდელი ურთიერთობების გაცოცხლება. (ზოგიერთი მოგონება ინლილეი მომდევნო გვერდზე. - ნ.ჯ.)

ეს იქნებოდა ყველაზე საუკეთესო პასუხი ისტორიის გამყალბებელთათვის, მათთვის, ვინც დიდი მონდომებით შლის ქართველების სახელებს ამ შემთხვევაში ცნობილი მხატვრის ცხოვრებიდან და შესაბამისად, მათ კვალს აფხაზეთის კულტურულ-ისტორიული წარსულიდან.

ჩრდილი ფერწერასა და... აფხაზეთში

აფხაზეთში საოცრად კონტრასტული ფერებია - მწვანე, ცისფერი, ლურჯი... იქ თბილი ფერებიც მრავალგვარია - უბრალოდ თბილი და გამოკვეთილად თბილი, იმის მიხედვით, მზის განათება საიდან და როგორ ეცემა. აფხაზეთში კი ისეთი განათებაა, რომელზეც ცნობილი ავანგარდისტი მხატვარი ვარვარა ბუბნოვა ამბობდა: „ისეთი ღრმა ჩრდილი, როგორიც აფხაზეთშია, სხვაგან არსადააო“...

ჩრდილს ფერწერაში უზარმაზარი ძალა აქვს, მაგრამ ამაში სრულად ჩაწვდომას მთელი ცხოვრება სჭირდება, ზოგჯერ არც ყოფნის! როგორც ჩანს, ვარვარა ბუბნოვა ამ იდუმალების არსს ღრმად სწვდებოდა.

ლერი ჭანტერია, მხატვარი

ის ხელოვნების იდუმალებას გვაზიარებდა

ვარვარა ბუბნოვას პირველი მონაფე მე ვიყავი სოხუმში. მასთან 1958 წელს მივიყვანეს. სწორედ იმ წელს, როცა ის იაპონიიდან სოხუმში, თავის დასთან - მარიასთან გადმოვიდა საცხოვრებლად. იმ წელს ჩავირიცხე თბილისის სამხატვრო აკადემიაშიც.

მალე იაპონიიდან ჩამოვიდა მათი მესამე და ანაც, ცნობილი იოკო ონოს ბიცოლა და მუსიკოსი. მარია ჩვენი მეზობელი იყო ბლაგვის ქუჩაზე, ნიდან ნიდთან, ჭანჭახას ქუჩის ერთ-ერთ ჩიხში. მამაჩემი - სერგო ცინცაძე არქიტექტორი იყო, სოხუმის მთავრობის სახლის აშშენებელი. ჩვენი ოჯახი მანამდეც მეზობლობდა მარია ბუბნოვასთან, სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგთან. ახლა დავუახლოვდით ვარვარასაც, რომელთანაც მე, როგორც ხელოვნებით გატაცებულმა ახალგაზრდამ ადვილად ვიპოვე საერთო ენა. ვარვარას ჩემი მისული ყოველთვის უხარობდა და უკვირდა კიდეც, ასე როგორ მესმოდა მისი.

ვარვარა ბუბნოვას სოხუმში ჩამოსვლა ერთგვარი მოვლენა იყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ის იყო ურესად განათლებული და სხვანაირად მოაზროვნე ადამიანი, მით უმეტეს, საბჭოეთის სინამდვილეში. მას თან იაპონური კულტურა და მისი განუმეორებელი ხიბლი, ფაქიზი და თავისუფალი სული ჩამოჰყვა. მას ნება დართეს და თან ჩამოიტანა ვეებერთელა ბიბლიოთეკა, ძირითადად, ნიგნები ხელოვნებასა და მხატვრობაზე. ეს ნიგნები ცხადია იაპონურ ენაზე იყო დაწერილი და მათ შინაარს თვითონ გვიყვებოდა.

მან ნიგნებთან ერთად ჩამოიტანა უზარმაზარი ინფორმაცია თავისუფალ, ავანგარდულ ხელოვნებაზე, რაც სოხუმის, ამ პატარა ქალაქის სინამდვილეში სრულიად ახალი მოვლენა იყო. როგორც თავშიც ვთქვი, მე უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ვიყავი და არდადეგების დროს სოხუმში ჩასვლისას შუდამ მასთან მივდიოდი. ვარვარა კი არ გასწავლიდა, არამედ საოცრად საინტერესოდ და შთამბეჭდავად მოგითხრობდა ხელოვნების არსსა და სულზე. მართალია, მე მოქანდაკე ვიყავი და არა ფერმწერი, მაგრამ მასთან ურთიერთობა და საუბარი დიდ განათლებას მაძლევდა და სულიერად მზრდიდა. ეს იყო დიდი სკოლა. მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ იაპონელი მოწაფეები. ადგილობრივი სტუმარიც ბევრი ჰყავდა და მათთვის თავისი ნამუშევრების ჩუქება უყვარდა, ერთხელ მკითხა, შენ რატომ არ მთხოვ ნამუშევარს, ჩემი მხატვრობა არ მოგწონსო?.. მაშინ ორი ნახატი - პეიზაჟი და პორტრეტი მაჩუქა, რომლებიც ახლაც ჩემს ბინაში მიკიდია.

ვარვარა ბუბნოვა თავიდანვე დაუმეგობრდა მხატვარ ელენე ახვლედიანს და თბილისში ჩამოსვლისას ყოველთვის მასთან რჩებოდა. ამ დროს მეც მივდიოდი სანახაობად პეროვსკაიაზე (ამჟამად ახვლედიანის ქუჩა) და ამ ორ დიდ მხატვართან ურთიერთობითა და მათი საუბრების მოსმენით ვტკბებოდი, რაც ძვირფას მოგონებად დამრჩა.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1964 წელს სოხუმში დავბრუნდი და პიონერთა სასახლეში, სამხატვრო სკოლასა და სამხატვრო სასწავლებელში ერთდროულად დავიწყე მუშაობა. პიონერთა სასახლეში 4 -დან 12- წლამდე ბავშვები მყავდა. მიმაჩნდა, რომ თვისობრივი აზროვნება 12 წლამდე ბავშვებს არ გააჩნიათ და ამიტომაც მათ თავისუფლებას ვაძლევდი, სწავლებით არ ვლღიდი. იქ ჩემთან ხშირად მოდიოდა ვარვარა და მოსწონდა სწავლებისადმი ჩემი მიდგომა.

ვარვარას მონაფეებიდან დამამახსოვრდა დემურ დიდიძეული, რომელიც მერე თეატრის მხატვარი გახდა, მოქანდაკეები სტანისლავ ლაკობა და მარინა ეშბა. მეგობრობდა ასევე სანდრო რაზმაძესთან, რომლის გაკეთებული იყო სოხუმში წერეთლის ქუჩაზე მდგარი აკაკი წერეთლის ბიუსტი და ასევე სოხუმის თეატრის ნიშებში მდგარი ლადო მესხიშვილისა და რაფიელ ერისთავის ბიუსტები. არ ვიცი, რა ბედი ენია მათ. 1965 -1969 ნლებში მოქანდაკე სანდრო რაზმაძესთანაც დავდიოდი. სანდროსთან ხელობას ვსწავლობდი, ვარვარასთან ხელოვნებაზე ზოგად საუბრებს ვისმენდი, რაც ერთიმანეთს ავსებდა. ერთი სიტყვით, ეს იყო სულიერად მდიდარი და მარავალფეროვანი ურთიერთობების სოხუმი.

ვარვარა ბუბნოვა ხშირად მიყვებოდა თავის არაჩვეულებრივ იაპონელ მეგობარზე - მსოფლიოში ცნობილ მხატვარ შიკო მუნაკატაზე. მასზე ნიგნიც კი მაჩუქა. შიკო მუნაკატას მხატვრობა იყო ეეროპული და იაპონური კულტურის ნაზავი. მას იაპონელ ანრი მატისს უწოდებდნენ.

1969 წელს თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად, მალე სამხატვრო აკადემიაში დავიწყე მუშაობა, ჯერ სერგო ქობულაძესთან, შემდეგი კი გოგი ონიაურთან.

სოხუმში ყოველი ჩასვლისას, რა თქმა უნდა, ისევ მიედიოდი ვარვარა ბუბნოვასთან. დები უკვე ორმენინაიძის ქუჩაზე სამოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ, ერთი ოთახიდან თუ მუსიკის ხმა გამოდიოდა - მუსიკოსი დები მოსწავლეებს ამეცადინებდნენ, - მეორე ოთახში შუათანა და ხელოვნების იდუმალების აზიარებდა მონუსხულ მსმენელებს. მათგან ერთ-ერთი ვიყავი მეც და როგორი მადლიერი ვარ, რომ ეს ყველაფერი გამახსენეთ.

მერაბ ცინცაბაძე, მოქანდაკე.

თავისუფალი მხატვარი

ვარვარა ბუბნოვა დიდი მხატვარი იყო, მან მთელი ახალგაზრდობა იაპონიაში გაატარა. როგორც მის პიროვნებას, ისე მის ძალიან სანტტერესო ნამუშევრებს, აშკარად ეტყობოდა იაპონიაში ცხოვრებისა და იაპონელ მხატვრებთან ურთიერთობის კვალი. იაპონიაში ძალიან უყვარო გრაფიკა და ესწორედ იქ ჩამოყალიბდა შესანიშნავ გრაფიკოსად. „ამომავალი მზის ქვეყანამ" ამ მხრივ მას ძალიან ბევრი მისცა, რასაც აღნიშნავდა კიდეც.

ვარვარა ბუბნოვა გასული საუკუნის 70-იან წლებში, სავარაუდოდ 1973 წელს გავიცანი, სწორედ მას მერე, რაც თბილისის სამხატვრო აკადემია დავამთავრე და სამუშაოდ სოხუმში დავბრუნდი. მაშინ აფხაზეთის მხატვართა კავშირში ახალგაზრდა მხატვართა სექცია არსებობდა და ის ერთ ხანს ამ სექციის თანათავმჯდომარე იყო. მაშინ სოხუმში ახალგაზრდა მხატვრების გამოფენები ხშირად იმართებოდა და ის ყოველთვის მოდიოდა ამ გამოფენებზე, ინტერესებდა ჩვენი ნამუშევრები და საერთოდაც, ყველაფერი ჩვენზე. მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდა მხატვრებთან საუბარი, მათთვის რჩევა-დარიგების მიცემა. ახალგაზრდა მხატვრებსაც ძალიან გვიხარდა მასთან შეხვედრა და მისი მოსმენა. გვიყვებოდა საკუთარ თავზე, გამოცდილებაზე, თავის გამოფენებზე საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთსა და სხვ. ამ დროს ბევრს გვესაუბრებოდა მხატვრობაზე, ზოგჯერ მაგალითად, ჩვენთვის მანამდე უცნობ მხატვარზე მოგვიყვებოდა და მერე უკვე ჩვენ ვცდილობდით ინფორმაციები მოგვეძიებინა იმ მხატვარზე.

თავად მისი ნამუშევრები იმდენად გაუღნერელი და შთამბეჭდავი იყო, რომ დადებითად მოქმედებდა ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედებით ზრდაზე. მისი ნამუშევრები შესრულების მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდა, ზოგჯერ ტექნიკის მისეულ თავისებურებებსაც გვიზიარებდა. სოხუმში ჩამოსვლის შემდეგ განსაკუთრებით აკვარელის გაიტაცა და თანდათან შესანიშნავად დაეუფლა. მახსოვს, ერთხელ ვუთხარი, აკვარელი რატომღაც ჩემთვილი არ არის-მეთქი. აკვარელისთვის სხვადასხვა მასალა გამოიყენე და ჯერ საინტერესო გაბდებოდა, მირჩია.

- რა მასალები? აკვარელი წყალშიც კარგად იხსნება-მეთქი, - ვუპასუხე.
- შესანიშნავად იხსნება რძეშიც, ფერები ადვილად გადადის ერთმანეთში, - მითხრა.

ახალგაზრდა მხატვრისთვის ამგვარი რჩევები ბევრს ნიშნავს. თუმცა არ გამომიყენებია, რადგან ყველაზე მეტად ზეთი მიყვარს. ყველაზე უკეთ ზეთის საღებავებთან ვგრძნობ თავს.

რამდენადაც მახსოვს, ვარვარა ბუბნოვა გამოფენებზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კომპოზიციებს, სავნის, პორტრეტის თუ სხვ. განთავსებას ფორმატზე, შესრულების ტექნიკას. ნიმანდობლივია, რომ შუამწნეველი არ დარჩენილა სიახლე ამა თუ იმ მხატვრის შემოქმედებაში და ყოველთვის ხაზს უსვამდა მას.

ვარვარა ბუბნოვას ყველანი დიდ პატივს ვცემდით, იმიტომაც რომ სოცრეალიზმის ეპოქაში ის უფრო ნონკონფორმისტი მხატვარი იყო და მის ნამუშევრებს სოცრეალიზმის არანაირი ნიშანი არ ეტყობოდა. ის თავისუფალი მხატვარი იყო.

ნუგზარ მგალობლიშვილი, მხატვარი

მან მე და ჩემი დაც დაგვხატა

სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. წერეთლის ქუჩაზე გამორჩეულად ლამაზი არქიტექტურის ორსართულიანი სახლი გვედგა. სახლს ყვავილნარითა და ხეხილის ბაღით დამშვენებული პატარა ლამაზი ეზო აკრავდა გარს. დედაჩემი - ცაცა ფირცხალავა - სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი იყო, მამა - შალვა ხუბუტია - სალიტ კომიტეტის საგეგმო განყოფილების გამგე.

იმის გამო, რომ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტიც წერეთლის ქუჩაზე იყო და იმის გამოც, რომ დიდი და ლამაზი სახლი გვქონდა, ინსტიტუტისა თუ ქალაქის ბევრი სტუმარი წვეთნამ მოჰყავდათ გასამასპინძლებლად.

6-7 წლის ვიქნებოდი, როცა ჩვენი სახლის პირველ სართულზე დებმა ბუბნოვებმა დაიდეს ბინა. მათგან ორი - ანა და ვარვარა იაპონიიდან ახალი ჩამოსულები იყვნენ, მარია კი მანამდეც სოხუმში ცხოვრობდა. დებისთვის ორკვირიანთის ქუჩაზე მშენებარე 4 სართულიან სახლში უნდა მიეცათ ბინა და ვიდრე ის აშენდებოდა, მათ ჩვენი სახლის პირველი სართული სიამოვნებით დათუმეს. თუმცა ეს ამბავი ჩემთვის ერთგვარი დისკომფორტის მიზეზი გახდა, ახლა, ცხადია, მეელიმება, მაგრამ მაშინ... პირველ სართულზე ცხოვრობდა ჩემი მუსიკის მასწავლებელი, რომელსაც ამიერიდან შატალოზე ადვილად ვერ გავეპარებოდი.



ბავშვი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, ერთ-ერთი და ვარვარა დიმიტრის ასული ძალიან სერიოზული მხატვარი იყო. გამოფენები ჰქონდა რუსეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. ის ჩვენს ოჯახს მადლიერების ნიშნად თავის ნამუშევრებს ხშირად ჩუქნიდა. ერთხელ მე და ჩემი და დავგხატა და მერე ის პორტრეტები მისაღებში გვეკიდა. სამწუხაროდ, ისინიც სხვა ყველაფერთან ერთად სოხუმში დაგვრჩა.

ბუბნოვები დახვენილი ინტელიგენტები იყვნენ, იაპონური კულტურის კვალი აშკარად ეტყობოდათ, ჩემს მშობლებს დებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ცდილობდნენ მათთან დავეტოვებინეთ ხოლმე, რათა საინტერესო საუბრები მომესმინა. სტუმრები ხშირად მოსდიოდათ და მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. ბუბნოვებთან ბევრი ახალგაზრდა დადიოდა, მახსოვს კოტე რატიანი ანა ბუბნოვას მონაფე იყო.

რამდენიმე წლის წინათ, უკვე თბილისში მცხოვრებს, დამირეკეს და მითხრეს, სოხუმიდან ჩამოსულ ერთ ქალბატონს თქვენი ნახვა უნდაო. ხანში შესული, სანდომიანი ქალი იყო, გვარად ქეცბაია. განსაკუთრებული მისია ჰქონდა: რადგან დები ბუბნოვები თქვენთან ცხოვრობდნენ, თქვენს სახლში მათი სახლ-მუზეუმის გახსნა გვინდა და მოგვყიდეთო. არა-მეთქი, უცებ ვიუარე, მამისეულ სახლს ვერ გავყიდი და თანაც მალე დაბრუნებას ვაპირებ-მეთქი...

ჯუმბერ ხუბუტია,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1976 წელი იდგა...

1974 წელს, მე და ლერი რომ დავქორწინდით, ერთი კვირით ბიჭვინთაში გავემგზავრეთ. სასტუმროში, სადაც გავჩერდით, გვერდითა ოთახში დაბინავებული ორი ყრმა ქალბატონი - ნატალია სან, მასთან ერთად ცხოვრობდა იაპონელი სან კატაიამა. ნატალია სან ხელოვნებათმცოდნე იყო და პუშკინის მუზეუმში მუშაობდა. სან კატაიამა იაპონიაში კომუნისტური პარტიის შექმნის ერთ - ერთი ინიციატორის - სენ კატაიამას ქალიშვილი იყო. იმ სენ კატაიამასი, რომელიც მოიდანზე, კრემლის კედელთანაა დაკრძალული. როცა ქალბატონებმა გაიგეს, რომ ახალდაქორწინებულები ვიყავით, ყოველდღე ახალი იკეპანა (იაპონურად „ცოცხალი ყვავილი") შემოჰქონდათ ჩვენთვის. მერე მაჩუქეს ნიგნი იკეპანაზე და კენძანი (ყვავილების მეტალის სადგარი).

ქალბატონებს ძალიან დავუახლოვდით და რა თქმა უნდა, ვილაპარაკეთ ვარვარა ბუბნოვაზეც, რომელთანაც ახლოობლებენ. მთხოვეს, სოხუმში დაბრუნების შემდეგ მასთან მივსულიყავი და ქალბატონების მოკითხვა გადამეცა. ქალბატონ ვარვარას სოხუმში დაბრუნებისთანავე ვესტუმრე. მაშინ ის დებთან ერთად ორჯონიკიძისა და ლაკობას ქუჩების გადაკვეთაზე, ოთხსართულიანი სახლის სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ერთ ოთახში სახელოსნო ჰქონდა მოწყობილი. მე მას სან კატაიამასთან შეხვედრის ამბავი მოვუყევი და მისგან მოკითხვა გადავეცი, რაც ქალბატონ ვარვარას ძალიან გაუხარდა და მითხრა, ნატალია სანისთვის საჩუქარი მაქვს და თუ შეგიძლიათ, გადასცეთო. მე ვუთხარი, რომ შემეძლო. მაშინ ვარვარა ბუბნოვამ გადმომცა თავისი ნამუშევარი - აკვარელში შესრულებული ყვავილები, რომელიც ფაქიზად შევფუთე და ნატალია სანს ფოსტით გავუგზავნე.

ვარვარა ბუბნოვა 90 წლის რომ შესრულდა, საიუბილეოდ სოხუმში გაიმართა მისი ნამუშევრების გამოფენა, რომლის ეექსპოზიციის მონყობაც მან ლერის სთხოვა. გამოფენის გახსნაზე რომ მივედი, ყვავილები მივართეი, რაც ძალიან გაუხარდა.

მარინა ჭანჭიფურია,
მხატვარ ლერი ჭანჭიფიას მეუღლე.

ავანგარდული მუსიკის თანხლებით...

ჩემი, როგორც მხატვრის ჩამოყალიბებაში, უდიდესი როლი ითამაშა ვარვარა ბუბნოვას „სოხუმის სკოლამ". მის მონაფეებს შორის აფხაზს არავის ვიცნობი, ქართველთაგან კი ვიცი მერან ცინცაბაძე, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა.

ვარვარა ბუბნოვასთან იმართებოდა სანტტერესო სალამოები ჩაისა და ავანგარდული მუსიკის თანხლებით, აქ გაინხილებოდა ძველი და თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები. სალამოების სტუმრები იყვნენ სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან. ის შეგობრობდა ელენე ახვლედიანთან, რომელიც მას მზრუნველობას არ აკლებდა. არა ერთხელ ვყოფილვარ იმის მონმე, თუ როგორ უგზავნიდა ელენე ამანათებს, რომელშიც ელაგა საღებავები, შესანიშნავი ჰოლანდიური ფუნჯები და კარგი ხარისხის ქალაღდი აკვარელისთვის. აქედან რაღაც-რაღაცები მეც მრგებია ხოლმე ნილად, 1973 წელი იყო და ასეთი ნივთების დიდი დეფიციტი იგრძნობოდა.

შაქრო ბოკუჩავა,
მხატვარი

სოხუმი ტკივილის ნაცვლად, სიყვარულთან უნდა ასოციირდებოდეს!

შალვა ბერიანიძე

თაობათა ცვლას აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი სულაც არ გაუნელებია და ჩვენი ქვეყნისთვის იგი კვლავ ერთ-ერთ მძიმე პრობლემად და მოგონებად რჩება. პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში უკვე, რამდენიმე თაობა გაიზარდა. მათი უმრავლესობა აფხაზეთში ნამყოფიც არც არის. თუმცა ამის მიუხედავად, აფხაზეთისადმი დიდი ინტერესი და სიყვარული აქვთ.

სწორედ ერთ-ერთი მათგანია წარმოშობით სოხუმელი ნიკა მიქავა. იგი სოხუმის საკალათბურთო გუნდში თამაშობდა, სადაც პირველად დაებადა იდეა, რომ შეექმნა ისეთი სამოსი, რომელიც აფხაზეთს მომავალ თაობაში უფრო მეტად წარმოაჩენდა და პოპულარიზაციას გაუწევდა. ზღვისპირა ქალაქების სილამაზით, მოყოლილი ისტორიებითა და არქივში აღმოჩენილი ფოტოებით მოხიბლულმა 23 წლის ნიკა მიქავამ, შთაბეჭდილებების გადადატანა მაისურებზე სცადა და ისინი დღეს უკვე გაყიდვაშია. მისი დიზაინით შექმნილ სამოსს სოხუმი, გაგრა, ოჩამჩირე და აფხაზეთის სხვა ქალაქების სახელები აწერია.

ნიკამ 2019 წელს შექმნა ტანსაცმლის ბრენდი „ლაკოჯუ", რომელსაც საკუთარი მაღაზია და სამკერვალო აქვს. ბრენდს სოციალურ ქსელში უკვე 28.000-ზე მეტი მომდევარი ჰყავს და მის მიერ წარმოებულ სამოსს ცნობილი ადამიანებიც იცმევენ.

უფრო კონკრეტულად ამ ყველაფერზე თვითონ ნიკა მიქავა გვიამბობს:

„ლაკოჯუს" მომხმარებელი და სამომავლო გეგმები

ვცდილობთ, მომხმარებლისთვის ესთეტიურად მიმზიდველი პროდუქტი დავამზადოთ. უცხოელი შესაძლოა ვერ მიხვდეს მაისურზე რა წერია, თუმცა ვიზუალურად უნდა მოეწონოს. შემდეგ წარნერის შინაარსს აუცილებლად ვუხსნით და ისინიც ყიდულობენ. რამდენიმე თვის წინათ, „ფაბრიკაში" მარკეტი გვქონდა და ერთ-ერთ რუს ტურისტს ვცვა ჩვენი მაისური, რომელსაც ქართულად ეწერა „სოხუმი". ეს ძალიან სასიამოვნო შეგრძნება იყო. აგრეთვე, ჩვენი ბრენდის სამოსი ტელეწამყვანებსაც ხშირად აცვიათ. მსურს, რომ ჩვენი ბრენდი საერთაშორისო ბაზარზე გავიდეს, რასაც საკმაოდ დიდი შრომა სჭირდება და რისთვისაც მზად ვართ. ასევე გვინდა, დავნერგოთ „ეიარ სისტემა", რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, რომ მაისურზე განთავსებული წარნერის, სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით, სურათი გადაუღოს და მის შესახებ მნიშვნელოვან ფოტო-ვიდეო და ტექსტურ მასალას გაეცნოს.

ამჟამად პროდუქტს ქართულ, ინგლისურ, ჩინურ და ბერძნულ ენებზე ვანარმოებთ. გვქონდა აფხაზურადაც, თუმცა ხშირად არ გამოგვიყენებია. მაღაზიის ვებ-საიტი ჯერჯერობით, მხოლოდ ინგლისურ ენაზე გვაქვს და ნელ-ნელა ქართულზეც გადავდვიარო. ეს გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ამიტომაც, შედარებით მცირე დრო გვჭირდება. აგრეთვე, ვაპირებთ ჩვენი პროდუქტია ინტერნეტმაღაზია „Amazon"-ზეც განვათავსოთ.

არასდროს დანებდეთ!

ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ არასდროს დანებდნენ! მე რომ ყველაფერს თავიდან ვინყებდი, ისევ იმ გზას გავიარდი და არაფერს შევცვლიდი. მოუხედავად იმისა, რომ შეცდომებიც დავუშვი, ვფიქრობ მე და ჩემი გუნდი სწორედ შეცდომებმა მოგვიყვანა აქამდე და დარწმუნებული ვარ, კიდევ შორს წავალთ.

ამდენად, მიმაჩნია, რომ შეცდომების დაშვება აუცილებელიც კია. სხვანაირად ვერ განვითარდები, ვერ ისწავლი საქმის სწორად წარმოებას. იმითაც, ახალგაზრდები, არ შეშინდეთ თუ შეგეშლებათ და რაღაც ისე არ გამოგივათ.

მე ყოველთვის ვცდილობდი, არ დავნებებულიყავი. ბევრ ვინმეს უშედეგოდ ვთხოვდით დახმარებას, მაგრამ ხელი მაინც არ ჩაგვიქნევია. დღეს კი დარწმუნებული ვარ, რომ შეუპოვრობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უსარა, არა მარტო ბიზნესში, არამედ ყველაფერში, მით უმეტეს, აფხაზეთის მიმართ. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ, ეს ის მართლაც ასე იქნება. დაბრუნების მუდმივი მცდელობა და წვალება, ახალ-ახალ შესაძლებლობებს გააჩენს, როგორც ეს „ლაკოჯის" მაგალითზე მოხდა.

ჩემს შესახებ

დავიბადე 1997 წელს ქ. თბილისში. ამჟამად, კავკასიის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. მთელი ბავშვობა ოჯახში მესმოდა, რომ სოხუმიდან ვართ და ის ჩვენი მშობლიური ქალაქია. თითქმის ყოველდღე ვათვალიერებდი ჩემთვის უცნობი სოხუმის, გაგრის, ოჩამჩირის და აფხაზეთის სხვა ქალაქების სურათებს. ქალაქებისა, სადაც არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა იურიდიულად, დღემდე ქ. სოხუმში, პაპასკირის ქუჩის №21-ში ვარ ჩაწერილი.

ჩემების მონათხრობიდან ვიცი, რომ ჩვენი სახლი ფუნქციონირთან ახლოს იდგა და ეზოდან ქალაქისა და უჩირიზნოჭეო ზღვის ულამაზესი ხედი იშლებოდა. ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა, რომ ასეთი სახლი მქონდეს.

იმ წელს ჩემს სამზრეულოში ეკიდა სწორედ თქვენი სამინისტროს მიერ დაბეჭდილი კალენდარი აფხაზეთის ღირსშესანიშნაობები ხედებით. იმდენად ლამაზი და შთამბეჭდავი იყო ოთითეული მათგანი, რომ გაოცებას ვერ ვმალავდი და მომინდა, მათ შესახებ ყველას სცოდნოდა. შესაბამისად, გადავწყვიტე ისეთი რამე გამეკეთებინა, რაც ახალგაზრდებში აფხაზეთის პოპულარიზაციას გაზრდიდა.

პირველი ნაბიჯები

მე სოხუმის საკალათბურთო კლუბში ვთამაშობდი. ძალიან მომწონდა, რომ ჩვენს მაისურებს „სოხუმი" ეწერა და ვიფიქრე, შემექმნა ისეთი სამოსი, რომელიც აფხაზეთს უკეთ წარმოაჩენდა.

ჩემთვის ქ. სოხუმი ყოველთვის ტკივილთან ასოცირდებოდა, ამიტომაც მომინდა, რომ ჩემ მიერ შექმნილ პროდუქტს, სოხუმის სიყვარულის ასოციაცია გამოეწვია და სწორედ სიყვარულით აფხაზებთან რამე სახის დაილოგი დავგვწყო.

მალევე დიზაინის აწყობა და იდეის გარშემო მეგობრების შემოკრება დავიწყე. ერთი მათგანის დასაბეჭდად დაახლოებით 6-7 თვე დავკმარდა. მაისურების დიზაინს დღემდე მე ვანყობ, თუმცა მის გაციფრულებაში ჩემი მეგობარი, გრაფიკული დიზაინერი დავით სარალაშელი მეხმარება. მაისურების დიზაინის შესარჩევად დავდივარ ეროვნულ არქივში, სადაც ახალ-ახალ, ბევრ უნიკალურ და შთამბეჭდავ ფოტოს ვპოულობ. ამასთანავე აფხაზეთიდან დევნილებთან აქტიურად ვურთიერთობ და მათ ისტორიებს ვისმენ.

ბრენდი „ლაკოჯუ"

კავკასიის უნივერსიტეტში, სადაც ვსწავლობ, არის პროექტი „სტარტაპ აქსელერატორი", რომელიც ჩემი პროექტის შედგენასა და მაღალი სტანდარტების მქონე ბრენდის შექმნაში დამეხმარა. ამ პროექტის დახმარებითაა და ჩემი პირადი სახსრებით, შევქმენით რამდენიმე მაისური, რომლებიც იმდროისთვის ვამაოთულ ე.წ. „ფლიმარკეტზე" წარმოვადგინეთ. ჩვენმა მაისურებმა დიდი მოწონება და გამოხმაურება დაიმსახურა, რამაც ბრენდის დაარსებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

2019 წელს, აქტიურად ვმუშაობდი ბრენდის სახელზე, თავდაპირველად მსურდა, მისთვის „უკან მომავალში" დამერქმია, თუმც არქივში ძიებისას აღმოვაჩინე სიტყვა „ლაკოაჟ", რომელიც ერთი შეხედვით ფრანგულ სიტყვას ჰგავს, მაგრამ სინამდვილში ეს ერთის ერთ-ერთი იშვიათი აფხაზური ჯინია და ძირითადად გუდაუთაში ხარობს. როგორც ვიცი, მისგან ლერჯი ღვინო მზადდება. ამ სიტყვას, პირადად ჩემთვის, საკმაოდ დიდი ემოციური კავშირი აქვს აფხაზეთთან.

ბრენდის განვითარება

თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ მაისურებს ვუშვებდით. დღეს კი მომხმარებლებს, კაბებიდან დაწყებული, შორტებითა და ქუდებით დამთავრებული, თითქმის ყველაფერს ვთავაზობთ. ჩვენი მაღაზიაც გავხსენით და ნებისმიერ მსურველს შეუძლია, გვესტუმროს. უკვე საკუთარი სამკერვალოც გვაქვს და თარგებსაც იქ ვაკეთებთ. მაქსიმალურად ვცდილობთ, თითოეული დიზაინი ყოველთვის ლიმიტირებული და ხარისხიანი. თუმცა, მიუხედავად ამისა, პირვანდელი სურვილი უცვლელი რჩება, გვინდა რომ აფხაზეთის თემატიკა არასდროს დავკარგოთ, რადგანაც იგი ამოუწურავია და თანაც თანდათან უფრო მეტად განვითარდეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის დასაწყისში, ჩვენს საბიზნე აუდიტორიას ძირითადად ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. გვსურდა, რომ აფხაზეთისადმი ცნობიერება მათში უფრო მეტად აღეგვემაღლებინა, თუმცა ბრენდით თანდათან არა მხოლოდ ახალგაზრდობა, არამედ ყველა თაობა დაინტერესდა.

„უკან მომავალში"

„უკან მომავალში" ჩვენი ბრენდის სლოგანია, რაც აფხაზეთში დაბრუნებას და უკეთესი მომავლის შენებას გულისხმობს.

ჩვენი დიდი სურვილია, რომ ბრენდი აფხაზეთშიც შეეიღეს. გვსურს, რომ ჩვენი სამოსი აფხაზებსაც უცვიათ თუ აღარებენ, რომ „აფხაზეთი საქართველოა". მათ ჩვენ შესახებ „ინსტაგრამის" საშუალებით უკვე გაიგეს. ძირითადად გამოვეხმაურნენ იქაური სპორტსმენები, რომლებიც საკმაოდ ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი და ამბობდნენ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და მას არანაირი კავშირი არა აქვს საქართველოსთან. გული სანინლად მეტკინა. ამასთანავე მესიამოვნა ქართველების დამოკიდებულებამ, დებატლოგად უხსნიდნენ მათ თუ რა გვაკავშირებს ქართველებსა და აფხაზებს. სამწუხაროდ მათ ეს არ იციან, რადგან ისტორიაც კი შეუცვალეს.

მოუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ჩვენც იგივე პრინციპით არ უნდა ვუპასუხოთ. რა მაათი ბრალია თუ შეცვლილი ისტორიით ზრდიან. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა, თუმცა ჩვენც არანაკლები პრობლემები გვაქვს. მაგალითად, ქართველ ხალხზე აფხაზეთის მიმართ დიდი ინტერესი არ არის, რაც ჩვენი ბრალია. ვფიქრობ, ჩვენ თუ მსოფლიო მასშტაბის ნარმატებულ ქეეყნად ვიქცევით, აფხაზები ჩვენით უნინდებურად დაინტერესდებიან.

ამჟამად სამეგრელოს თავისი ერთგვარი ლოგაეური გაგრძელება აფხაზეთი აქლია. ამდენად წარმოუდგენელია, რომ მის დაბრუნებაზე ოფლსმე უარი ვთქვათ. რა თქმა უნდა, ეს ომით და კონფრონტაციით არ უნდა მოხდეს. აფხაზებს ცივილიზებულად უნდა დაველაპარაკოთ.

რაზე დაგვაფიქრა კორონავირუსმა?!

შალვა ბერიანიძე

ახალმა კორონავირუსმა ბევრ სხვა მძიმე შედეგთან ერთად, მსოფლიო მოსახლეობის თვითიზოლაციაც გამოიწვია. რამდენიმე თვე გავიდა, რაც ვირუსმა პირველი ადამიანი იმსხვერპლა და არავინ იცის, ვინ იქნება შემდეგი ან ბოლო...

კაცობრიობა პრესითა თუ ტელევიზიით, რადიოთი თუ ინტერნეტით კორონავირუსით გამოწვეული მძიმე შედეგების მომსწრე გახდა. თვითიზოლაციისა და კარანტინის, პაციენტებით გადაჭედილი საავადმყოფოებისა და სამუშაო ადგილების გაჩერების მოუხედავად, ვცდილობთ ცხოვრება და განვითარება ახლებურად, უკვე კორონავირუსთან ერთად გავაგრძელოთ.

„კორონა" ლათინურად გვირგვინს ნიშნავს. აქამდე თუ ჩვენ გვირგვინს დიდების ან გამარჯვების სიმბოლოდ აღვიქვამდით, ამიერიდან იგი დიდი საფრთხის სიმბოლოდ მოგვევლინა. ამ შემთხვევაში მე უფრო ერთი ახიელი ექიმის მოსაზრება მომწონს: კორონავირუსი ჰგავს საცოლეს, რომლის ცოლად შერთვამდე ყველა მამაკაცს ჰგონია, რომ იგი ყოველთვის მისი სურვილისამებრ მოიქცევა. ქორწინების შემდეგ კი სხვაგვარად ხდება და მამაკაცები მათთან ერთად ცხოვრებას სწავლობენ და ახალ რეალობას ეგუებიან. ჩვენც, თითქოს კორონავირუსთან ერთად ახალ ცხოვრებას ვეგუებით.

ამ რამდენიმე თვის განმავლობაში, ადამიანები საკუთარ თავს ვეკითხებით - „რა დააშავა კაცობრიობამ ისეთი, რომ ამას ვიმკით?" ან „ის, რაც ხდება დღეის რისხვაა თუ განგებისმიერი გრავიტაცია?!" ეს კითხვები ბოლო თვეებში უფრო მეტჯერ დაისვა, ვიდრე მთლიანად კაცობრიობის ისტორიაში.

მოდით, გადავხედოთ, არც ისე ადრინდელ მოვლენებს, რომლებმაც მსოფლიო დააფიქრა. იქნებ განვება რამეს გვანიშნებს?

გავიხსენოთ უახლოესი წარსული: ხანძარი ჯერ უინძორის სასახლეში, შემდეგ ვენეციაში; 2019 წლის აპრილი - ცეცხლის ალში გახვეული პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი; აგვისტოში ამაზონის ტყეში ცეცხლში გამომწყვდეული უმწეო ცხოველები; 2020 წლის იანვარში ალმოდებული ავსტრალია და წყალდიდობა ინდონეზიაში; სულ ახლახან საფრანგეთის ქალაქ ნანტში, მე-15 საუკუნის გოთიკური სტილის კათედრალში გაჩენილი ხანძარი, რომელმაც ტაძრის ვიტრაჟები და დიდი ორღანი გაანადგურა, ცალკე თემაა ამ ყველაფრის „გვირგვინი" „COVID-19", რომელმაც ვფიქრობ, კიდევ ერთხელ ცხადად შეგვახსენა პოლ ვალერის მიერ 1919 წელს ნათქვამი სიტყვები:

„ჩვენ, ცივილიზაციებმა ახლა ვიცით, რომ მოკვდავნი ვართ".

ალბათ დამეთანხმებით, რომ ყოველი არსებისთვის იმის ცოდნა, რომ მოკვდავია და იმის დანახვა, როგორ კვდება, სხვადასხვა რამაა... გახსოვთ, ფიოდორ დოსტოევსკის რომანში „ეშმაკი" „შპიგულინის ფაბრიკის ხანძარი", რომელიც ასობით დამეულ მოხეტიალეს, მოქეიფეს და თუნდაც მოელ პატარა ქალაქს, როგორ იზიდავდა. ან კიდევ ალბერ კამიუს, ალეგორიულ რომანში „შავი ჭირი" აღწერილი ეპიდემიის გავრცელება ალჟირის ქალაქ ორანში, მისი შემაძრწუნებელი მომავალი და საბოლოო დასასრული ყველას თანაბრად როგორ თრგუნავს და შინაგანად როგორ ანგრევს?!...

2020 წლის დასაწყისშივე მილიარდობით ადამიანმა მედიასაშუალებებს მიაშურა, ახი ათასობით ადამიანმა კი საავადმყოფოებს. სახლში გამომწყვდეული, ცისფერ ეკრანებს ამედი თვალით შემყურე მაყურებლების რაოდენობა იმაზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამსტრონგის მიერ მთვარეზე პირველი ნაბიჯების დადგმისას ან 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუორკის ორ კოშკზე თვითმკვლელი ბოინგების შეჯახებისას იყო.

ჩვენ უკვე ვნახეთ ასობით კუბო, ვნახეთ საერთო სასაფლაოები, სადაც მიცვალებულებს ყოველგვარი წესისა და რიტუალის გარეშე მარხავდნენ; ვიხილეთ დაკეტილი ეკლესიები და შეშინებული სასულიერო პირები, რომლებსაც მრევლის დაკარგვის უფრო ეშინოდათ, ვიდრე მათი სიცოცხლის დაკარგვისა; მღვდლები, რომლებიც წირვა-ლოცვას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით აღავლენდნენ; ვიხილეთ საავადმყოფოებად გადაკეთებული შენობები, აგრეთვე ერთ დღეში აშენებული სამედიცინო პუნქტები და დღესაც თვალს ვადევნებთ მსოფლიოს, რომელმაც ერთმანეთთან ურთიერთობის კონკრეტული დისტანცია დაადგინა და ადამიანებს ერთმანეთის სუნთქვა აღარ ესმით... ეს ყველაფერი კი მახსენებს ალბერტო მორავიას სიტყვებს:

„პიერისა არ იყოს, არც ბედნიერება ვიცოდი. პიერს ხომ სწორედ მაშინ ედება ფახი, როცა არ გვყოფნის".

P. S. იმის დასტურად, თურმეს დააფიქრა შეშფოთებული ადამიანები ამ უჩვეულო დღეებმა და მერე როგორ გამოხატეს ის, გთავაზობთ რამდენიმე ლექსსა და ნამუშევარს შიმდეგნო, მე-17 გვერდზე.

როცა ზღვა დელავს, დავით ბაძაღუა

საიდა

დაჩი ახვლედიანი

ნოველა

ივლის-აგვისტოში სოხუმში ტემპერატურა 40 გრადუსამდე აღწევს. ამ დროს სოხუმელები დილით ადრე ან გვიან ღამით გამოდიან სანაპიროზე. შუადღისას რუხი ტურისტები ჭარბობენ, აქა-იქ თითო-ოროლა აზიელსაც მოკრავთ თვალს. სანაპიროზე ცნობილი სოხუმური ქვაშის ყავის რიგში თითქმის ყოველთვის დგანან ტურისტები, „ნართაა" მუდამ გადატვირთულია, აქაურ ხაჭაპურს გვერდს ვერ უქცევენ.

თუ ბილომდე გაუყვებით სანაპიროს, ამჟამად უკვე „მუპაჯირების" ქუჩას, გზად უამრავი კიოჭ-ბარი და რესტორანი შეგხვდებათ. სანაპირო ზოლის გასწვრივ თვალს მოკრავთ დიოსკურიის ნანგრევებსაც, რომლისგან მხოლოდ რამდენიმე ბოძი და საძირკველია დარჩენილი. აქ, ყველგან მუდამ ჟრიამულია, დიოსკურიასთან ტუროპერატორები და გიდები ირევიან და ტურისტების მოსაზიდად როგორ არ არტისტობენ.

საიდა თარბა მოწყენილი მიუყვებოდა სანაპიროს, თითქოს ზღვაც იზიარებდა მის ტკივილს და ტალღების ტყლაშუნით ქალაქის ხმაურისგან იფარავდა. საიდა ისეთი ლამაზი გოგონა იყო, რომ შეიძლებოდა ნებისმიერი მელანქოლიკი პოეტის მუზა გამხდარიყო. მას ახლა წლების წინათ დატოვებული წერილი ეჭირა ხელში. საიდა დიოსკურიის ნანგრევებთან ჩამოჯდა, ომამდე აქ მისი და გიორგის შეხვედრის ადგილი იყო. სწორედ გიორგის უნდა შეხვედროდა ახლაც, ამდენი წლის მერე გაებედა და მისი დატოვებული წერილი გაეხსნა... თითქოს ორი მე არსებობდა საიდაში, ერთს სძულდა გიორგი, ამ სამყაროში ყველაზე მეტადაც კი სძულდა ადამიანი, რომელიც თვითონ იყო მისთვის მთელი სამყარო და თვითონვე წაართვა იგი. მეორე მეს კი ისევ უყვარდა გიორგი, მის გახსენებაზე ისევ კეთილი ღიმილი წაპკრავდა სახეზე. საიდაში შეოცნებე გოგონა ზღვის სიახლოვეს ყოფნისას იღვიძებდა, დანარჩენ დროს კი მასში ის მეორე, ოცნებისგან დაცლილი მე ფხიზლობდა...

ფიქრებში ჩაძირული საიდა ზღვის ჰორიზონტს გაჰყურებდა... მერე ღიმილნარევი სევდით ნელა გახსნა წერილი...

„თუ მკითხავენ, ყველაზე უცნაური რა არის ცხოვრებაში, ვუპასუხებ, რომ თავად ცხოვრებაა ყველაზე უცნაური... ადამიანები ყოველთვის ვეძებთ, ხანდახან მთელ მსოფლიოშიც დავბორიალებთ „მის" საპოვნელად, დაღლილნი კი აღმოვაჩენთ, რომ ის ძალიან ახლოს იყო, სწორედ იქ იყო, სადაც მთელი ცხოვრება გავრბოდით. ეს ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს, საიდა, შენს შემდგომ ჩემს ცხოვრებას.

მთელი ეს დრო გაუმხელელი ტკივილით ვიტანჯებოდი და ახლა უტკივილოდ მიჭირს კიდეც. თითქოს ვხდი საკუთარ თავს და ყოველდღე შეცდომებს ვახსენებ, რომ კიდევ უფრო მეტკინოს. მაგრამ იცი, რას მივხვდი ამდენი წლის მერე? ეს ტკივილი კი არა, სიყვარულია. რაც უფრო გიყვარს სიცოცხლე, მით უფრო გტკივა ყოველი უსიყვარულოდ გაბნეული, შეცდომით სავსე დღე, თვე. მერე თავს იმშვიდებ, რომ ეს დრომ მოიტანა, იმიზეზებ, რომ სხვა გზა არ გქონდა, მაგრამ იცი, რა არის სინამდვილე? - ყველაზე დიდი სიმამაცე შეცდომის აღიარებაა! ყველაზე დიდი სიმამაცეა, როცა გტკივა და მისი გაზიარება სხვისთვის შეგიძლია, როცა ძალის წინ მხოლოდ საკუთარ თავზე არ ფიქრობ! ყველაზე დიდი სიმამაცეა, როცა შეგიძლია ადამიანი იყო მუდამ და არა მხოლოდ მაშინ, როცა გჭირდება! მანამდე, ვიდრე ჩემს თავზე, შენზე, ოჯახსა და ჩემს სოხუმურ ცხოვრებაზე ვიტყოდი უარს, ბევრჯერ შევერკინე საკუთარ თავს და ბოლოს მაინც იქითკენ წავედი, საითაც წაუსვლელობა არ იქნებოდა! იმში ხომ იცი, ბევრი რამ ხდება: ერთხელ როცა მომაკვდავ ბიჭს ზემოდან დავფარე, არ ვიცი, საიდან მომფინქრდა, უბრალოდ, ჩემი სისუსტის დასამალად და მის გასამხნევებლად, ვითომ ძლიერმა ჩავეკითხე, რა გრძნობაა, მაგარო ბიჭო, როცა კვდები-მეთქი. მან კი მართალი ჩემზე ბევრად ძლიერმა და უკვე ბედს შეგუებულმა, ცრემლიანი თვალებით ამომხედა და მითხრა: - პეპლებივით დაფარფატებენ, ძმაო, ახლა ირგვლივ ჩემი ცხოვრების ბედნიერი წამები. ყველა ბედნიერი წამი, რაც კი მქონია, აქ ტრიალებს. ცუდი კი ისაა, რომ მათ გვერდით ის შეცდომებიც არიან, რაც დამიშვიათ. ბევრი წიგნი წამიკითხავს, მაგრამ ვერავინ ვნახე, ვისაც შესძლებოდა იმის აღწერა თუ როგორი სანახავია სიცოცხლე და სიკვდილი ერთად, თუ როგორ იმარჯვებს სიკვდილი ადამიანზე და როგორია სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე მყოფის თვალები...

მე ვიცი, საიდა, ოდესმე შენ გახსნი ამ წერილს. შენ იქ დარჩი განადგურებულ და დანგრეულ სოხუმში. ჩვენ ერთმანეთის მტრებად ვიქეცით, ჩვენ ყველამ ყველაფერი წაბში დავკარგეთ, ვერც გამარჯვებულებს დაგხვდებოდათ ადრინდელი სოხუმი, რადგან ის ამ გამარჯვებამ შეიწირა... ამ ყველაფრის შედეგი ისაა, რომ ჩვენ სიყვარული დავკარგეთ, ერთმანეთი და ჩვენი ოცნებები დავკარგეთ. ცხოვრება მართლაც რომ უცნაური რამ არის, საიდა, ვერ შევეჭელი, ამდენი წლის მერეც ვერ შევეჭელი კვლავ შემყვარებოდა ვინმე. მე მხოლოდ იქ შემიძლო ისე ძლეულ მყვარებოდა, რომ დროს და სიშორესაც ვერაფერი დაეკლო მისთვის. დღეს კი მხოლოდ შენი სიყვარული დამრჩა გულში, რაც მაგრძნობინებს, რომ ცოცხალი ვარ... დანარჩენს, ჩემი ცხოვრების დანარჩენ ფრაგმენტებს სოხუმის დატოვების შემდეგ ვეძებ, მაგრამ ვერსად ვპოულობ"...

საიდას ხელები აუკანკალდა, ის ტიროდა... წერილი ტალღებმა გაიტაცეს... ირგვლივ უამრავი ადამიანი იჩეოდა, მაგრამ არც ერთი იყო მისი ახლობელი, არც ერთი გაუგებდა, მისი მხოლოდ ტალღებს ესმოდათ და ისინიც მასთან ერთად დელავდნენ.

მარინე ტურავა

***

ყოველ გაზაფხულზე,
როგორც კი მზე ოდნავ დააჭერს,
ჩემს ფანჯარასთან დიდი ჭერმის ხე
მყისიერად აყვავილდება...
არ ელოდება მეტად დათბობას,
არც პირველი ფურისულების
თუ ყორნარდების ამოწვერას,
მერცხლებს მითუფრო,
მოუხვენარი და სულხუროფია,
ხასიათი აქვთ ხეებსაც...
დგას ასე თავმომწონე და გაპრანჭული,
სანამ პირველი ქარი არ წამოუბერავს,
ანდა სეტყვა არ წამოუტყლაშუნებს,
ნირს არ შეიცვლის მაინც,
კუდი ყივარზე ბოლომდე აქვს შემოდებული,
ნიშნისმოგებით აკვირდება იმ ხეებსაც,
ამჯერადაც რომ დაასწრო აყვავილება!
მერე ნელ-ნელა ეფანტება კვირტები ქარში
და ნაყოფის გამოღებამდე,
თითქმის განძარცული,
რამდენიმე ჭერმის მოისხამს კრძალვით.
ასე არის ყოველ წელიწადს...
ამ ჭერამსა და სახარების ორ ჩიტზე
მეტი გაღირვარ, ვიცი, უფალო,
შენი ნების გარეშე
ჩემი თმის ღერიც არ გაითორდება,
ჯეროვნად მოყვავილე ეს ხეც
უპირობო სიყვარულის გზავნილია
ჩემთვის,
ვისაც უპირობო სიყვარული
დიდი ხანია არ შემიძლია,
მაგრამ მაინც მწყურია
შენი
წრფელი ქვეყანა!

მაია მიქაია

ღრუბელი

წამოვედი ჩემს
ვარდისფერ გვირილებთან,
აქ გულლია მელოდება ეზო.
გზად საყვარელ მელოდიას ვღიღინებდი.
დღეს ვაცხადებ დასვენების სეზონს.
მაგრამ ამ დღეს მონატრების
სევდა ახლავს
და ვარდისფერ გვირილიან სურათს
ცრემლით ვამღვრევ,
იორს მიაქვს ტალღა-ტალღა
სახეები,
ფსკერისკენ რომ ცურავს.
ჩემი სულის გალალება ახსოვს იორს...
ახსოვს ჭრელი მდინარება წლების...
კიდევ ბევრი მისი წყალი გადამიარს,
მოვდივარ და
მის სიჭ ქვებთან ვწვები.
დაჟამკრებულ ფურ-ხარების
მშვიდი ფშვინვა
ეხამება შლეგი იორის ხმაურს.
იცის მოვარემ,
ჩამოვედი, უკვე შინ ვარ,
მეძახის და მეც ვპასუხობ:
- ჰაუუუ!

დარიკო ფიფია

დროის რკალები

ფანჯრებს მიღმა
გაზაფხულისფერკაბიანი
ქალი დადის უმისამართოდ,
მზე დაედევნა, როგორც ჩანს, დღესაც.
ჭიამაიამ ფრთა გაშალა ხელისგულებზე,
მინატრებია შეხვედრა მზესთან!
ფანჯრებს მიღმა
ქალი დადის უმისამართოდ.
ფანჯრებს მიღმა
გაშლილ ქოლგაზე დახატული ჩიტები ფრენენ...
და აქაც, როგორც პიკასოს ბაღში,
ფერიდან ფერში აირეკლა მაისის დილა.
გაზაფხულისფერკაბიანი ქალი
ბროწეულის მარცვლის სიწითლით
ბაგეებზე სევდას იქარვებს,
იფონებს ვარდის ყვავილობას,
იელის სურნელს,
შრიშანების ქაოქაოთა ველებს –
გარდასულ სიზმარს.
ჭიამაიამ ფრთა გაშალა, ჩიტები ფრენენ,
ფანჯრებს უკან – გულისპირზე და
ფანჯრებს მიღმა!

რობერტ მესხი

***

გაიელის, აბა, არ გაიელის?
ვფიცავ მოცეკვავე აივნებს.
მარტმა გამოგონა ნუშიდან, -
ნაივი!

Ragazzi,
დაკვდით რაღაცით -
კოცნეთ და კოცნეთ ცოლები,
ეფერეთ,

„ჯრიალული ჭალაქები", ელდარ ჭაბუაია

ეფერეთ სულსწრებით,
რათა დაებერთო მუცლები!
(ვირუსი არ სცდება პლაცენტას),
რისი „სკაიპი" და „იუთუბი"?!
ყველა ახალ წლამდე აჩენდეს
ტყუპ-ტყუპად!

Ragazze,
არ არის მარტივი!
რომელი ქარტია დაიტევს? -
გესიზმროს წითელი ლაგუნა
ასი ცარიელი გონდოლით...
მით უფრო, თუკი ეს ცხადია!
მხოლოდ დანამული თვალებით
უნდა ამოიცნო ლურია,
სანტა ლურია და მარია -
ისიც სევდიანი ქალია!
ნიღბის ფესტივალი იწყება...
შეკერავ და ავუშვებ ფრანს ცისკენ!
ფიცრები,
ფიცრები,
ფიცრები...
ფრანცისკე!..

მაგრამ ფინალი აქვს ამასაც -
ოდნავ მადალია თამასა,
ეგ არის! - ragazzi, კაცებო,
ნუ მკითხავთ ეშმაკის მიმდევარს,
მე რაც მოყლაპია პლაცებო,
კიდე ვარ!..

მანონ ბულისკერია

***

ღმერთო, როგორი სათქმელია -
არაფერს ვნანობ!
და ეს უფლება უსაშველო ცოდვა თუ არის,
ღე, დავიხარო ამ ვანცდის და
ტკივილის გამო,
ოცნებაზე და შენდობაზე მეთქვას უარი!

ღმერთო, შენ იცი, ვერახლეს
ვედარ გაატიობ,
ჩემ ვერმომხრობილ ცხოვრებაში
მაინც გკვრები.
ეს ყოფა გულში ნახვეული ჩემი დარდია,
დღეიდან უფრო გშორდები და
უფრო გკლდები!

და აღსარება რადგან უნდა იყოს გულიდან -
ვერ ვკრძნობ სინანულს! - მიმახვდები,
ღმერთო, რაც არი!
ეხეც ცოდვაში მამითვალე, ახლა, თუ გინდა
და უწუგეშო ქვეყნად ყოფა ცოტაც მაცალე!

განა არ ვიცი?! - ვარ თამამი,
ცოტაც თავხედი...
ამჯერზე ნებით შევცოდე და აღარ ვინანე!
ვიგრძენი, შენ რომ უნებურად ჩემგან
წახვედი
და ისიც - ზოგჯერ აღსარება არის გვიანი...

თეკლა ლაზი

სოხუმ...

დილიდან მარტის ქარი,
მტვერი აუდის ქალაქს,
ზუსუნებს სახლის კარი,
ზანტად უყურებს კატა.

აქეთ ცივია აპრილიც,
შენთანაც მოუთოვია,
ქსავნილებს ტალღებს ვატანდი,
არც ერთს არ მოუყოლია?

...რომ ფირზე ვეღარ გპოულობ,
ნაპირს ვერ შემოვუარე
და მზერაც მკონი გამიხდა
შენი ფსკერივით მღუმარე.

სულ მინდა გკითხო - გახსოვარ?
მე შენს სურათებს ვინახავ,
ბოლოს და ბოლოს რომ მოვალ,
იცოდე არ თქვა: ვინა ხარ?"

ფინჯანს ვცლი, ჭიაზე გავდივარ,
ქუჩა ხმაურით სავსეა,
ისევ ქარი-თქო, მტვერიაო!
აქ ძირითადად ასეა..

ლონდა არქანია

***

გადაიფრენენ ფრინველები, გაიელის წლები,
აწმყო მომავალს გაახსენებს წარსულს
ენებიანს!
გარინდებულნი, სინდისის წინ,
მარტოკა ვრჩებით
და იმპულსები ხან ქრებიან, ხან ინთებიან!
დაბრუნდებიან ფრინველები დაღლილი
ფრთებით,
„კენტი სულები" ალალბედზე
დაწყვილდებიან,
არავის ძალუძს შეახრეოს სიჩარე
წლების,
ჩვენი შიშებიც ხეებივით
გამიშველებიან...

ტექსტის მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იცის ლიტერატურამ, პოსტმოდერნის ეპოქამ ის ორმაგ კოდირებად აქცია. ამიტომაც ნებისმიერი მხატვრული ქმნილების მარტივად აღქმა შეუძლებელია, რასაც ნოხსკილეული კიდევ უფრო ართულებს. თუმცა ამ ციკლის (კომპოზიციურად „წიგნი თინათინისა“,თავისი დასაწყისით, ძირითადი ნაწილითა და ეპილოგით, სწორედ ციკლია) ეკლექტურობას გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს: მასში გაერთიანებული კონვერსიულ-არაკონვერსიული ლექსები, ანფანტემანი, ვერლიბრი თუ ვერმლანი იმ პოლიფონიას, მრავალხმოვანებას ქმნის, რაც ასე აკლია დღეს ქართველ პოეტთა უმრავლესობას! ინსპირაციას დარდი, ცხოვრების ამაოება, სიკვდილის განცდა იწვევს, რასაც პოეტი ლექსის მუსიკალურობით თითქოს უფრო ასატანად, შეფუთულად, ნაკლებად მტკივნეულად გადმოგვცემს. თემურ ეღიავა ტაქტიანი და კულტურული ავტორია.

„ლექსი ყველაფრის გარდა, კიდევ ინტრონაციაა, გამოხატვა იმისა, რაც არ ითარგმნება“ (ბორხესი), ყველა ლექსს თავისი ინტონაცია აქვს, რაც საბოლოოდ ციკლის ინტონაციასაც ქმნის. პოეტი თითქმის ერთნაირად ფლობს განსხვავებულ სალექსო საზომებს, მეტაფორებსაც ახვავებს და რითმულ წყვილებსაც, ზოგჯერ ორიგინალურს, რაც არც ისე ადვილია (რემარკირემა კი, ინათი/თინათინ, ფოტო ს(ე)ნა/ფოთოლცვენა...), მისთვის ამ ეტაპზე საკუთარი თავის ამგვარი გამოხატვა, ლექსის ინტონაციურ-გარეგნულ-ტექნიკური მხარის სრულყოფა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სათქმელი, თუმცა დაკვირვებული მკითხველი იმასაც მიხვდება, რომ ყველა ობერტონი, დარდი, განსაცდელი, სიხარული თუ ტკივილი ამ ფრაზაში რეზიუმირდება: „წასვლა კი ჩემი ალაგია“,საკუთარი თავიდან თუ სამყაროდან წასვლა, გაქცევა მომავალში საკუთარ თავსა და სამყაროსთან დაბრუნების სურვილსაც გააჩენს და სათქმელსაც დაწურავს. დღეს კი, ნამდვილი პოეზიის მოყვარული არაერთ „ხელისხეულ საგოგმანებ“ ინტერნეტსივრცეში ამოიკითხავს!

მარინა ტურავა

„შე გავიცანი მეგობარი, ახალგაზრდა არწივის მსგავსი,
რომელიც თანახმაა ჩემთან ერთად მოკვდეს“
ჰაინრიხ ფონ კლაისტი

თავი პირველი
თინათინის წერილები

1
სული მონყურებას იოკებს.
გარეთ გავიხედე - ხრიოკი.
ველად მობინადრე სიო კი,
მსუბუქი დაქრის,
ანუ ამინდია ტყაროსი.
მე ვცხოვრობ წიგნების თაროზე,
ძვირფასო მარკიზ.

ვიდეოებ ჯოისის „ულისეს“,
გარეშე შქრის.
ვერ ვვედი სცენას და კულისებს,
ძვირფასო მარკიზ.

სცენას და სცენარს.
მალე დაინყება ფოთოლცვენაც.
საფოსტო მარკის
გარეშე გიგზავნით წერილებს,
ძვირფასო მარკიზ.

სული მონყურებას იოკებს
და თქვენს ჩაზღუდნილ იოგებს
გემო აქვს არყის.

ახლა ყველაფერი იოლია -
ქარიც და ვიოლინოც.
ოთახში სარკის
ჩამსხვრეული ხმა არის, მარკიზ!

მოგწერე!
თქვენ აღარ მომწერთ!

2
სტუმრები ყვავილებით
(თეა ცინცაძეს)

ისინი საღამოთი მოდიოდნენ.
სიო მოჭქნდათ ბალებიდან,
ფანჯრის დარაბებს ვალებდით და
მერე, სულ რაღაც ორიოდე
საათით რჩებოდნენ -
არაყს გადაჭკრავდნენ საცხონებლად...
სხვაგან გადავდივარ საცხოვრებლად,
ვალაგებ ჩემოდნებს.

თაროზე წიგნები ალაგია,
ნასვლა კი ჩემი ალაგია,
რაფაზე ყვავილები სხედან.
მე ვხედავ, როგორ იშლებიან,
ეს კი, პირველადი ნიშნებია
ცოროზის. ვხედავ.

ვხედავ რიგებს არყის ხეთა,
დამარეგ, ტკბილო დედავ,
სად მიდიან, საით ნებავ -
რად მტოვებენ მარტოს ?!

ხმელი პური დამისველე,
დამშრალე და დამასვენე,
ორსამ დღეში გამასვენე
იალაღზე მარტის.

ძველ ქოთნებში ამოდიან,
ჩემთან სახლში არ მოდიან,
ნასულები გაღმა.

საღამოთი მოდიოდნენ,
სულ რაღაცა ორიოდე
საათით და ახლა
ყვავილებიც გაბმა...

3
მშვიდობით, ჩემო მეგობარო!
ჩემო ტკბილო და სანუგბარო,
სახეზე ფოთლები ავიფარე -
ფოთლები არყის.
თითქოს ღამეა ვალპურგისა,
მე კი, სრულიად უვარგისი,
ვმთავრდები, არ ღირს...

მშვიდობით, მარკიზ!
დაეიღალე.
იქნებ, ვედდე და დავიხალო...
მოხვიდეთ იქნებ.
ხომ იცით, არ მიყვარს გაზაფხული -
ფანჯრის მინაზე ასახული,
ყვავილებს მიკრეფთ.

არასდროს მყოლია მესაჭენი,
მხოლოდ პატარა დედაჩემი -
სიმღერა მისი.
ცხოვრება ვეღარ ავითვისე,
18-ში მოვკვდი ამა თვისა
და ახლა ისევ.

ისევ ყორნების საუბარი“,
მშვიდობით, ჩემო მეგობარო,
ჩემო ტკბილო და სანუგბარო,
ძვირფასო მარკიზ!
თითქოს ღამეა ვალპურგისა,
მე კი, სრულიად უვარგისი,
ვმთავრდები, არ ღირს...

პირადი ბიბლიოთეკა
ნ.ს-ს
(წერილი მეოთხე)

ოთახი. კელია. სენაკი.
ჩაის სვამთ პიტნით და უშაქროდ,
კითხულობთ რომ ანებს რემარკის,
მთვარიან ღამეებს გუშაგობთ.
სიზმარში, სათიბზე, რემა კი,
იქროლებს, იქროლებს სათიბზე.
(ქინძისთავს გაგიცვლით სათითზე)
სიზმარში, სათიბზე, რემა კი,
იქროლებს, იქროლებს სათიბზე.

კითხულობთ ფსალმუნებს თაგორის,
მერემეს, მოლიერს სააშოდ.
არ ძალუძთ გადასვლა მთა-გორის -
სტუმრები არ მოვლენ საღამოდ.
ჩემთან კი, უწყვეტი წვიმები...
რაფაზე, ქოთნებში როდია.“
სველი მაქვს გამხდარი წივები.
ჩემთან კი, წვიმები მოდიან,
ჩემთან კი, მოდიან წვიმები,
ჩემთან კი, ტაროსი როდია?!

„დაიქმული ფიცი და ინათი,
ზღაპარი, ეპოსი, მითი ხარ.
აუხთე! ინათე, თინათინ!“ -
ამბობთ და სიზმარში მიდიხართ.
კითხულობთ ჯოისის „ულისეს“,
კითხულობთ პიტნით და უშაქროდ.
გუშაგობთ ბნელეთის კულისებს,
უკუნი წკვარამის გუშაგი.

და ასე სრულდება ყოველი,
ნარსულის პირველი რომანი.
როგორც ნაბოკოვის ნოველა,
როგორც ბულგაკოვის რომანი.
მე კი, ძველებურად ეზარმაცობ,
მთელი დღე დამდგარი ყინარზე
და ამ რომანების სანაცვლოდ
გაშლილი მიჭირავს ქილკაე.

ბოლოსწინა

მიდევს სასთუმალთან ფოტო-სცენა.
გიჟივით ვეწევი, მიყოლებით.
სულ მალე აღარ გეყოლები.
სულ მალე
შენწდება ფოთოლცვენა.

მწყემსები ნახირსა გარეკავენ,
დილაადრიანად იალაღზე.
წიგნივით გამმგრება გარეკანი -
„ხელი არ ნაგიცდეს იარაღზე,
დასალევს აღარ გაეკარო!“

ვამბობ სარკეში ანასახი.
როგორ ვოცნებობდი ამას წინათ -
სადმე ტაიგაში დამასახლა.
სახლი კი, იყოს პანაწინა.

თუ ამ შემოდგომას ცირაზიანს,
როგორმე გადავურჩი მელოგინე,
იმ ქუჩის ბოლოს რომ იროსია,
ყვავილებს მივუტან - გეორგინებს.

ამინდიც ნვიმებით გამინყრება.
სახლებს კი ფანჯრები დარაზოდეს,
რაღაც მთავარი მავინყდება -
გამახსენდება არასოდეს.

მიდევს სასთუმალთან ფოტო-სცენა.
ვეწევი, ვეწევი, მიყოლებით.
სულ მალე აღარ გეყოლები.
სულ მალე
შენწდება ფოთოლცვენაც.

ბოლო ძილისპირული

წერილებს მინერდა ხელაკრით,
არავინ იცოდა - ვინ იყო.

„ვეწევი, ვეწევი, ხვეულ კი,
თითქოს ჩვევად მექცა, თინიკო...“

დაწვა ვამჯობინე დახევას,
ნანწავს ქარიშხალი მიუპირებ.
„ვინდა, მოგატეხვ ნახევარს?
ოღონდ, ისტორია მიამბე!“

ცივი დავახვედრე სადილი,
გულგრილი სალამის ინათი.
ბებერ ორთუმელთან საძილე

როცა ვერ ვხვდები...

„ღამე მშვიდობისა, თინათინ...“

-სათითს დაგიტოვებ ქონებად
და თუ მნთოლვარებას გადასყვეტ,
თოვლად გადავიქცევ, ქორებად,
ციხე-სიმაგრეებს გადავნვდეთ...

მორჩეს. დავიღნყოთ წყენები!
გულის უგულობა - წკვარამი.
ველად გავაჭენოთ ცხენები -
სადმე, საიდანაც, არავინ...

თავი მეორე. მირიანისა

„მე დავიბადე აპრილის თვეში
გაშლილი ვიშლის ყვავილებიდან“
ტიციანი

1
მე დავიბადე ზაფხულის თვეში -
თაკარა მზეში.
ეტმასნებოდა სხივებს ატმის რტო.
იასამანი ყვაოდა მთებში -
შემოდიოდა ცხელი აგვისტო.

იყო დღეები, ჯერითი, რბოლა.
სათიბზე სიზმრად თეთრი კვიცები.
დაეეფიცები ამ ზამთრის ბოლოს -
ამ ზამთრის ბოლოს გარდავიცვლები.

შემოვიარე ათასი მხარე -
მაშრიყი, ბღვარი,
ვეძებდი თვალთა გამკრთალ ნაჩრდილევს,
გადავეყარე ღამის აჩრდილებს.
ათასგან სიმრთის ცრემლები ვღვარე.

თითები თლილნი, თითები ბროლის...
ხედავ, წვეთ-წვეთად როგორ ვიცლები
და გეფიცები - ამ ზამთრის ბოლოს,
ამ ზამთრის ბოლოს გარდავიცვლები.

შენს არყოფნაში ღამეა მრუმე,
საკვები - უში.
გული კი, გული წლებმა დაფლითა.
და რა იოლი ყოფილა, თურმე,
სიკვდილი სავსე ზანტი თაფლითა.

შენს არყოფნაში წერილებს ვწერდი
და ყოველივე მქონდა დარღული,
ამ ზამთრის ბოლოს მინა ქართული
გახდება ჩემი სამარე, წერტი.

2
ახლა კი მძინავს
და მე, მძინარეს,
პირველყოფლისა და უწინარესს,
მთის არწივები მესიზმრებიან,
(ჩემს ძველ ლექსებში რაც კი ზმებია,
შენგან ნასნავლი არის ის ზმები).

რად მითხოვილან დები ავაზაკთ,
რად გახიზნულან ზღვერებს იქით ძმები?!
მე კი ვიძინებ,
თაედალმა ვნევნი,
ვით ვოლიერში - შავი ავაზა.

და ასე მძინავს,
ასე მძინარეს,
პირველყოფლისა და უწინარესს,
მთის არწივები მესიზმრებიან...

3
მივალ! შემმოსავს, მომამშვებს თერძი-სარაჟი.
ანუულია საპირწონედ ყველა თამასა.
ასი წელია უდაბნოში ქვიშას ვდარაჯობ -
მეუდაბნოვეს ვინღა ნახავს ჩემისთანასა?!

ასი წელია... და როდესაც დილა ინათის,
გადმოიღერება მზის სხივები, დასაცემს ლელიანს.
ასი წელია ქალაქ-ქალაქ გეძებ, თინათინ!
და ეცემიან ქალაქები, ასი წელია...

მიქრის სათიბზე გულდაჭრილი უცხო მხედარი
და დები სოფლად რა ხანია ამბავს ელიან.
ასი წელია ამ უზომი ტირის კედარი
და ნეკერჩხალი ინვის, ინვის ასი წელია.

იძირებოდნენ შორეული თეთრი აფრები.
შენ კი, ამბობდი - ამ ზაფხულში როგორ გაგიშვა?!
რომ პოეზიით უმონყალოდ სისხლი გაგიშრა,
რომ ყველაფერი უცხო იყო, როცა ვაფრენდით.
იძირებოდნენ შორეული თეთრი აფრები.
შენ კი, ამბობდი - ამ ზაფხულში როგორ გაგიშვა?!

4
რა გამახარებს?!
როგორ შევიახო ნედლი რტოები?!

რაც ხდება - ხდება განმარტოებით;
ამაოდ ყოფნას არაფერი სჯობს,
თეთრო დარაჯო!

მე ავიღებდი ქეიშის ხალიჩებს,
მინას მივცემდი ტყემალს, ალუჩას,
თეთრო დარაჯო.

უმალ ვუხმობდი ნაზრი-ვეზირებს;
სერ რე, თინერ რე - მუთუნ ვეძირე,
თეთრო დარაჯო.
მე შორეული გემებით მოვედ,
შენს სასოებასთან სიმშვიდე ვპოვე
და შენ, რომელიც იფარავ პოეტს,
თეთრო დარაჯო.
ია მიბოძე ლალის საყურედ,
ჩემს კელაპში დაისადგურე,
შენს უდაბნოს ვუმზერ, დავყურებ,
თეთრო დარაჯო.

ასი წელია,
სამყალი არ დაადგა ამათ ნებას.
ასი წელია, ამ ეზოში ხარობს ალუჩა.
ჯერ არსაოდეს არ მინახავს მე გათენება
და ჯერჯერობით ზამთრის ბოლოს პირი არ უჩანს.

დასასრული

როკაპი და ლილეა,
გეორგინა, ლილია.
ქარის მოკანილია -
თან ნაიღებს ქარი.
რაც წვიმაში მიეკია,
ახალგაზრდა მირიან!
მკურნალობენ, მიეკიან.
„ძლიერ გვიან არის“.

სად დაბლობი კოლხეთის,
იქა ოქერ-მოხატები?
როგორც უკან მოხედვის -
გადიქცევი სვეტად.
ისარს გაუწუ მოხვედრილს,
ის არს, უმზერს მოხეტებს.
შემიკედლე, მომმედე!
კანონებით სვეთა.

ერთი მყოფნის, ნაკლებიც.
წყვილ-წყვილად და ნაკრებიც.
მხოლოდ მოცვი საკვებად
და ცრემლები სიმწრის.
დასცვნია ლილიანს...
უკვე ასი წელია,
ამ ეზოში თაალეს
ნეკერჩხალი ინვის.

სუფრა ავშალე, ავაალაგე
სარჩდილობელი გავალაკი.
შენი ქუღფათა კი, ამალა კი,
სოფელს დასცილდა...
ახლა დავსხდეთ და დრონი ვძერწოთ,
უპოვარმა და ერთმა ბერწმა.
ვილაპარაკოთ ამინდებზე -
როგორ აცივდა...

გულ-მკერდ გაშლილი საქინისტედ,
გავა, გაიელის ენკენის თვე.
ღალები თბილი ქვეყნებისკენ
გაფრინდებიან.
ჩვენ კი, ვისხდეთ
და დრონი ვძერწოთ,
უპოვარმა და ერთმა ბერწმა.
ვილაპარაკოთ ღამეებზე -
როგორ დნებიან.

და როს კეთილი დასძლევს ბორატს,
გარდაიცვლები ზამთრის ბოლოს.
გადამასვენე ოდის ოროს.
უხმე საქციელს -
აკაციებთან ნამაქციე.
გადაეხვივე აკაციებს!
ფერფლად მაქციე...

იბეჭდება შემოკლებით

გადაგებული იუბილე -90-

როცა იუბილის ათვლა სოხუმიდან იწყება

90 წლის წინათ ქ. სოხუმში მუსიკის უმშვენიერესი ტაძრის კარები გაიხსნა და ასობით ყმაწვილსა და ქალიშვილს შესაძლებლობა მიეცა მსოფლიო კულტურის საგანძურს ზიარებოდა.

აფხაზეთის მუსიკალური ტექნიკუმის შექმნის განკარგულებას ხელი მოაწერა აფხაზეთის მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნესტორ ლაკობამ. ტექნიკუმის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მისი პირველი დირექტორის კონსტანტინე კოვაჩის როლი. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მუსიკის ჭეშმარიტი ქომაგნი. მათ შორის იყო ოდესელი დიმიტრიადი, ტექნიკუმის პირველი სახლვალო ნაწილის გამგე, შემდეგში დირექტორი, რომელმაც ფასდაუნებელი ღვაწლი გასწია ტექნიკუმის მუსიკალურ-კულტურულ აღმშენებლობაში - სიმფონიური ორკესტრი და ხალხური გუნდი ჩამოაყალიბა და აფხაზური ფოლკლორის საფუძველზე პირველი სიმფონიური ნაწარმოებები შექმნა.

დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების პედაგოგად მრავალი წელი იმუშავა ნიკოლოზ სიროდეძემ, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ „მასწავლებელთა მასწავლებელს“.

30-იან წლებში მუსიკალურ ტექნიკუმში აფხაზურ ენას ასწავლიდა დიმიტრი გულია.

1931 წელს ტექნიკუმთან შეიქმნა აფხაზურ-ქართული გუნდი 30 მომღერლის შემადგენლობით, ხელმძღვანელი პლატონ ფანცულაია (დირიჟორის თანაშემწე მუთა კოვე), ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე. 1933 წელს ტექნიკუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში ტექნიკუმის დირექტორი იყო ივან კორტუა, ხალხური შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე და შემგროვებელი.

1943 წლიდან, თითქმის 24 წლის განმავლობაში, ტექნიკუმს სათავეში ედგა შალვა გორგაძე. მისი სახელი დღესაც ნათელ გონებას, გამოცდილების, კეთილგანწყობის, საქმის ერთგულების სიმბოლოა. ამავე პერიოდში ტექნიკუმს მიენიჭა გამორჩენილი კომპოზიტორის, ქორველი მუსიკის კლასიკოსის დიმიტრი არაყიშვილის სახელი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა აფხაზური ფოლკლორი, მეგობრობდა დიმიტრი გულიასთან და ძალ-ღონეს არ იშურებდა ტექნიკუმის შემოქმედებითი განვითარებისთვის.

50-იანი წლების მეორე ნახევარში ტექნიკუმში იქმნება სიმფონიური ორკესტრი და გუნდი. 60-იანი წლების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუსიკის თეორიის განყოფილების გახსნა (1960 წ.) და საოპერო სტუდიის შექმნა (1967 წ.).

1970-90-იანი წლების დასაწყისი ტექნიკუმის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპს წარმოადგენს. ამ დროს აფხაზეთის მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა რიგები შეიავსო მუსიკოსებით, რომელთაც შესწევდათ უნარი ახალებურად გადაეწყვიტათ ტექნიკუმის შემოქმედებითი თუ პედაგოგიური საკითხები... და აღმშენებლობის ხაზიც აქ გაწყდა...

...აფხაზეთის იძულებით დატოვების შემდეგ 1996 წლიდან ტექნიკუმი, ამიერიდან უკვე სასწავლებლის სახელწოდებით, საქმიანობას აგრძელებს ქალაქ თბილისში. მოუხედავად დიდი სირთულეებისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის არ კულტურის მაშინდელი მინისტრის სვეტლანა ქუცბას ძალისხმევით მოხერხდა დევნილი პედაგოგების თავმოყრა და სასწავლებლის საქმიანობის გაგრძელება. ის თბილისში მე-4 სამუსიკო სკოლამ და მისმა აწ გარდაცვლილმა დირექტორმა, მუსიკოსმა ლერი ხარატმა შეიკედლა. სწორედ ამგვარი თანადგომის შედეგია, რომ დევნილობაში მყოფი სასწავლებელი ღირსეულად აგრძელებს საქმიანობას და ამ ხნის განმავლობაში არაერთი სახელოვანი და ნიჭიერი მუსიკოსი აღზარდა.

ჩვენი ოცნებაა, რომ მომავალი საიუბილეო თარიღი სოხუმის მუსიკალურმა სასწავლებელმა სწორედ სოხუმში აღნიშნოს, იქ, საიდანაც მისი 90-წლიანი იუბილის ათვლა იწყება.

ლაშიდ ტაკიძაა,
სოხუმის დიპლომი არაყიშვილის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი.

P.S.
სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის იუბილის აღნიშვნა გზაჯაჭვზე კონსერვატორიის დიდ საორკესტრო დარბაზში იგეგმებოდა, მაგრამ პანდემიამ იხიც გაურკვეველი გახადოთ გადადო.

„კულტურული მემკვიდრეობა – სათქმელები და გამოწვევები“

საკონცერტო ორგანიზაციის

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით, ტრადიციულად შარშანაც სიერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა. კონფერენცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის განადგურებისა და გაქრობის, იმ ძირძველი ქართული ტერიტორიებიდან ქართველის კვალის წაშლის მცდელობას, ამ ვანდალიზმის საერთაშორისო საზოგადოებრიობამდე მიტანისა და შესაბამისი საინფორმაციო ომის სათანადოდ წარმართვის აუცილებლობას შეეხებოდა.

წლეულსაც სამინისტრომ კონფერენციაზე წარმოდგენილი სიტყვები და შრომები კრებულის სახით გამოსცა. კრებულში შევიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვალმან გამახარიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის რუსლან აბაშიძის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის როლანდ ნოზაძის, პრეზიდენტის - ირაკლი გელენავას, ლია ახალაძისა და რეზაზ ხვისტანის, ნინო დოლაძის და სხვ. გამოსვლები და ნაშრომები.

კრებული „კულტურული მემკვიდრეობა - საფრთხეები და გამოწვევები“ ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა და დარგის სპეციალისტების, სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული მკითხველებისათვისაა განკუთვნილი. გამოცემის რედაქტორები არიან: ირაკლი გელენავა, ნონა ქარაია და გიორგი პატაშური.

კრებულს თან ერთვის ორგანიზაცია „აფხაზეთის მოამბისა“ და აფხაზი ახალგაზრდების თანამშრომლობით შექმნილი დოკუმენტური ფილმი - „ბედიის მონასტრის წარსული და თანამედროვეობა“.

ირმა შიოლაშვილი

ჰ. გ.ს.
...„-დიდი ხნის წინათ, ოთხმოციან წლების ბოლოს, საბჭოეთის მწერალთა დიდ სიმპოზიუმზე მეც მიმიწვიეს, - ავტორი კაპიტალისტური სამყაროდან,- ბიჭვინთაში ვცხოვრობდით და აფხაზეთიდან ბევრი ჭრელი მოგონება წამოვიყოლე, მაგალითად სოხუმის ცენტრში შეკრებილი ხალხის მასა დროშებით ხელში, თანხმოვნებით სავსე მოკლე შეძახილებით ჩამრჩა ხსოვნაში უცნაურად, ვერ გავიაზრე რა ხდებოდა, მაგრამ მერე, როცა თქვენთან ომმა იფეთქა, გამახსენდა ეს კადრები და თანხმოვნები... რა ლამაზი მხარე იყო აფხაზეთი, განსაკუთრებით სანაპირო სოხუმის ცენტრში პალმებზე ჩამოკიდებული მზეებით...“
- მიყვება მშვიდად კიონელი პოეტი ქალი რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო კავკასიაში. მიყვება მშვიდად. გერმანული ძველი სულიდან ალაგებს ამბებს უცეცხლოდ და უემოციოდ... ფესტივალზე ვართ. გიოტინგენის ლიტფესტივალზე. სექტემბერია. მზე ანათებს. ერთად ვსადილობთ ძველი რესტორნის ტერასაზე. გრძელ ტერასაზე. ვუკვეთავთ სალათს ქათმის ხორცით და წითელ ღვინოს, მშრალს და გემრიელს, იტალიურს, მზეებით სავსეს.
ალბათ ამ ღვინის ბრალია რომ მის მოგონებებს მის ძველ საბჭოურ მოგონებებს მზე ახვევია...
მე კი აბა რა ვუპასუხო:
-მართლა? -ვიოცებ,
და ენის წვერზე მადგას რომ დღეს 27 სექტემბერია,
რომ დღეს ჩვენი დამარცხების სექტემბერია,
მაგრამ არ მიყვარს საუბარი დამარცხებებზე
და ვყლაპავ სიტყვას, ენის წვერზე უიღბლოდ მომდგარს.
მაგრამ ეს რიცხვი 27 ჩამდის ფილტვებში,
მიდნება ცხელი ტყვიასავით და დაუნდობლად აღვიძებს ჩემში 27 წლის წინანდელ ხვეულს,
რომელიც უნივერსიტეტის ბაღში,
პეტრე მელიქიშვილის ძეგლთან აგვივარდა
მე და ჩემს კურსელებს,
როცა გავიგეთ რომ სოხუმი დაეცა!
ჩვენ გვეცვა იმ დღეს დახეული ჯინსები
(მეტი მაინც არაფერი იშოვებოდა იმ დროს),
ვიყავით შემოდგომისფრად ლამაზები და სევდიანები და
ვაზივით ვეხვეოდით ერთმანეთს,
და ვაზივით ვტიროდით
რომ ვერ გადავარჩინეთ აფხაზეთი,
რომ აფხაზეთი
ახალგაზრდულად გულუბრყვილო ხელეში ჩაგვაკვდა !

მაისი, 2020.

წარმატების გზა, რომელიც სოხუმიდან იწყება

მხატვარი ეკატერინე ქარჩავა 1987 წელს სოხუმში დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქთან მხოლოდ ბავშვობის რამდენიმე წელი აკავშირებს, ყველაფერი ცხადად ახსოვს - მეგობრები, ბაღის ზეიმზე გამოსვლები, ამ ზეიმისთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ნასწავლი როლები და ლექსები. დღის ბოლოს ბაღთან დედა ელოდა ხოლმე, რომ სანაპიროზე ერთად გაესეირნათ. შემდეგ იყო პალმების სიმაღლეზე ახტომა, ყველასთვის საყვარელ სანაყინეში შესვლა, გრიფონების ქანდაკებებიანი შადრევნების გავლით მშვიდობის ქუჩაზე მდგარ ცნობილ, საათიან შენობასთან შეჩერება, რადგან ეგონა, რომ დღის განრიგს სწორედ ეს საათი იბარებდა. მას შემდეგ ამ საათმა კიდევ ბევრი, ლაღი წლებისგან განსხვავებული დროის განრიგი ჩაიბარა, მხოლოდ ამ ადამიანების გარეშე.

მაია შონია

ბაღის წლებიდან კარგად ახსოვს აფხაზი მეგობარი გოგონა, რომელსაც მისი თოჯინა მოსწონდა. მაშინ გადაწყვიტა, რომ ორივენი ყოფილიყვნენ ამ ხათაბალში გოგოს დედოკები. აფხაზი მეგობრები სკოლაში უკვე აღარ ჰყავდა. 2003 წელს თბილისის 97-ე საჯარო სკოლა დაამთავრა და მიუხედავად სხვა უამრავი ინტერესისა, ცხოვრების მიზნად და მთავარ საქმედ მხატვრობა აირჩია.

სკოლის პარალელურად, თბილისის ნიჭიერთა ათწლედშიც სწავლობდა, შემდეგ კი - კულტურის კოლეჯში ტანსაცმლის დიზაინის სპეციალობას დეკუფდა. ერთმანეთის მიყოლებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის გრაფიკის მიმართულების საბაკალავრო პროგრამა და მაგისტრატურის სარეკლამო დიზაინის ფაკულტეტი, პლაკატის სახელოსნო. არის საქართველოსა და აფხაზეთის მხატვართა კავშირების წევრი.

„ხატვა მუდმივი შრომის პროცესია. ხელოვნების მსახურება ახალი თავგადასავლებისა და იღეების მოზღვავების, ემოციებისა და გრძნობების სამყაროში ყოფნაა. გრაფიკას ყოველდღე პრეტენზიული დამთვალიერებელი ჰყავს. მისი განვითარება წიგნის ბეჭდვის დაწყებასთან არის დაკავშირებული. ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, ფართო გამოყენება აქვს. მისი შესაძლებლობები მრავალფეროვანია: წიგნის ილუსტრაციები, ჟურნალ-გაზეთების გაფორმება, კარიკატურები, პლაკატები, შრიფტები, დიზაური გრავიურა და ლითოგრაფია. სწორედ ყოველივე ამით მოხიბლულმა გადავწყვიტე შემესწავლა ეს დარგი. ვცდილობ, ჩემი ნამუშევრები უფრო იდეურად იყოს დატვირთული, იგრძნობოდეს ემოცია, ექსპრესია, დინამიკა, უფრო თხრობითი იყოს. ეს არ ნიშნავს, რომ სხვა მიმართულებითაც არ ვმუშაობ, მაგრამ ეს სტილი უფრო რემეულია. მაქვს ფერწერული ნამუშევრებიც, როგორც ფერადი ასევე გრაფიკული. არასდროს ვყლიდები განწყობას. დროის კარგად მენახება და თუ, ვთქვათ, სასურველი ნამუშევარი არ გამოდის, მაინც არ ვეშვები და ჩანახატებს ვაკეთებ“ - ამბობს ეკატერინე ქარჩავა.

ლითოგრაფია, ოფორტი, ლინოგრავიურა - ამ ტექნიკებით შექმნილი გრაფიკული ნამუშევრები ბევრჯერ გამხდარა მხატვრის წარმატების საწინდარი. მუყაოზე, ხახლის პირობებში, ნახშირით და ტუშითაც მუშაობს. ფერწერას ტილოზე აკრილით და შერეული ტექნიკით ქმნის. ხოლო მისი შემოქმედება რომ მრავალფეროვნებით გამოირჩევა და დროის კარგვა არ უყვარს, ამაზე განვლილი გზაც მეტყველებს.

შემოქმედებითი გზის დასაწყისი მოდას და დიზაინს უკავშირდება. პირველი პერსონალური მოდების ჩვენება 2003 წელს „Fashion Essenblea“-ზე გამართა, სადაც ბავშვთა ხალამოს კაბები წარმოადგინა. 2004 წელს გაიმარჯვა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე თემით „ანტიკური საბერძნეთის კულტურა და იმჟამინდელი მოდა, კერძოდ ქალის კოსტიუმი“. ამავე წელს ჰქონდა მოდების პერსონალური ჩვენება „შერატონ შერატონ პალასში“. საქველმოქმედო ღონისძიებებსაც არ აკლდებოდა.

შემდეგ წლებში ეკატერინე ქარჩავა ძირითადად გრაფიკაზე მუშაობს და საერთაშორისო პროექტებში ერთვება. მათ შორისაა, 2010 წელს ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული პლაკატების გამოფენა სკობიეში ეკოლოგიის თემაზე - „წყლის დაბინძურება და გამონაბოლქვი“. ამავე წელს მონაწილეობდა ბრიტანეთის საბჭოსა და სამხატვრო აკადემიის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ პროექტში „ხედვა ფერებით“. პროექტის ფარგლებში გამოცემულ კატალოგში მისი ნამუშევარიც შევიდა.

ამ პერიოდში მან თეატრის მხატვრობაშიც სცადა ბედი და სოხუმის მოზარდმაყურებელთა თეატრ „თეთრი ტალღის“ სპექტაკლის, ლონე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებლისთვის“ კოსტიუმები შექმნა.

დროთა განმავლობაში ეკატერინე თავისი შემოქმედებით სულ უფრო მეყოფად ამბობს სათქმელს და არაერთ აქტუალურ თემას ეხება. 2011 წელს ის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პოსტერების გამოფენაში, „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი“, მონაწილეობს. ამავე წელს ლონდონში გამართულ პოსტერების გამოფენაში ერთვება წარმატებით. ეკატერინე ქარჩავას ნამუშევრები გამოიფინა მსოფლიო ჯანდაცვის დღესთან დაკავშირებით ქალაქ ჟენევაში გამართულ პოსტერების გამოფენაზეც „მოწვეა მავნებელია“. თბილისის მერიის პროექტში „დამზადებულია საქართველოში“, წარსდგა როგორც ამერიკული საწარმო „ინტელსერვისის“ სარეკლამო ბანერების მხატვარი.

ამასობაში მხატვრის შემოქმედებაში კიდევ ერთი მიმართულება გაჩნდა: საბავშვო ჟურნალ „დილას“ მხატვარ-ილუსტრატორობა. ამ საბჭოსა და სამხატვრო აკადემიის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ პროექტში „ხედვა ფერებით“. პროექტის ფარგლებში გამოცემულ კატალოგში მისი ნამუშევარიც შევიდა.



„გაკვეთილებმა საზღვრებს გარეშე“ აფხაზეთშიც ჩააღწია

მაია შონია

ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ 2020 წლის ოქტომბერში თბილისში ამსტერდამში მცხოვრებმა ქართველმა თიკა სვანიძე ვენკომ დააარსა. ის ასევე არის „ნდერლანდების ქართული კულტურის ცენტრის“ დამფუძნებელი. ფონდის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიზანია საქართველოს პოპულარიზაცია, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციების გაერთიანება, ურთიერთობების დამყარება ევროპული პოლიტიკური ინსტიტუციების წარმომადგენლებთან, კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატიის როლის გაზრდა და დიასპორების როლის გააქტიურება ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში. ფონდმა რამდენიმე საერთაშორისო პროექტი უკვე განახორციელა. ერთ-ერთი მათგანია საერთაშორისო დიასპორული ონლაინსკოლა „გაკვეთილები საზღვრებს გარეშე“. პროექტში ჩართულნი იყვნენ ემიგრანტი მოსწავლეები მსოფლიოს 17 ქვეყნიდან და ასევე საქართველოში მცხოვრები მათი თანატოლები. ისინი ორ ჯგუფად, 8-დან 12 წლამდე და 12-დან 18 წლამდე მოსწავლეებად იყვნენ დაყოფილი. პროექტმა აფხაზეთის ეგრეთ წოდებული საზღვარიც გაარღვია და ონლაინგაკვეთილებში გალის რაიონის სოფელ ოტობაიის სკოლის მოსწავლეებიც ჩართო. ოტობაიის ფანჯრებჩამსხვრეული სკოლის დანახვა თანატოლი ემიგრანტი ბავშვებისთვის იმდენად ემოციური აღმოჩნდა, რომ მათ ამ თემას ესეებიც კი მიუძღვნეს. „ონლაინგაკვეთილები საზღვრებს გარეშე“ მოისმინეს ასევე აფხაზეთიდან დევნილმა და ამჟამად თბილისში მცხოვრებმა თეკლა წურწუმიამ და აფხაზეთიდან დევნილმა და ამჟამად რომში მცხოვრებმა სალომე ზუხბაიამ.

ონლაინსკოლის სწავლებებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და მისი წარმომადგენელი, აფხაზეთიდან დევნილი კალიგრაფი ლეილა ბაღბაია კოლეგასთან დავით მაისურაძესთან ერთად. ლეილა ბაღბაიას გაკვეთილები და ქართული კალიგრაფიის ნიმუშების გაცნობა ემიგრანტი მოსწავლეებისთვის საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა. „მოზარდებს მათ მიერ შექმნილი კალიგრაფიის ნიმუშების გამოფენის მოწყობის სურვილიც კი გაუჩნდათო“, - აღნიშნა ლეილამ. ონლაინგაკვეთილების ფარგლებში აღინიშნა 23 მაისი - სვიმონ კანანელის ხსენების დღე და „აფხაზეთობა“.

ამ მოვლენაზე საუბრისას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ნესტან ბაგაურმა თქვა:

„მაშინ, როდესაც მსოფლიო პანდემიას ებრძოდა და ვირუსმა ყველა შინ გამოგვკეტა, შეიქმნა კალიგრაფიის ონლაინგაკვეთილების კურსი ემიგრანტებისთვის. ჩვენი შეთავაზება დომეხვეა ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ მიერ დაგეგმილ პროექტს „გაკვეთილები საზღვრებს გარეშე“. ასე იქცა ამ პროექტის ნაწილად კალიგრაფიის ონლაინგაკვეთილები. ჩვენი მხრივ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვცდილობდით, პედაგოგებისთვის უხვად მოგვეწოდებინა უძველესი და გამორჩეული კალიგრაფიული ნიმუშები, მათი შექმნისა და გადარჩენის ამბები. ახალგაზრდები კანადიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, პოლანდიიდან, საქართველოდან თანაბარი გულმოდგინებით ჩაერთვნენ ფრაზებს აფხაზეთზე. ამ მხრივ გამორჩეული აღმოჩნდა ხიმინ კანანელის ხსენების დღესთან, აფხაზეთობასთან დაკავშირებული კალიგრაფიული საოცრება: სახოგადოების ფორმით, მასალით, შინაარსითა თუ კალიგრაფიით გამორჩეული ნაწერები წარუდგინეთ ონლაინფოტოგამოფენის სახით. „ცოტაც მოითმინე, აფხაზეთო, ვიზრდებით პატარა ვაჟკაცები!“ - დღე არ გავა, არ დამდგეს თვალწინ და ყურში არ ჩამესმას ბერლინში მცხოვრები 12 წლის აღქსი ტარიელაშვილის საოცრად მოქარგული ეს შემოძახება, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში გაისმა. ჩვენს დიდ ოჯახში - „გაკვეთილები საზღვრებს გარეშე“ - აფხაზეთის თემატიკა რომ ასეთი სიმძლავრითაა წარმოდგენილი, ამაში ორი ქალბატონია „დამნაშავე“: თავად ფონდის დამფუძნებელი, თიკა სვანიძე ვენკო და კალიგრაფი ლეილა ბაღბაია“.

კალიგრაფიის ონლაინგაკვეთილების გარდა, პროექტის ფარგლებში ტარდებოდა გასახარობო-შემეცნებითი ონლაინგაკვეთილები, რომლებსაც უძღვებოდა ფონდის ონლაინსწავლების ჯედაგოგი ია ჯღლარკავა, ონლაინგაკვეთილებში მოწვეულნი იყვნენ ცნობილი სახეები - ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კვანტიძე, ტელეწამყვანი და თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე, ფოტოგრაფი გოგა ჩანდირი, ჰოლანდიის და ბელგიის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დოსითეოსი, ემიგრაციაში მყოფი მწერალი. პროექტის ფარგლებში ონლაინწაროვა ჰქონდა მომღერალ ნაოია თოდუას, რომელიც ფონდის მშვიდობის ელჩია. პროექტში ჩართულნი იყვნენ ასევე სხვადასხვა ქვეყანაში არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც აფხაზური ცეკვები და სიმღერები შეასრულეს. ქართული და აფხაზური სამოსი წარმოადგინა კომპანია „ფოფანაკმა“.

პროექტს „ონლაინგაკვეთილები საზღვრებს გარეშე“ წინ უძღოდა ფონდ „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ მიერ ორგანიზებული დონისძიება „დიასპორები ერთიანი საქართველოსთვის - სახალხო დიპლომატიის როლი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში“, რომლის იდეის ავტორი და ფინანსური მხარდამჭერიც თიკა სვანიძე ვენკო იყო. პროექტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის წევრები ბექა ოდიშარია და გივი ჭოჭინაძე, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადლა გამახარია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, იუსტიციისა და საშოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრი დავით ფიცალია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე და სხვ. ბრიუსელში, პაპაგაია და ამსტერდამში ევროპული პოლიტიკური ინსტიტუციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. გაიმართა სხვადასხვა ხახის კულტურულ-საგანმანათლებლო დონისძიებები, გამოფენები, რომელთა შორის იყო გამოფენა „ხელნაწერები საუბრობენ დაფარულზე“, სადაც წარმოდგენილი იყო ასლები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციიდან. მათ შორის - აფხაზეთში 1300 წელს შესრულებული უნიკალური „მოქვის სახარება“. ასევე გაიმართა ქართული კალიგრაფიის ნიმუშებისა და აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევრების გამოფენები, გალა-კონცერტი და თეატრალური წარმოდგენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართული დიასპორების წარმომადგენლების მონაწილეობით.

პროექტი საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის პარტნიორობით განხორციელდა. პარტნიორება იყენენ ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, საქართველოს საპატრიარქოს ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. პროექტის მხარდამჭერი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

2 აგვისტოს კი ქუთაისში ფონდ „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით პროექტის -„ქუთაისიდან ლექსი კედელზე“ ფარგლებში ლექსის კედელზე ცერემონია გაიმართა. საქართველოს პატრიარქისადმი ნათია ჯიმშელეიშვილის მიერ მიძღვნილი ლექსი კედელზე გამოიყვანა აფხაზეთის სულიერების ცენტრის მოავარმა სპეციალისტმა, კალიგრაფმა ლეილა ბაღბაიამ. ცერემონიას ვირტუალურად დაესწრნენ ფონდ „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ დამფუძნებელი თიკა სვანიძე ვენკო და ყველაზე ახალგაზრდა ქვეყმოქმედი ემიგრანტი გიორგი ვენკო, რომელმაც ეს სარკვილი მოუძღვნა ქალაქ ქუთაისს და საქართველოს პატრიარქს. პროექტის იდეა ჟურნალისტ შალვა კამლაძეს ეკუთვნის.

„ჩვენი ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება აფხაზეთისა და სამაჩაბალოს კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერებაა. ამ მიმართულებით მომავალშიც არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელება გეგმეს დაგეგმილი. ვიპარტნიორებ დიასპორების ონლაინკონფერენციის ჩატარებას. ვთანამშრომლობთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ვეცდებით ერთობლივი პროექტების განხორციელებას“, - აცხადებს ფონდ „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ ხელმძღვანელი თიკა სვანიძე ვენკო.

ესეების კონკურსი

ევროპული ღირებულებების უკეთ შესაცნობად

ნინო შამუგია

ევროპის დღეების ფარგლებში, საქართველოში ავსტრიის საელჩომ და ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიამ უფროსკლასელებისთვის ესეების კონკურსი – „ბერტა ფონ ზუტნერი – ევროპა საქართველოში" გამოაცხადა. კონკურსი ევროპული ღირებულებების უკეთ შემეცნებასა და ქართულ-ავსტრიული ურთიერთობების განმტკიცებას ემსახურებოდა და მასში 150-მდე სკოლის მოსწავლე მონაწილეობდა.

კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ გამოვლინდა ექვსი გამარჯვებული. სასიხარულოა, რომ პირველ და მესამე ადგილზე გალის რაიონის სკოლების ორი XI კლასელი მოსწავლე გავიდა. მათ საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ოკუპაცია და თავისუფლების შეზღუდვის სიმწარე და ენგურს გამოღმა მცხოვრებ თანატოლებზე უკეთ იციან მშვიდობის ფასი. შესაბამისი განწყობის გულწრფელად გამოხატვა ყოველთვის ემოციური და შთამბეჭდავია. ასე მოხდა ახლაც.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება ავსტრიის ელჩის რეზიდენციაში გაიმართა. ვინაიდან ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო ენგურის ხიდი ჩაკეტილია, გალის რაიონის სკოლების გამარჯვებულებმა ხიდზე გადმოსვლა ვერ შეძლეს და დაჯილდოების ცერემონიას დისტანციურად დაესწრნენ. ცერემონიაზე იმყოფებოდა გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნონა შონია, რომელსაც გამარჯვებული მოსწავლეების პრემია და სიგელები გადაეცა.

გამარჯვებულებს კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით „ბერტა ფონ ზუტნერის" პრემია, სიგელები და ფულადი ჯილდო (I ადგილი - 200 ევრო, III ადგილი - 100 ევრო) გადაეცათ.

გთავაზობთ პირველ ადგილზე გასული გალელი მოსწავლის ესეს (გასაგები მიზეზების გამო მის სახელსა და გვარს არ ვასაჯაროებთ).

ბერტა ფონ ზუტნერი - ევროპა საქართველოში

ბანალურია კითხვა - საქართველო ევროპაა თუ აზია? ვიღაცამ თქვა, რომ ხიდია ევროპა-აზიას შორის და ეს ფრაზა აიტაცეს. ხიდი კარგია, მუდამ აკავშირებს და გაღმა ნაპირას არასოდეს დარჩები მარტო, უიმედოდ. კითხვა სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას - ქართველის ცნობიერებაში ევროპა მეტია თუ აზია?! ჩვენ ტრადიციების მიმდევარი ერი ვართ, მაგრამ თავისუფლების მოყვარე. ევროპული ღირებულებები მუდამ ფასობდა ქვეყანაში. დასტურად, ბოლო ოცდაათ წელიწადში ორჯერ ავირჩიეთ ევროპული გზა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ ევროპა. ზუტნერები საქართველოში ეწეოდნენ. ბერტა ფონ ზუტნერმა, მის წინააღმდეგ ბრძოლა მოზრდილობის ასაკში ცხოვრების მიზანი ხდება. ასე მოხდა ბერტას შემთხვევაშიც: პაციფისტურ გარემოში გაზრდილს მძაფრი პროტესტი გაუჩნდა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა მიზნად. ზუტნერების ცხოვრების შესახებ ცნობები დაინტერესებული მკითხველისთვის ხელმისაწვდომია, მრავალი წერილობითი თუ ფოტო-მასალა მოიპოვება, რომელიც საქართველოში მათი ცხოვრების ეტაპს ასახავს. დაობლებული ბერტა ადრეულ ოჯახში, მილიტარისტული ტრადიციებით. როდესაც ბერტა 30 წლის იყო, ოჯახი გაკოტრდა. იგი იძულებული გახდა ზუტნერების ცნობილ მამულში აღმზრდელად დაეწყო მუშაობა. მალევე შეუყვარდა არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი. ისინი დაქორწინდნენ არტურის მშობლების თანხმობის გარეშე და იძულებული გახდნენ ქვეყნიდან წასულიყვნენ.

ეკატერინე ჭავჭავაძემ ბერტა პარიზში გაიცნო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში აღზრდილ ეკატერინეს არ გაუჭირდებოდა ევროპელ ხტუმართა მასპინძლობა, საერთო იდეის ერთგულება ორივეს აკავშირებდა. ბერტა ფონ ზუტნერი ეკატერინეს ერთგული მეგობარი იყო. 1889 წელს გამოსცა წიგნი „ძირს იარაღი", რომელიც მოგვითხრობს ახალგაზრდა ქალის ცხოვრებაზე XIX საუკუნის 60-იანი წლების ფონზე. რომანი შეიცავს მწვავე პროტესტს ომის წინააღმდეგ. ნაწარმოების პოპულარობა მოუტანა არა მხოლოდ ავსტრიის, არამედ მთელ ომის საწინააღმდეგო მოძრაობას. მან 1892 წელს ალფრედ ფრიდთან ერთად დააარსა პაციფისტური ჟურნალი „ძირს იარაღი". ბერტას გერმანულ ნაციონალურ პრესაში „პაციფიზმის ფიურერს", ხოლო მილიტარისტულ წრეებში „მოღალატეს" უწოდებდნენ. საგულისხმოა, რომ იგი გარდაიცვალა I მსოფლიო ომის დაწყებამდე 5 კვირით ადრე.

ბერტასა და საქართველოს ძლიერი, მიზანდასახული ადამიანი იყო. 1889 წელს გამოსცა წიგნი „ძირს იარაღი", რომელიც მოგვითხრობს ახალგაზრდა ქალის ცხოვრებაზე XIX საუკუნის 60-იანი წლების ფონზე. რომანი შეიცავს მწვავე პროტესტს ომის წინააღმდეგ. ნაწარმოების პოპულარობა მოუტანა არა მხოლოდ ავსტრიის, არამედ მთელ ომის საწინააღმდეგო მოძრაობას. მან 1892 წელს ალფრედ ფრიდთან ერთად დააარსა პაციფისტური ჟურნალი „ძირს იარაღი". ბერტას გერმანულ ნაციონალურ პრესაში „პაციფიზმის ფიურერს", ხოლო მილიტარისტულ წრეებში „მოღალატეს" უწოდებდნენ. საგულისხმოა, რომ იგი გარდაიცვალა I მსოფლიო ომის დაწყებამდე 5 კვირით ადრე.

ბერტასა და საქართველოს ბედს ერთმანეთს ვამსგავსებ: ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია იბრძვის მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში უწყვეტად ჩანს ევროპის კვალი. შეიძლება გავიხსენოთ კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობა, ქართველი მეომრების ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა... ეს არის ისტორიული ფაქტები, რომელიც ასახავს მჭიდრო ქართულ-ევროპულ ურთიერთობებს. თვით სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მოგზაურობა ევროპაში იყო ნაბიჯი ევროპისაკენ, რათა ქვეყანას მიეღო მორალური მხარდაჭერა. იყო პერიოდი, როცა საქართველოს მიზანმიმართულად ჩაეკეტა გზა ევროპისაკენ და იზოლაციაში მოექცა, მაგრამ ჩვენ შევძელით შეგვენარჩუნებინა კულტურული კავშირები. ამ გზაზე სვლა დღესაც გრძელდება.

საქართველოში გამართულ „ევროპის დღეების" სალამოზე ასეთი რამ ითქვა: „მეტი ევროპა საქართველოში და მეტი საქართველო ევროპაში". არ არის ურიგო სიტყვები. მსგავს ურთიერთობებს ბერტა ფონ ზუტნერისნაირი ადამიანები ქმნიან. მადლობა მას, რომ იყო ჩვენი თანამოაზრე და მეგობარი.

ი.შ.

მუსიკალური კონკურსის გამარჯვებულონი

ეკატერინე გადილია

საქართველოს ახალგაზრდულმა აკადემიამ 16 წლამდე მოზარდებისათვის ინტერნეტსივრცეში საბავშვო მუსიკალური კონკურსი გამოაცხადა. მონაწილეობის მსურველებს საკუთარი ნამღერის ვიდეო (სოლო ან მეგობრებთან ერთად ნამღერი -დუეტი, ტრიო ან კვარტეტი) უნდა გაეგზავნათ ან „სმულეს" (smule.com) აპლიკაციის საშუალებით მათთვის სასურველი სიმღერა უნდა ემღერათ, რაც შემოწმების შემდეგ სოციალურ ქსელში გამოქვეყნდებოდა.

კონკურსში მონაწილეობა აფხაზეთიდან დევნილი 8 მოზარდი, რომელთაგან:

პირველი ადგილის მფლობელი და ხალხის რჩეული გახდა სალომე ზუხბაია. მან „სმულეს" ერთწლიანი VIP ანგარიში მოიპოვა. საქართველოს ახალგაზრდულმა აკადემიამ გოგონა ასევე უფასო მასტერკლასებით დააჯილდოვა. სალომე ზუხბაია 3 წლიდან დედასთან ერთად იტალიაში ცხოვრობს. ის ამჟამად მილანში, ლაზკალას აკადემიის გუნდის პირველი ქართველი მოზარდი მომღერალია - 50 ბავშვიდან 13 საუკეთესოთა შორის აღმოჩნდა; მეორე ადგილზე გავიდა ბასტი-ბუბუს" აღსაზრდელი თეკლა წურწუმია, მესამეზე კი ლიზი ბენდელიანი. ორივე მათგანიც „სმულეს" ერთწლიანი VIP ანგარიშით დაჯილდოვდა.

გარდა ამისა, ნათია ტუკვაძე, სიმღერით „ფრთამოტეხილი მაფშალია", გახდა „ჯორჯიან ჯენისა" და „სმულე ჯორჯია ჯუნიორის" (Smule Georgia Junior) რჩეული, მარიამ ჯოჯუაშვილი კი „ლამორ კრეს" „L'amour créé" რჩეული.

კონკურსში მონაწილეობდნენ ასევე ზუკა ქეცბაია და თეკლა წურწუმიას ძმები - ალექსანდრე და ერეკლე, რომელთაც კონკურსის დიპლომები გადაეცათ.

გიორგი კორსანტია: მჯერა, გათენდება დღე, როცა კალათბურთს აფხაზეთში ვითამაშებ

მაია შონია

კალათბურთელი, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების წევრი გიორგი კორსანტია აფხაზეთიდანაა, თუმცა ის იმ თაობას მიეკუთვნება, რომელსაც მშობლიური კუთხის შესახებ მხოლოდ მშობლებისა და ნათესავების მონაყოლიდან სმენია. მისი სახლი გალერიაშის რაიონის სოფელ ზემო ფშაფშია. გიორგის მშობლებმაც ფეხით გადმოლახეს საკენჭუტერის უღელტეხილი და სამშვიდობოს ასე გამოაღწიეს.

გიორგი ფოთში დაიბადა. სკოლის წლები და სპორტული წარმატებისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები ამ ქალაქს უკავშირდება. ახლა ის საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი პერსპექტიული ახალგაზრდაა. ქვეყნის პირველ გუნდის წევრი წლეულს გახდა. მანამდე თსუ-ს გუნდის ღირსებას იცავდა. მის შემადგენლობაში ყოფნისას ვიდე დედიანის მემორიალის გამარჯვებული გახდა და ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდა. ნლეულს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტიც.

ნაკრებში წარმატებით მოასპარეზე 21 წლის კალათბურთელი ევროპულმა გუნდებმაც შეამჩნიეს. „წლევანდელმა კარგად ჩაგარებულმა სეზონმა და ეროვნული ნაკრების რიგებში გამოჩენამ ევროპის გუნდების დაინტერესება განაპირობა. მადლობა მინდა გადავუხადო გუნდ თსუ-ს და საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, რომელებსაც დიდი წვლილი მოუძღვით ჩემს კარიერულ წინსვლაში",- ამბობს ახალგაზრდა სპორტსმენი. მან არაერთი შემოთავაზებიდან საფრანგეთის კლუბი „ანენი" შეარჩია და უახლოესი ცხრა თვის განმავლობაში ამ გუნდის ღირსებას დაიცავს. გიორგი კორსანტია თავად მოგვიყვება, თუ რა გზა გამოიარა აქამდე.

- სპორტი ბავშვობიდან მიტაცებდა, აქტიური ბავშვი ვიყავი. ხუთი წელი ფეხბურთს ვთამაშობდი. კალათბურთის თამაში 13 წლიდან დავიწყე. ოთხი წელი ქალაქ ფოთის გუნდში ვითამაშე, შემდეგ გადმოვედი თბილისში და კარიერა გავაგრძელე საკალათბურთო კლუბ „ჰოუდაში", სადაც ასევე ოთხი წელი დავრჩი. 2019-2020 წლები საკალათბურთო გუნდ თსუ-ში გავატარე. ამჟამად კონტრაქტი გავაფორმე საფრანგეთის კლუბ „ანენთან", სადაც 2020-2021 წლებს გავატარებ. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მის ასაკობრივ გუნდებში ვთამაშობდი, ჯერ 18 წლამდე ნაკრებში, შემდეგ 20 წლამდელებში. ახლა უკვე ძირითადი ნაკრების წევრი ვარ.

- რა გამოიცდილება მიიღე ამ გუნდებში და ნაკრებში თამაშისგან?

- ვცდილობ, თითოეული ვარჯიშიდან თუ თამაშიდან მივიღო გამოცდილება, რაც პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დამეხმარება. ჩემს განვითარებაში დიდი წვლილი მოუძღვით, როგორც კლუბის, ისე ნაკრების მწვრთნელებს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სკალათბურთო კლუბ „ჰოუდის" მწვრთნელ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს. ის ნაკრებშიც იყო ჩემი მწვრთნელი და ძალიან დამეხმარა თავისი გამოცდილების გაზიარებით. მადლობა, რა თქმა უნდა, სხვა მწვრთნელებსაც. რომლებიც თამაშში დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში მეხმარებოდნენ. ნაკრებმა ძლიერი მოთამაშეების წინააღმდეგ გამოსვლის უდიდესი გამოცდილება მომცა. ასევე უდიდესი პატივი იყო, ეროვნულ ნაკრებში მეთამაში ისეთი მოთამაშეების გვერდით, როგორებიც არიან ცინცაძე, შერმადინი, ბერიშვილი, სანაძე, ბურულაძე და სხვ.

- როგორ ფიქრობ, როგორც სპორტსმენს, რა თვისებები გაქვს ისეთი, რამაც წარმატება მოგიტანა?

- ძალიან მიყვარს ზოგადად სპორტი და განსაკუთრებით კალათბურთი. ამ სიყვარულმა განაპირობა ვარჯიშის სიყვარულიც, რომელიც არასდროს დამწყარება. მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მეგობრული ვარ და ვცდილობ ნაკუბაც სასიკეთოდ გამოვიყენო. როცა რამე არ გამომდის, ვიდრე მიზანს არ მივაღწევ, არ ვეშვები. ალბათ, ყველა სპორტსმენი ასეა.

- პევრი შემოთავაზებიდან საფრანგეთი რატომ აირჩიე?

- უბრალოდ, კარგი პირობები შემომთავაზეს და იმიტომ.

- როგორია შენი სამომავლო გეგმები?

- მიმაჩნია, რომ საფრანგეთის გუნდში თამაში დიდ გამოცდილებას შემძენს. რადგან ეს ჩემთვის საზღვარგარეთ თამაშის პირველი წელია, სეზონი განსაკუთრებით კარგად მინდა ჩავაბარო. დანარჩენს მომავალი მიჩვენებს.

- იმ თაობას განეკუთვნები, რომელიც აფხაზეთიდანაა, მაგრამ იქ არ დაბადებულა. რა დამოკიდებულება გაქვს იქაურობისადმი?

- აფხაზეთი ძალიან მტკივნეული თემაა როგორც ჩემთვის, ისე მთელი საქართველოსთვის. მე იქ არ დავბადებულვარ და ის უმძიმესი გზა არ გამომელია, რაც ჩემმა მშობლებმა გამოიარეს, მაგრამ მათი მონაყოლით და ტელევიზიით ნანახი კადრებით ვიცი, რა საშინელებაც მოხდა, ვიცი, რა მწარე იყო ყველაფრის დატოვება და ცარიელ-ტარიელი, ბედს ანებპრა გაურკვევლობაში აღმოჩენა.

მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, დედამ გალში რამდენჯერმე წამიყვანა. იქ სოფელი გვაქვს. უღამაზეს ადგილია, რომლის მსგავსიც სხვაგან არ მინახავს.

ერთი სული მაქვს, ჩავიდე და მონაყოლი ჩემი თვალით ვნახო. იმედს არ ვკარგავ და მჯერა, რომ დავბრუნდებით. მე როგორც კალათბურთელი, საქართველოს ნარმოვადგენ და ყველგან თამამად ვიტყვი, რომ აფხაზეთი საქართველოა და რუსეთი ოკუპანტია.

ყველას ვალია, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე იზრუნოს.

- გაქვს თუ არა იქ დაბრუნების სურვილი?

- გადმოცემით ვიცი ჩემი სახლის შესახებ, რომელიც გულრიფშის რაიონის სოფელ ზემო ფშაფშია.

მჯერა, გათენდება დღე, როცა კალათბურთს აფხაზეთში ვითამაშებ.

ქალთა გუნდმა „დინამო" სოხუმმა დიდი ანგარიშით მოიგო

მამუკა შუბანია

ქალთა გუნდმა „დინამო" სოხუმმა საქართველოს ქალთა უმაღლესი ლიგის 2020 წლის სეზონზე პირველი მატჩი გამართა და ახმეტის „თუშეთს" 8:0 მოუგო. ქალთა გუნდი „დინამო" სოხუმი ახლახან საფეხბურთო გუნდ „დინამო" სოხუმთან აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით შეიქმნა. გუნდის გენერალური სპონსორია საქართველოს ეროვნული ლატარია, ხოლო მთავარი მწვრთნელია დავით თაქთაქიშვილი.

ქალთა საფეხბურთო გუნდის შექმნაში ქალთა ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ.

მატჩის დაწყებამდე „დინამო" სოხუმის წევრები ახალგაზრდა ფეხბურთელებს - ნინო გურგენიძისა და გიორგი შაქარაშვილის ხსოვნის პატივსაცემად მინდორზე მაო გამოსახულებიანი მაისურებით გამოვიდნენ.

„დინამო" სოხუმის ქალთა გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომელთა შორისაა: ნეგარ საიდი, თამარ ახობაძე, მარიამ როსტომაშვილი, ნატო კვლივიშვილი, ნინო ნანგელია, მარიამ კაკალაშვილი, ანა კულდინაშვილი, ლანა ქარდავა, მარიამ ბექიშვილი, ელენე ელოშვილი, მედეა მუმლაძე და სხვ.

საფეხბურთო მატჩს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან ბაბშიძე დაესწრო. მან „დინამო" სოხუმის ქალთა გუნდს პირველი გამარჯვება მოულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა. მატჩს ასევე ესწრებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ვიტალი ბენდელიანი.

სექტემბერში დიდმა მასივში მდებარე ოლიმპიური მომზადების ცენტრის სტადიონზე გაიხსნება „დინამო" სოხუმის აკადემია, სადაც გოგონებისა და ვაჟების გუნდები ივარჯიშებენ. ეს იქნება ამირეგაკაანიაში პირველი გოგონათა აკადემია.

„დინამო" სოხუმის ქალთა საფეხბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით თაქთაქიშვილი იმედოვნებს, რომ გუნდი წარმატებული იქნება და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ მესიჯს - „აფხაზეთი საქართველოა!" - მის ფარგლებს გარეთ გაიტანს.

აფხაზეთის საცხენოსნო ფედერაცია დაფუძნდება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნულ ფედერაციას შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა აფხაზეთის საცხენოსნო ფედერაციის დაფუძნების, ტურნირის - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საცხენოსნო შეჯიბრი აფხაზეთის თასზე" ნატარებისა (სავარაუდოდ სექტემბერში) და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ვიტალი ბენდელიანი, საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ცირეკიძე, ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ყიფიანი და ფედერაციის წარმომადგენელი ვაჟა ქუთათელაძე.

დევნილ ნორჩ ძიუდოისტებს სპორტული ინვენტარი გადასცეს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქალაქ ობილისში მოქმედ აფხაზეთიდან დევნილ ნორჩ ძიუდოისტებს სპორტული ინვენტარი (კიმანოები) გადასცა.

აფხაზეთიდან დევნილი ნორჩი ძიუდოისტები სასწავლო წელთნებს ობილისში, სპორტკომპლექს „მართვეში" ზაზა მახათაძის ხელმძღვანელობით გადიან.

ათწლეული - ლრობაიებში

ელგუჯა მარღია



აფხაზის რობაი

რაც ჩემთვის ამირანია, ის შენთვის არის აბრსკილი,
გულები გვქონდა, აფხაზო, ოდითგან გადანასკვილი...
ორთავეს გვშანთავს ვაება უკანასკნელი უბიხის, -
ორთავეს ერთი მტერი გვყავს, უღვთო და აღვირახსნილი...

სახლის რობაი

თითქოს გამტყდარა,მარტოობით გული დაღლია,
ხსოვნის საუნჯე, - ეს ხომ შენი რეჩხის სახლია...
ამ ეზო-კარის მოდარაჯე ხეჭეჭურები
რტოებს გიქნევენ ბავშვობიდან და გეძახიან...

პეიზაჟის რობაი

ზღვაზე არა ჩანს ჰორიზონტი, ცურავს შორს გემი,
წვიმს და ბულვარსაც გაუშლია პალმის ქოლგები;
ნეტავ, რა ძალამ დაგვიხატა ეს პეიზაჟი, -
რის მონე, მანე ან ვან-გოგი ანდა გოგენი.

გამთლიანების რობაი

აღარ იქნება სახელმწიფოს დაფრთიანება,
სანამ ვიყოფით ჩვენიანებ-მათიანებად...
რადგან გარედან ამოძრავებთ ინტერესები,
შიგნიდან უნდა ამ ქვეყანას გამთლიანება.

ნართმეული მინა-წყლის ორი რობაი

ოთარ ჩხეიძის შესანდობარი

1.
რაც უნდა ხლართო, ვერ შეღობავ, მტერო, მავთულით,
რაიც ჩვენია და ოდითგან არის ქართული -
სამაჩაბლო და აფხაზეთი... სხვაც არაერთი, -
სადაც წარსული განისვენებს გულგაფატრული...

2.
ვერ წაშლი წარსულს, ვერც მონობის ჭურში ჩაგვალპობ,
მტერო,რა უნდა გეკამათო, გელაპარაკო?..
უფლის ნაბოძებს დააბრუნებს ისევ უფალი,-
როგორც მდინარე უბრუნდება ძირძველ კალაპოტს...

და ბოლოს...

წერილი ენგურს გადაღმა

27 წელია, სათქმელს ვაგროვებ. ახლა, როგორც იქნა, გავბედე – ზამთრის სიცივეშეპარებულ თბილისში, ჩემს პატარა, მყუდრო ოთახში წერილის საწერად დავჯექი და დიდი ხნის უნახავ ახლობელთან შეხვედრის მსგავსმა განცდამ შემიპყო. ამდენი წლის განმავლობაში ნაგროვები, ნალოლიავები სიტყვები უეცრად გამიფრინდა გონებიდან და მხოლოდ სამი სიტყვა მიტრიალებს ახლა თავში:

გამარჯობა, ძველო მეგობარო! გამარჯობა...

მგონი, არ უნდა დაგვიწყებოდი, მგონი, უნდა გახსოვდე. ბოლოს 27 წლის წინ ვნახეთ ერთმანეთი. ჭიშკართან იდექი და გაუბედავად მიქნევდი ხელს, თან სახლისკენ აპარებდი თვალს – არ გინდოდა მამაშენს დაენახე. ორივემ ვიცოდით, რომ ჩვენმა მამებმა იჩხუბეს და ბოლო დღეებში რიგიანად ვერ გავატარეთ ერთად დრო. გახსოვს, ჩვენს მეზობლად რომ ცხოვრობდა კაცი დიდი სახლითა და ეზოთი? იმ კაცმა წააქეზა თურმე ჩვენი მამები ერთმანეთის წინააღმდეგ. ჭიშკართან მდგარს ხელის ქნევაზე ხელის ქნევითვე გპასუხობდი და გიღიმოდი, მამამ გამომხედა და მითხრა, ნუ გეშინია, მალე დავბრუნდებით, შევრიგდებით მე და მამამისი და თქვენ ისევ იმაკაცებთო. რას წარმოვიდგენდი, რომ მამა ცდებოდა, რომ ჩვენი საერთო მოგონებების (დროებით!) დასასრული იყო ის წუთები. ვიცი, შენც ვერ წარმოგედგინა ეს. გეგონა მეორე დღეს, სკოლის შემდეგ ისევ გამოგიშვებდა დედაშენი ჩემთან სათამაშოდ, გადმოივლიდი ჩვენს საერთო ეზოს, რომელსაც ღობე არ ჰყოფდა და მთელ საღამოს ერთად გავატარებდით ბურთისა და ერთმანეთის დევნაში.

მახსოვს, წამოსვლის დღეს მამაჩემმა ჩვენი თუნთია სასიმინდეს ბოძზე მიაბა, საჭმელი ბლომად აჭამა, წყალი და სალაფავი დაუდგა. ძაღლს უკვირდა, ვერ გაეგო, რატომ მოუნდათ მისი ასე განებივრება. დაბნეული იდგა და სწრაფად ყლაპავდა ლუკმებს. რა იცოდა, რომ ბოლოჯერ ჭამდა პატრონის ხელიდან.

გახსოვს, რამდენს ვთამაშობდით ერთად ჩვენ სამნი?! კელასურის პირას ვთევზაობდით, ვბანაობდით თუ ფეხბურთს ვთამაშობდით, თუნთია სულ ჩვენთან იყო. როგორ შეიძლება, არ გახსოვდეს?!

მამა, რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე. დავაბი, რომ არ გამოგვყვეს, საჭმელს და წყალს ვუდგამ, ცოტა ხანს ეყოფა, მერე ისინი მიხედავენო, მითხრა და თქვენი სახლისკენ მანიშნა თავით, მანამდე ჩვენც დავბრუნდებითო, დაამატა. მათზე ხომ გაბრაზებული ხარ, რატომ გგონია, რომ მიხედავენ-მეთქი, ვკითხე. ნუ იდარდებ, მიხედავენო, მითხრა დარწმუნებით. 27 წელია, მინდა ეს გკითხო, მიხედეთ ჩვენს თუნთიას? შეიძლება არც დამიჯერო, მაგრამ მაინც მინდა გითხრა, – ამდენი ხნის შემდეგაც კი ძალიან ხშირად ვხედავ ერთსა და იმავე სიზმარს: ჩემი სახლის ეზოში, სასიმინდეს ბოძზე მიბმულია ძაღლი, რომელსაც წყალი და სალაფავი გამოელია და შია, ჰყეფს, ყმუის, საჭმელს და წყალს ითხოვს, თითქოს გვეძახის, თუმცა სახლში არ ვართ და არ ვიცით, როდის დავბრუნდებით. ის კი მაინც ჰყეფს, მაინც აქვს იმედი, რომ ვინმე გამოჩნდება. ამ დროს შენი ხმა ისმის, თუნთიას ეძახი – შენს ეზოში, ღობის იქით დგახარ, ხელში პურის ყუა და პატარა ჯამში ჩასხმული წყალი გიჭირავს, მაგრამ ღობეს ვერ გადმოდიხარ, ძალიან მაღალია. გაკვირვებული ვარ, საიდან გაჩნდა ეს ღობე, ჩვენი ეზოები არასდროს ყოფილა გამიჯნული, ეს რა უბედურებაა, საიდან ამოიზარდა-მეთქი, ვბრაზობ სიზმარში. თუნთია კი გულისგამაწვრილებელ ყმუილს აგრძელებს. ვყვირი, გეძახი, რომ მოანგრიო ეგ ღობე და გადაარჩინო ერთგულების, მეგობრობისა და გამოცხადებული ნდობის სიმბოლო. ჩემი არ გესმის. არადა, როგორ მჯეროდა, რომ გაიგებდი, როგორ მჯეროდა, რომ გადმოლახავდი ღობეს. ვიღაც გეძახის, თქვენს ჭიშკართან კაცი დგას. ვიცანი, ჩვენი მეზობელია, ის, ვისი მიზეზითაც ჩვენმა მამებმა იჩხუბეს, ის კაცი, დიდი სახლი და ეზო რომ აქვს. პურის ყუა და წყლით სავსე პატარა ჯამი ხელში გიჭირავს და ჭიშკრისკენ მიდიხარ, მეზობელს ეგებები. მას გვერდით მსუქანი ძაღლი მოჰყვება, პურის ყუას მას უდებ წინ და წყალსაც უდგამ, მერე საუბარს აბამ სტუმართან. ძაღლი პირსაც არ აკარებს შენს პურსა და წყალს. თუნთიას კი როგორ სჭირდებოდა ორივე. ღობის სიმაღლე მატულობს თითქოს. ამ დროს მეღვიძება. ძილის შებრუნებას ვცდილობ, არ მინდა, ასე დამთავრდეს სიზმარი, არ მინდა, გამიცრუვდეს იმედი, რომელსაც ასე ვამყარებ შენზე. გვერდს ვიცვლი და თვალებს ვხუჭავ, თუმცა ძალით დახუჭული თვალების მიღმა ადამიანები სიზმრებს ვერ ხედავენ...

27-წლიანი უფსკრულიდან ამოძახილია ეს წერილი. შენ თუ ჩემს ძახილს გაიგონებ, თუნთიაც გადარჩება და ჩვენც - მასთან ერთად. 27 წელია სათქმელს ვაგროვებ და ახლა ვხვდები, რამდენად ცოტაა ეს ყოველივე და კიდევ რამდენი რამ მრჩება გამოუთქმელი.

შენ თუ გახსენდება ჩვენი ბავშვობა? შენ თუ ფიქრობ ხოლმე იმაზე, რაზეც მე? მთელი 27 წელია ამ კითხვებს ვუსვამ საკუთარ თავს. ჩემსავით შენც თუ გიფიქრია, რამდენი რამის შეცვლა შეუძლიათ წლებს და მაინც როგორი უძლურნი არიან მოგონებებთან?! მეგობარო, ჩვენი სოხუმური საღამოები თუ გახსოვს? თუმცა რას გეკითხები, როგორ არ გემახსოვრება, ასეთ რამეებს ვერ ივიწყებენ ადამიანები, ძალიანაც რომ უნდოდეთ, ვერ ივიწყებენ.

ის თუ გახსოვს, მამებთან ერთად რომ ვკრეფდით ხოლმე მანდარინს? იქვე ვფცქვნიდით და ვჭამდით. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ მეტს დაკრეფდა, ვინ მეტს შეჭამდა. მანდარინის გემო დღესაც აფხაზეთს, ჩემს სახლს, ჩვენს საერთო ეზოს მაგონებს. ნეტავ თუ ხარობენ ახლა ჩემი სახლის უკან მანდარინები? 27 წლის წინ, წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე მე და მამამ სახლის უკან მანდარინები დავრგეთ. წლებია შენთვის მინდოდა მეთხოვა, თუ მავნებლებმა არ გაანადგურეს, შენ დაკრიფე, შენ დააბინავე ნაყოფი, ჩემს დაბრუნებამდე შენ მოუარე იმ მანდარინს...

შუა ზღვაში, დავით ბაძაღუა

მე კი ერთ დღეს აუცილებლად დავბრუნდები სახლში. მთავარია, კელასურის პირას თევზაობას, ზღვაში კენჭების სროლას, ქვიშაზე ერთად ფეხშიშველა სირბილს, მანდარინის კრეფას, ჩვენი ბავშვობის ნურც ერთ მოგონებას და ნურც სასიმინდეს ბოძზე მიბმულ თუნთიას დაივიწყებ. თუ დაგვავიწყდა, უსათუოდ დავმარცხდებით, საბოლოოდ დავკარგავთ ერთმანეთს. ეს სულ გახსოვდეს, ძველო მეგობარო...

ნინო წულაია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

რედაქტორი
ნატო კორსანტია
მისამართი: ქ. თბილისის, დ. უზნაძის 68
ტელეფონი: 577 09 22 42

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია შონია
შალვა ბერიანიძე